ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღესასწაული

# პარლამენტის თავმჯდომარე სრულიად საქართველოს ულოცავს



13 ივლისს მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოღების 1700 წლისთავს აღნიშნავს. პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ეს დღესასწაული სრულიად საქართველოს მიულოცა. გუშინ იგი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვას დაესწრო.

საქინფორმი.

## კანონმდებლები

### ცვლილებები და დამატებები 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში

13 ივლისს მუშაობა დაასრულა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიამ.

სამდღიანი მწვავე განხილვის შემდეგ პარლამენტმა სამივე მოსმენით მიიღო კანონპროექტი „საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. მესამე – საბოლოო მოსმენით კანონპროექტს მხარი დაუჭირა 135-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი 28 იყო. ფრაქციებს „მრეწველებს“ და „ტრადიციონალისტებს“ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საბოლოოდ ქვეყნის ბიუჯეტი წლეულს 265 მილიონი ლარით შემცირდება, თავდაპირველად წარმოდგენილი 290 მილიონი ლარის ნაცვლად. „როცა ქვეყანაში პრობლემებია, გადაწყვეტილებებიც შესაბამისი უნდა იყოს მიღებული“, – განაცხადა პლენარული სხდომის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. მნიშვნელოვანია, რომ შემცირებები ბიუჯეტში არ შეეხო სოციალურ სფეროს.

„საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით მიღებულია დადგენილება კანონის ამოქმედების შესახებ, აგრეთვე ცვლილებები შეიტანეს კანონებში საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ და „საალსრულებო წარმოების შესახებ“.

### რატიფიცირებულია შეთანხმება

13 ივლისს ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ რიგგარეშე სესიაზე მოახდინა მსოფლიო ბანკის სატყეო მეურნეობის განვითარების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების ავანსის № IDA Q 212-OGE წერილი-შეთანხმების რატიფიკაცია.

იხ. მე-2 გვ.



ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გასული კვირიდან დღემდე ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 5740 მკითხველი. მათ შორის, 63% აშშ-დან, 21% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №188 (3589) პარასკევი, 14 ივლისი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

## ეკლესია

# იესო ქრისტეს რწმენა, მაღალი სულიერება იყო და კვლავ არის ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს საყრდენი

რაჭული სადღესასწაულო ჰიმნით „ალილოი“ გაიხსნა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს. იგი გაიმართა 13 ივლისს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ქართველი ხალხისათვის ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად მოვიდნენ აქ სასულიერო პირები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის ცნობილი მოღვაწეები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ახალგაზრდობა.

ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მეუღლითურთ, სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

საღამოზე, რომელსაც უძღვებოდა ბოდბის ეპისკოპოსი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი), წარმოდგენილი იყო საქართველოში ქრისტიანობის თავისებური მატიანე, ქრისტიანული სარწმუნოების მოსვლა ქართულ მიწაზე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება, მართლმადიდებელი ეკლესიის უზარმაზარი როლი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ქართული სახელმწიფოს განმტკიცებაში,

იხ. მე-2 გვ.

## სულიერება

# „ქრისტეს რჯულზე მოქცევამ გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, ქართული კულტურის განვითარებასა და ქართული სულიერების გაძლიერებაში“



**საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე 2000 წლის 13 ივლისს**

თქვენო უწმინდესობავ,
ქალბატონებო და ბატონებო,

წელს, მთელი მსოფლიო, აღმსარებლობის მიუხედავად, აღნიშნავს კაცობრიობის უდიდეს თარიღს, ქრისტეშობას,– მსოფლიო ცივილიზაციის ახალი ეტაპის საწყისს.

წლევანდელი ზეიმით ვიწყებთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000-წლოვან იუბილეს.

ამჟამინდელი სოციალური ვითარება არ გვაძლევს საშუალებას, რათა წელსვე შევძინოთ მას საკადრისად ამაღლებული მასშტაბი.

იხ. მე-2 გვ.



# ქრისტეს რწმენით აღვამენებთ მლიერ და ბედნიერ საქართველოს

ქვეყნის ათობით მცხოვრები ეზიარა ღვთის მადლს და მიიღო წმინდა ნათლობა. ეს მოხდა 13 ივლისს საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის მიდამოებში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან – სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულზე.

სვეტიცხოვლობის დღეს მასობრივი ნათლობის ტრადიცია დამკვიდრდა საქართველოში. მაგრამ ახლანდელი დღესასწაული განსაკუთრებულია. იგი ეძღვნება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს. წინა დღეს მცხეთაში წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს მიერ განვლილი გზით ჩამოვიდნენ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მლოცველები. წყაროების თანახმად, ანდრია პირველწოდებული საქართველოში ქრისტიანულ სარწმუნოებას ქადაგებდა ქრისტეშობიდან ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში. აქ, მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრება დაკავშირებულია წმინდა ნინოს სახელთან. ოთხშაბათ საღამოს სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმო წირვა გადაიხადეს.

ხუთშაბათს, დილით ადრე, სვეტიცხოვლის ტაძარში, სადაც წმინდა ქრისტიანული რელიკვიებია დაცული, და რომელსაც სამართლიანად უწოდებენ საქართველოში ქრისტიანული აღმსარებლობის აკვანს, დაიწყო სადღესასწაულო წირვა, რომელიც აღავლინა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მან მართლმადიდებლებს მიულოცა ბრწყინვალე დღესასწაული და სულიერი ერთობა უსურვა საქართველოს ხალხს.



იხ. მე-2 გვ.

## გიხაროდენ!

# პაპის სეხნია



– ბიჭი შეგეძინათ! – გვაცნობა დილის 5 საათზე მახარობელმა დიღმის სამშობიარო სახლ „ორიონის“ ეზოში მომლოდინე მახლობლებს.

– დაიბადა პაპის სეხნია – კოტე ზარანდია! – მივულოცეთ ნათესავებმა ბიჭის მამას კახა ზარანდიას. ლელა სიჭინავა და კახა ზარანდია, რომლებიც ერთი წლის წინათ დაქორწინდნენ, პირველი შვილის მშობლები გახდნენ.

– ბიჭი 3 კილოგრამი დაიბადა, დედა-შვილი თავს კარგად გრძნობენ, – დაგვამშვიდა ახალგაზრდა მეან-გინეკოლოგმა ბაჩუკი შუბლაძემ, რომელმაც ლელა ამშობიარა. მისი გვეიმედებოდა.

ჩვენი ოჯახი „საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველია, მოგვწონს „გიხაროდენ“, რომელსაც ყოველ ნომერში პირველ გვერდზე ვკითხულობთ, ჩვენს მილოცვასაც თუ დაბეჭდავთ, მადლობელი დაგრჩებით, გაზეთსაც სასოებით შევინახავთ, მას საჩუქრად ლელას და კახას მივართმევთ და ზუგდიდში ლელას დედას და დიდ ბებიასაც გავუგზავნით. ბიჭის მშობლები ზუგდიდიდან არიან.

სამშობიარო სახლიდან დედა-შვილს დღეს, 14 ივლისს დილას გამოწერენ. მადლობა „ორიონის“ მედპერსონალს.

ზარანდიების ოჯახში დღეს დიდი სიხარულია, მასში თქვენი წვლილიც იქნება ძვირფასო რედაქცია. ნურმც მოკლებოდეს თქვენს გაზეთს ჩვენისთანების სიხარული.

რევაზ ზარანდიას ოჯახი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## დღის ციტატა

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა რეპრესირებულ ღონისძიებებთან ერთად, რა თქმა უნდა, გულისხმობს სისტემის პროფილაქტიკის მთელი ბერკეტების შემუშავებას, ეკონომიკური ბერკეტებისა და მექანიზმების აქტიურად გამოყენებას, ეკონომიკის სფეროში კრიმინალური ბაზის შემდგომ შეზღუდვასა და შევიწროებას.

ედუარდ შევარდნაძე.

## SIC!

# დღეიდან ჩვენი რუბრიკა „კორუფციის წინააღმდეგ“ ტრანსფორმირდება სპეციალურ გვერდად ამავე სახელწოდებით

იხ. მე-3 გვ.

## გამოძიება ბრალს სდებს

# 1. არაფერს ერიდებიან: საზღვაო სანაოსნო გააჩანაგეს, საპენსიო თანხები გაიტაცეს

### ნომრის სტუმარია საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ, როგორც იქნა კონკრეტული, გამიზნული, ორგანიზებული სახე მიიღო. წინა კვირას მთავრობის სხდომაზე კორუფციის დაძლევის თაობაზე საგნობრივ საუბარს მოჰყვა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავების შესახებ“ და განცხადება ამის თაობაზე. ყალიბდება კომპლექსური ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების ერთიანი სახელმწიფოებრივი პროგრამა და მისი აღსრულების სათანადო მექანიზმი.

კორუფცია გახლდათ ამ ოთხშაბათს გამართული მთავრობის სხდომის ძირითადი საკითხიც, სადაც კორუფციის წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი.

გადავწყვიტეთ ეს ვრცელი ინფორმაცია კი არ დაგვებეჭდა, არამედ ბატონ ჯამლეთისთვის გვეთხოვა, ჩვენს კორესპონდენტთან, ასე ვთქვათ, საკითხობრივად ესაუბრა კორუფციასთან ბრძოლაში სადღეისოდ მიღწეულზე. დღის თემაა სახელმწიფო თუ საბიუჯეტო თანხების დატაცება. მომდევნო ნომრებში სხვა იქნება.

იხ. მე-3 გვ.

## ინფორმაცია

### „ოქროს გრიფი“ თბილისში დასახლდა

იალტაში დამთავრდა ღვინოების პრესტიჟული საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს გრიფი-2000“, რომელიც მოაწყო ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ. ფესტივალში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეღვინეობის ფირმებთან და კომპანიებთან ერთად მონაწილეობდნენ ევროპული ღვინის მწარმოებელი სახელმწიფოებიც. პირველი პრიზი – კონკურსის ოქროს მედალი მოიპოვა ქართულმა სუფრის თეთრმა ღვინომ „იმერეთის თავადი“, რომელიც დაამზადა საზოგადოება „კასტელ-ჯორჯიამ“.

### საბაჟო დეპარტამენტი გვატყობინებს

საბაჟო დეპარტამენტში შექმნილი საგანგებო შტაბის მონაცემებით, გასული დღე-ღამის განმავლობაში დაკავებულია მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, რომლებიც დატვირთული იყო 6,9 ტონა ბენზინით, 2 530 კოლოფი არამარკირებული სიგარეტით, კვების პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით.

შიდა საბაჟო ტრანზიტის ფორმების ვადის დარღვევის გამო 12 პირს დაეკისრა ადმინისტრაციული გადასახდელი 3200 ლარის ოდენობით.

### იუზა ცარციძე გვპირდება

„თბილწყალკანალის“ გენერალური დირექტორის იუზა ცარციძის ინფორმაციით, ჟინვალის წყალსაცავში, საიდანაც დედაქალაქი სასმელი წყლით მარაგდება, წყლის დონემ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 16 მეტრით (180 მილიონი კუბური მეტრი) დაიკლო.

თბილისის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი პარასკევს თბილისის მერიაში გამართულ სხდომაზე განიხილეს. როგორც იქ აღინიშნა, წყლის დონემ ასევე დაიკლო თბილისის და სიონის წყალსაცავებში, რაც ძირითადად გვალვებით არის განპირობებული. ცარციძის თქმით, „თბილწყალკანალი“ ივლისსა და აგვისტოში მაქსიმალურად ეცდება მოსახლეობას სასმელი წყალი ჩვეული რეჟიმით მიაწოდოს, ხოლო სექტემბრიდან წყლის მიწოდებაზე ახალი გრაფიკები დაწესდება.

### ტურისტების „აბრეშუმის გზა“

სამოცამდე მონაწილე შეიკრიბა საერთაშორისო სემინარზე კურორტ ჩაქვში, რომელიც მიეძღვნა ტურიზმის პრობლემებს. მათი დაძლევის მექანიზმები განიხილეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ესპანეთის წარმომადგენლებმა. აქვე განიხილეს საინვესტიციო პროექტები, რომელთა დაფინანსებას აპირებს ევრაზიის ფონდი. სემინარის ორგანიზატორია ტურისტული კავშირი „აბრეშუმის გზა“.

### ქართული ფილმი – ვენეციის ფესტივალზე

რეჟისორ ნოდარ მანაგაძის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანგელოზების გადაფრენა“ აგვისტოში ვენეციის კინოფესტივალზე იქნება წარდგენილი.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს აცნობა სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორმა რეზო ჩხეიძემ.

ამ ფილმის პრემიერა კინოთეატრ „რუსთაველში“ ივნისში შედგა.

### შეთანხმება ცხინვალში

„ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ტერიტორიების რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში შეთანხმებას მოაწერეს ხელი 12 ივლისს ქართულმა და ოსურმა მხარეებმა საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ინიციატივით და ეუთოს ეგიდით. როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს ევროკომისიის წარმომადგენლობაში, შეთანხმება მოიცავს ერთობლივ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მხარეების მიერ ელექტროენერგიის მიწოდების, გაზის ქსელის და სარკინიგზო კავშირების აღდგენის მიზნით. ამ ერთობლივ პროგრამას ევროკომისია 1,5 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

## ხუთშაბათობა

# თურქეთი თურქმენეთის გაზს მხოლოდ ტრანსკასპიური მილსადენიდან იყიდის

**გუშინ რედაქციას ტრადიციულ ხუთშაბათობაზე სტუმრობდა საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძე.**



კავკასიისა და კასპიის რეგიონში არსებული ნავთობისა და გაზის მდიდარი საბადოებიდან ამ ენერგომემცველების მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების საკითხი დღეს მეტად აქტუალურია და მარტო რეგიონის ინტერესებს არ ითვალისწინებს. ეკონომიკური ეფექტის გარდა, ამ პროექტებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

იხ. მე-4 გვ.

## დღის კარიკატურა

მანქანაზამორთმეული:
– ჯიპ, ჯიპ ჯუჯალარი,
ჯიპ, ჯიპ, ჯიპ,
ჯიპ ჯუჯალარი...




ვახტანგ კუციას ნახატი.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– 15 წელი ვცხოვრობდი ლევან ნინიძესთან, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა. მივმართე სოცუზრუნველყოფის ფონდის განყოფილებას პენსიის დანიშვნის თაობაზე, ასევე ვაყენებ საკითხს, მისი გარდაცვალების შემდეგ, ავტომანქანისა და ბინის ჩემზე გადმოფორმების შესახებ. ვინაიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ვიმყოფებოდით, მეუბნებიან არც პენსია გეკუთვნის და არც მემკვიდრეობაო. ნუთუ ამხელა მნიშვნელობა აქვს ქორწინების რეგისტრაციას?

ლელა გორდელაძე.

– ჯერ კიდევ 1944 წლის 8 ივლისიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა კანონიერ უფლება-მოვალეობას. ამდენად, თქვენთვის კანონიდან გამომდინარე განმარტება მოუციათ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## დღეს

**დასავლეთ საქართველოში**
დაბლობში: ღამით +22+27; დღისით +33+38.
მთაში: ღამით +17+22; დღისით +30+35.

**აღმოსავლეთ საქართველოში**
ბარში: ღამით +19+21; დღისით +32+37.
მთაში: ღამით +15+20; დღისით +27+32.

**თბილისში**
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +22+24; დღისით +35+37.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

14 ივლისიდან დადგენილი ლარის მიმართ უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9553 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9649 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.8490 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0705 | ლარი. |

## უკანასკნელი საათი



რუსეთის ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს შემათანხმებელმა კომისიამ, რომელიც მესამე დღეა მუშაობს, ყველაფრიდან ჩანს (ამ ეტაპზე მაინც), რომ დაძლია პარლამენტის ზედა პალატის მიერ შექმნილი წინააღმდეგობა მმართველობითი ვერტიკალის კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით. ვარაუდობენ, რომ პარლამენტის კრიზისს დაძლევენ.

## ინტერპანორამა



ამავე დროს ასლან მასხადოვი ტელევიზიით აცხადებს, რომ იგი განაგრძობს ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე. მასხადოვის ტელეგამოსვლა ჩაწერილი იყო ძვირფასი ნოხების ფონზე, რაც სრულიადაც არ გავდა სამხედრო საველე გარემოს.



ჩეჩნეთის ფრონტზე სენსაციაა: გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საველე მეთაურის ტურპალ ადგირიევის 200-კაციანი რაზმი მზად არის ჩაბარდეს ფედერალებს. გენერალ-პოლკოვნიკი მანილოვს მიაჩნია, რომ ეს არის ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახმად კადიროვის ახალი პოლიტიკის შედეგი.



„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 188. პარასკევი, 14 ივლისი, 2000 წელი.

ეკლესია

# იესო ქრისტეს რწმენა, მაღალი სულიერება იყო და კვლავ არის ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს საყრდენი

(პირველი გვერდიდან)



მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობის თეატრის მსახიობებმა ოსტატურად გააცოცხლეს საქართველოს გამქრისტიანებლის ცხოვრების ფურცლები ლიტერატურული კომპოზიციით „წმინდა ნინოს ცხოვრება“. საპატრიარქოს ვაჟთა გუნდმა, სიონის შერეულმა გუნდმა და მისმა ქალთა და მამაკაცთა ჯგუფებმა, ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლაშარმა“ შეასრულეს ქართული საეკლესიო საგალობლების შესანიშნავი ნიმუშები და ხალხური სიმღერები, რომლებზეც ქრისტიანულმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა. ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა კი თამაზ გოგოტიშვილის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ შეასრულა ცეცხლოვანი ცეკვა „შეჯიბრი“.

კონცერტის დამთავრების შემდეგ შეკრებილთ მიულოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. მან აღნიშნა, რომ დღევანდელმა საღამომ ყოველ მათგანს სიმშვიდის საოცარი გრძნობა განაცდევინა. როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა თქვა, ჩვენს წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ყველას გვჭირდება სიმშვიდე, რადგან მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში ძალუძს ადამიანს მიიღოს გონიერული და სამართლიანი გადაწყვეტილება. კათალიკოს-პატრიარქმა შეახსენა დამსწრეთ, რომ წელს, როცა მსოფლიო აღნიშნავს ქრისტეშობის 2000 წლისთავს, საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური პირველად ლოცულობდნენ ერთად ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულზე იერუსალიმში და შესთხოვდნენ უფალს მშვიდობას მათს სამშობლოში და საქართველოს აღორძინებას. წელს ვდღესასწაულობთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს, აგრეთვე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ათას ხუთასი წლის იუბილეს.

— როცა ამ დღესასწაულებს აღვნიშნავთ, — განაცხადა უწმინდესმა და უნეტარესმა ილიამ მეორემ,— არ შეიძლება არ ვიფიქროთ იმაზე, ვინ ვიყავით, ვინ ვართ ახლა და ვინ ვიქნებით მომავალში. ვფიქრობ, რომ მრავალი ასწლეულის განმავლობაში უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ ჩვენი წინაპრების გზა უნდა განვაგრძოთ. ჩვენს ხალხს, ჩვენს ძველთაძველ ქრისტიანულ ქვეყანას — საქართველოს მხოლოდ ქრისტიანული იდეალების ერთგულება, მართლმადიდებლური რწმენა იხსნის, როგორც უკვე არაერთხელ უხსნია.

გილოცავთ ყველას დღევანდელ დღესასწაულს. შეგვეწიოს უფალი! ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს შემწე და მფარველი!



**შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ (გიორგი) შევარდნაძემ.**

**(საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა იბეჭდება გაზეთის ამავე ნომერში).**

**საქინფორმი.**

# ქრისტეს რწმენით ავაშენებთ ძლიერ და ბედნიერ საქართველოს

(პირველი გვერდიდან)

წირვის დამთავრების შემდეგ მღვდელმსახურნი, მრავალრიცხოვანი მრევლი დაიძრა მთის ძირისკენ, რომელზეც აღმართულია ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების შედევრი — ჯვრის მონასტერი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან უამრავმა მორწმუნემ მოიყარა თავი, რომლებსაც სურდათ ეხილათ მართლმადიდებლური ნათლობის რიტუალი.

სპეციალურად დადგმულ ფიცარნაგზე განლაგდნენ საეკლესიო იერარქიის მიხედვით წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მეთაურობით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის ორივე მხარეს ადგილები დაიკავეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა. ნათლობას დაესწრნენ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი.

ქრისტიანობაში ნათლობა უდიდესი საიდუმლოა, რომლის მაგალითად ადამიანებს მოევლინა თავად იესო ქრისტე, როცა იგი იოანე ნათლისმცემელმა მონათლა მდინარე იორდანში. ნათლობის დროს ადამიანი განიწმინდება პირველყოფილი ცოდვისგან, მას შეუნდობენ პირად ცოდვებს და იგი იღებს ღვთის მადლს, ეზიარება ქრისტიანულ ეკლესიას. როცა უყურებ ამ სადღესასწაულო დღეს მასობრივი ნათლობის ადგილზე შეკრებილი ადამიანების სახეებს, რწმუნდები, რომ ეს არის ჭეშმარიტი შემობრუნება ეკლესიისკენ, ქრისტიანული სულიერებისკენ, რაც მოხდა ჩვენს ცნობიერებაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

მღვდელმსახურნი თითოეულ მათგანს, ვინც ემზადება ნათლობის მისაღებად, უკითხავენ რიტუალით გათვალისწინებულ ლოცვას. ორი მდინარის შესართავთან აკურთხებენ წყალს. და, აი, პირველ ბავშვს, ღვთის სახელით სამჯერ წყალში ჩაუშვებენ. მას მოჰყვებიან მშობლების მიერ მოსანათლად ჩამოყვანილი პატარები, ქალიშვილები და ჭაბუკები, ზრდასრული ქალები და მამაკაცები, ხანშიშესულნი, ჭაღარით მოსილი ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს ხანდაზმულობისას შევიდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში. რიტუალის დამთავრების შემდეგ მათ ყელზე დაჰკიდეს ჯვარი — ქრისტიანულ ეკლესიასთან ზიარების, იესო ქრისტეს რწმენის სიმბოლო.

ქრისტიანული სარწმუნოება ქართველმა ხალხმა ჩვიდმეტი საუკუნე გამოატარა, შეინარჩუნა იგი და დაიცვა გადამთიელებისა და ურჯულოებისაგან, შეძლო დაეცვა იგი თავსმოხვეული მასობრივი ურწმუნოების დროს არცთუ შორეულ წლებში და აღორძინებინა დღეს მისი პირველქმნილი სიწმინდით. სწორედ მაღალი სულიერება დაეხმარა საქართველოს გადაეტანა გაჭირვება და ომები, გაეძლო ყველა განსაცდელისათვის, რაც თავს დაატყდა. და ახლა, ღვთის რწმენა, სულიერი ერთიანობა საქართველოში გახდება სიძნელეების დაძლევის საწინდარი, ძლიერი და ბედნიერი სამშობლოს მშენებლობის საწინდარი.

**საქინფორმი.**



სულიერება

# „ქრისტეს რჯულზე მოქცევამ გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, ქართული კულტურის განვითარებასა და ქართული სულიერების გაძლიერებაში“

(პირველი გვერდიდან)

ადამიანს უნდა ეზეიმებოდეს! საზოგადოების სათნოება ყოველი გაჭირვებული თანამოძმისადმი თანალმობით გამოიხატება.

ქართული სახელმწიფოს რეალური მდგომარეობა, მოქალაქის სოციალური დაცულობის ხარისხი სრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ ნათელ სიხარულსა და სიამაყეს, რასაც ეს დიდებული იუბილე მოიცავს.

მომავალ წელიწადს და შემდგომშიც, ჩვენ შევეცდებით უფრო ფართო ქლერადობა, საერთაშორისო მნიშვნელობაც შევძინოთ ამ დღესასწაულს.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000-წლოვან იუბილეს დაამშვენებს, ბრწყინვალებასა და ელვარებას შემატებს გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლისთავის აღნიშვნა.

წელს კი, საქართველო, მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად ზეიმობს ქრისტეშობის 2000 წელს და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობამდე საქართველოს ჰქონდა სახელმწიფო და უდიდესი კულტურაც, მაგრამ ქრისტეს რჯულზე მოქცევამ გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში, ქართული კულტურის განვითარებასა და ქართული სულიერების გაძლიერებაში.

ყოველივე იმდენად ორგანულად დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ ათეიზმის ეპოქაშიც ქართველობა ქრისტიანობის ძირითადი პოსტულატებით სულდგმულობდა, ხოლო, როცა ამ გზას ასცდებოდა, ცოდვის ნაყოფსაც იმკიდა.

ჩვენი დღევანდელი ყოფითი გაჭირვების ერთი უმთავრესი მიზეზი ხომ ისიც გახლავთ, რომ დავივიწყეთ ღვთისკენ სავალი გზა და ბნელში ხელის ცეცებით დავდიოდით. ხშირად ახლაც ვივიწყებთ ამ გზას.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობის ამაღლებული მოთხოვნები ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში, მეცნიერებაში, აგრეთვე, ჩვენს რეალურ ყოფაში, ღიად თუ ფარულად, ყოველთვის იჩენდა ხოლმე თავს და წურთვნიდა ჩვენს სულს.

ამასთან დაკავშირებით, ჩემი უახლოესი მეგობრის ნოდარ დუმბაძის პროზას გავიხსენებ, აგრეთვე — გალაკტიონის, ირაკლი აბაშიძისა და ანა კალანდაძის პოეზიას და, საერთოდ, იმ ქართულ მწერლობას, რომელმაც სიყვარული, უმაღლესი გაგებით, ადამიანთა ურთიერთობის საფუძვლად აქცია.

დიდი უბედურებანი უნდა გადაეტანა ხალხს, რათა საუკუნეების განმავლობაში ეროვნული სულის უცილობელ თვისებად ქცეული უმთავრესი ცნება ქრისტიანობისა — სიყვარული გაეხსენებინა, აღედგინა და მიბრუნებოდა დიდი წიგნის უკამათო ჭეშმარიტებას:

**„წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ“.**

ეს სიტყვები უნდა იქცეს არა მხოლოდ მორწმუნე ადამიანის ძირითად პოსტულატად, არამედ სახელმწიფო ცნობიერების უმთავრეს მახასიათებლადაც.

სიყვარული მართლაც უმაღლეს არს.

სწორედ ამას ეყრდნობა ჩვენი მრავალგზისი ძალისხმევა ადამიანებთან, ქვეყნებთან, მოწინააღმდეგეებთანაც კი დიალოგის, საერთო ენის გამოძებნის და ადამიანური თანაარსებობისა.

ყოველ ჩვენგანზე და, ამდენად, სახელმწიფოზეც, რელიგია დიდ გავლენას ახდენს და როდესაც საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანა, ეზიარა ქრისტეს მადლს, ეს იყო მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი და გარდამტეხი მომენტი, ეს იყო მიჯნა, რომლის შემდეგაც ქართველმა ერმა ახლებური ცხოვრება დაიწყო — ცხოვრება ქრისტეს მადლში — ქრისტესთვის ღვაწლა და არცთუ იშვიათად, მისთვის მარტვილობაც.

ჩვენი ზნეობრივი იდეალი, ერის მამა ილია მართალი, ზუსტად და ლაკონურად ბრძანებდა: „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებრივი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან, პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებლად“.

ქრისტიანობის გამაერთიანებელი როლი იმ მრავლისმთქმელ სიტყვებშიც ჩანს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ რომ ბრძანებს გიორგი მერჩულე — „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითაი ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

თითქმის ათასი წლის განმავლობაში ეს სიბრძნე დაიწურა და ჩამოყალიბდა გენიალურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფორმულად: „ენა, მამული, სარწმუნოება“.

ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ქრისტიანობამ, მართლმადიდებლობამ უდიდესი როლი შეასრულა.

ქრისტიანობა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგეს საქართველოში ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. ღვთისა და წმიდა ნინოს შეწევნით, იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მეოთხე საუკუნეში.

ამჟამად, ჩვენს თვალწინ, მეოცე საუკუნის დამლევს, ჩვენმა თანამემამულეებმა, სასულიერო და საერო პირებმა ის გზა განვლეს, რომლითაც წმიდა ნინომ მოიხილა საქართველო.

ფეხით იარა წმიდა ნინომ ამ გზაზე — უამინდობასა და მტრულ გარემოში, მაგრამ მან, სულით ძლიერმა, ღვთის შეწევნით დაამარცხა უმეცრებაც, მტრებიც, სიცივეც, შიმშილიც.

როგორც ჩანს, ჩვენ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა ვიაროთ წმიდა ნინოს გზით, არამედ სიმბოლურადაც.

უპირველეს ყოვლისა კი, თავად ჩვენს სულში უნდა განვვლოთ ეს გზა — გზა უფალთან მიახლოებისა. რაც ძნელია, მაგრამ აუცილებელია ქვეყნისთვის, ერისთვის და ყოველი ჩვენგანისთვისაც.

უდავოა რწმენის როლი საკაცობრიო მორალურ ღირებულებათა ჩამოყალიბებაში.

„არა იქურდო“, „არა ჰკლა“, „პატივი ეცი მოყვასსა შენსა“ — ეს შეგონებანი ფილოსოფოსთა კამათის შედეგი კი არა, სწორედ ღვთისაგან ნაკარნახევი მცნებებია მოსესათვის. მათ შემდგომში მაცხოვარმა ახალი შინაარსი შესძინა.

უდიდესია ეკლესიის წვლილი პატრიოტული შეგნების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს ეკლესია სწორედ ამ მორალური და ეროვნული კატეგორიების სადარაჯოზე დგას და ასეც აღიქვამს მას მრევლი.

საუკუნეთა განმავლობაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ერთგულად იცავდა სამშობლოს ინტერესებს, ღვთის შეწევნითა და სულიერი მამების ზნეობრივი ძალით, აგრეთვე, მრევლის გულმხურვალე მხარდაჭერით. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას 17 საუკუნე უმაგრებს ზურგს. დღესაც მის კალთას ეფარება მრავალი ქართველი. საჭეთმპყრობელი კი ჩვენი ეკლესიისა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე — ღირსეული გამგრძელებელია რწმენისა და ქვეყნისათვის თავშეწირულ ქართველ წმიდა მამათა ღვაწლისა.

თქვენო უწმინდესობავ, მრევლთან ერთად გილოცავ ამ თარიღს და იმედი მაქვს, რომ ღვთისა და თქვენი შეწევნით საქართველო განამტკიცებს აწ უკვე აღდგენილ, საუკუნეების წინათ დაკარგულ სახელმწიფოებრიობას და ღვთიურ სიყვარულზე დაფუძნებულ ქვეყანას ააშენებს ჩვენს დიდ წინაპართა, ამჟამინდელ თაობათა და შთამომავლობის საკეთილდღეოდ.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ ისტორიულ და წმინდა საქმეში!

### „ქალზედ რთული“

**უწოდა პანკისის ხეობაში არსებულ ოპერატიულ ვითარებას საქართველოს შს მინისტრის მოადგილემ კახა ბაკურაძემ ხუთშაბათს ვლადიკავკაზში რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე.**

**მან ეს ჩეჩენი ლტოლვილების დიდი ნაკადით ახსნა — პანკისის ხეობის სოფლებში 6 ათასზე მეტი ლტოლვილია ჩეჩნეთიდან.**

**თათბირში მონაწილეობდა ჩეჩნეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების მეთაური, გენერალ-პოლკოვნიკი გენადი ტროშევი, რომელმაც შესთავაზა ქართველ ძალოვნებს კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშაონ კონტრტერორისტულ ოპერაციასთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე სრული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.**

### ვაზიანიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანა ყოვნდება

**რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა განცხადებით, ფინანსური პრობლემების გამო რუსეთი ვერ შეძლებს 1 აგვისტომდე ვაზიანში დისლოცირებული 137-ე სამხედრო ბაზის გაყვანას.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ქართულ მხარეს ჯერჯერობით არ მიუღია რუსი კოლეგებისაგან ოფიციალური ცნობა ვაზიანის ბაზის გაყვანის ვადებთან დაკავშირებით, თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ ეს საკითხი მსჯელობის ერთ-ერთი თემა იყო საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილსა და რუსეთის ვიცე-პრემიერ ილია კლებანოვს შორის მოსკოვში ოთხშაბათს გამართული შეხვედრისას.**

### რვა წელიწადი სადარაჯოზე

**საზეიმო ღონისძიებებითა და აღლუმით აღნიშნავენ პარასკევს ცხინვალში „მშვიდობისმყოფელის დღეს“, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში „ცისფერი ჩაფხუტების“ შეყვანის მე-8 წლისთავს.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა ალექსანდრე პარასკევამ უთხრა, რეგიონში სამშვიდობო ძალების ყოფნა სტაბილურობას და თბილისსა და ცხინვალს შორის პოლიტიკურ დიალოგს უწყობს ხელს. ცხინვალში დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებზე თბილისიდან სამთავრობო დელეგაციას ელიან.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.**

კანონმდებლები

## რატიფიცირებულია შეთანხმება

(პირველი გვერდიდან)

აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის საერთაშორისო განვითარების ასოციაცია საქართველოს ავანსის სახით გამოუყოფს 990.000 აშშ დოლარს. გამოყოფილი თანხის მიზანია დააფინანსოს გარკვეული დანახარჯები სატყეო სექტორის განვითარების პროექტის მოსამზადებლად, რომელიც ხელს შეუწყობს ტყის მეურნეობის სწორ ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ საქართველოს ტყეებიდან მიღებული შემოსავლის წვლილს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. როგორც აღინიშნა, ყოველივე ეს განხორციელდება გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად.

დოკუმენტის რატიფიკაციას მხარი დაუჭირა 140-მა დეპუტატმა, წინააღმდეგი მხოლოდ 2 იყო.

## საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა

ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ 13 ივლისს რიგგარეშე სესიაზე ერთი მოსმენით — გამარტივებული წესით მიიღო კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 126-მა დეპუტატმა, 18 — იყო წინააღმდეგი. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „მრეწველებს“ და „ტრადიციონალისტებს“.

სხვა ცვლილებებთან და დამატებებთან ერთად როგორც საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, ძირითადი ცვლილებები შევიდა ანგარიშფაქტურების სავალდებულო გადამოწმებასთან დაკავშირებით, გამოირიცხება ჩათვლების მექანიზმები, რაც მინისტრის თქმით სერიოზულად აზარალებდა ბიუჯეტს. გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა ბაზრობებთან დაკავშირებით, რაც გადასახადების გადახდევინების გამარტივებას ითვალისწინებს.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, საგადასახადო კოდექსში უფრო დაზუსტებულ და სერიოზულ ცვლილებებს სექტემბერ-ოქტომბერში უნდა ველოდოთ. ამ განხილვის დროს გაითვალისწინებენ საინტერესო და მისაღებ წინადადებებს, რომლებიც „ტრადიციონალისტებისა“ და „მრეწველების“ პროექტებში იყო წარმოდგენილი.

## განისაზღვრა ნორმატივები

პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე 13 ივლისს დამატებები შეიტანა კანონში „საერთოსახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“. ამ დამატებების მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში მიმდინარე წელს აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული საბაჟო გადასახადიდან ანარიცხის ნორმატივი 40 პროცენტით განისაზღვრა. განისაზღვრა აგრეთვე ანარიცხის გრძელვადიანი ნორმატივი.

რაც შეეხება თბილისს, როგორც ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან დედაქალაქის ბიუჯეტს დარჩება 85 პროცენტი. ეს არის დროებითი ნორმა. როგორც მინისტრმა განაცხადა, გრძელვადიანი ნორმა 2001 წლის ბიუჯეტთან ერთად დაზუსტდება.

ამავე სხდომაზე უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონპროექტები „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა აგრეთვე საზღვაო კოდექსში.

## ქართველმა პარლამენტარმა შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა

ამ დღეებში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აირჩიეს. „ეს მეტად დიდი გამარჯვებაა ჩვენი პარლამენტისა და ჩვენი ქვეყნისა“,— განაცხადა 13 ივლისს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. მან ნინო ბურჯანაძეს მიულოცა ამ საპატიო თანამდებობაზე არჩევა და აღნიშნა, რომ ქართველმა პარლამენტარმა მეტად შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, მიიღო რა 45 ქვეყნის პარლამენტარების მხარდაჭერა და ყველაზე მეტი ხმა დაიმსახურა.

— ჩემთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა აღნიშნული თანამდებობის დაკავება, რადგან მას საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ გამოვიყენებ,— განუცხადა ჟურნალისტებს ნინო ბურჯანაძემ.

აღსანიშნავია, რომ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა ამ თანამდებობაზე ადრეც იყო დასახელებული, მაშინ ქართველ პარლამენტარს გამარჯვებისთვის მხოლოდ ერთი ხმა დააკლდა. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა 6-11 ივლისს მიმდინარეობდა.

**საქინფორმი.**

## ჩანს, მაინც დარჩება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები უახლოეს დღეებში საგანგებო სხდომაზე განიხილავენ მათი ლიდერის, ნიკო ლეკიშვილის განცხადებას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

როგორც ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განუცხადა, იგი იმედოვნებს, რომ ნიკო ლეკიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერად დარჩება.

ზურაბ ჟვანიას თქმით, პრესაში გავრცელებული პუბლიკაციები ნიკო ლეკიშვილის კორუმპირებულობასთან დაკავშირებით, რის გამოც მან თანამდებობიდან გადადგომა გადაწყვიტა, ზოგიერთი პოლიტიკოსის დისკრედიტაციისაკენ მიზანმიმართული კამპანიაა.

ნიკო ლეკიშვილის განცხადებაზე დეპუტატთა განსხვავებულ რეაქციასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარემ აღიარა მმართველ „მოქალაქეთა კავშირში“ გარკვეული დაპირისპირების არსებობა, რაც ცალკეულ შემთხვევებში მწვავე ხასიათს იძენს.

**პრაიმ-ნიუსი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოძიება ბრალს სდებს

(პირველი გვერდიდან)

**— ბატონო ჯამლეთ, მთავრობის სხდომაზე თქვენ განაცხადეთ, რომ განსაკუთრებით დიდია სახელმწიფო თუ საბიუჯეტო თანხების დატაცების ფაქტები. რა ასაზრდოებს ამ მოვლენას, რატომ გახდა მასთან ბრძოლა ასეთი ძნელი და წარუმატებელი?**

— სახელმწიფო თუ საბიუჯეტო თანხების დატაცებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღრიცხვისა და კონტროლის სფეროში არსებული ხარვეზები. საკმაოდ სოლიდურ ორგანიზაციებშიც კი მოშლილია საფინანსო დისციპლინა, პრაქტიკულად მიწასთან არის გასწორებული ბუღალტერია, არ აღირიცხება ბიუჯეტიდან მიღებული ათეულ ათასობით ლარის მოძრაობა, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის მათ დასატაცებლად.

თბილისის პროკურატურაში ორიოდე თვის წინათ დამთავრდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე შპს „ინგასოს" დირექტორის ირაკლი [illegible]ძენიშვილის მიმართ, რომელსაც კულტურის სამინისტროდან 800.000 ლარამდე თანხის გატაცებაში დაედო ბრალი. დღეისათვის დატაცებული თანხა გამოძიებამ მთლიანად ამოიღო და დაუბრუნა სახელმწიფო ბიუჯეტს. ამასთან, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში მხილებულია კულტურის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე ე. მიქაბერიძე.

ახლახან დამთავრდა შპს „ვერას" დირექტორის გ. დამენიას საქმის გამოძიება, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროს მცირე ბიზნესის განვითარების და ხელშეწყობის ფონდიდან გამოიტანა 100 ათასი ლარის ინვესტიცია და მიითვისა, ხოლო ინვესტიციის ხარჯვაზე ყალბი დოკუმენტები შეადგინა. დამენიას საქმეს სასამართლო იხილავს.

საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურამ დაამთავრა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე „საქტრანსნავთობპროდუქტის" გენერალური დირექტორის მ. ზამბახიძის მიმართ, რომელმაც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, სამსახურებრივი სიყალბის და ყალბი დოკუმენტებით სარგებლობის გზით მიითვისა ნავთობპროდუქტების რეალიზაციით მიღებული 155.000 ლარი და დამალა ბიუჯეტში გადასახდელი 60.000 ლარი, გამოძიების პროცესში ამოღებული და ბიუჯეტში ჩარიცხულია 123.000 ლარი. საქმეს უზენაესი სასამართლო იხილავს.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სააქციო საზოგადოება „ვაზისას" (თერჯოლის ყოფილი შამპანურის ქარხანა) დირექტორის თემურ მოთაძის და სხვათა მიმართ. საწარმოს განზრახ გაკოტრებამდე მიყვანის გამო, რის შედეგადაც ბიუჯეტთან საწარმოს დავალიანებამ 2.283.500 ლარი შეადგინა.

ირკვევა, რომ ამავე სააქციო საზოგადოების საწყობის გამგეს ზაზა გუმბერაშვილს დატაცებული აქვს 424.432 ლარის მატერიალური ფასეულობა.

გრძელდება გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე შპს „თამარისის" ყოფილი დირექტორის, ამჟამად ძებნილი მეტრეველის მიმართ, რომელმაც ბლიაძესა და კამიასთან ერთად რკინიგზის დეპარტამენტში წარდგენილი ყალბი საგადასახადო დავალების გამოყენებით 480.000 ლარზე მეტი მიითვისა. ამ დანაშაულის თანამონაწილე 5 პირი უკვე მსჯავრდებულია. მუშაობა მიმდინარეობს დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

1996 წლის 2 სექტემბერს ასოციაცია „საჩინოს" პრეზიდენტმა მურად ტყემელაშვილმა თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის სამომხმარებლო ბაზრისა და მომსახურების დეპარტამენტის სახაზინო საწარმოს ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოსთან გააფორმა ხელშეკრულება 200 ათასი დოლარის ღირებულების სამრეწველო საქონლის შემოტანაზე, ამ მიზნით „საქართველოს ბანკმა" თბილისის მერიის გარანტიით თანხა გადარიცხა ქ. დუბაიში. ტყემელაშვილმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები არ შეასრულა, თანხა მიითვისა და მიიმალა. დანაშაულის ჩადენაში ეჭმიტანილი არიან სხვა პირებიც.

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურა იძიებს სისხლის სამართლის საქმეს თამაზ ბუჩაიძის მიმართ, სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაზე. ბუჩაიძე მუშაობდა რა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების იურიდიული სამსახურის უფროსად, ბუღალტერიის სალაროდან ხელზე გაიტანა 9000-მდე აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტა შპს „დელტასათვის" გადასახდელად. ამ ფირმის მიერ საბერძნეთიდან შემოსული საბრძოლო ხომალდ „სამოსის" მომსახურებისათვის, მან თანხა მიითვისა და მიიმალა.

გრძელდება საზღვაო სანაოსნოში გამოვლენილი სამართალდარღვევების გამოძიება. გაფლანგული და დატაცებულია მილიონობით დოლარი, რასაც დადებითი გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოს ბიუჯეტის ჩამოყალიბებასა და საბანკო სისტემის განვითარებაზე. სამწუხაროდ, ისინი საერთაშორისო თაღლითებისა და ავანტიურისტების ხელში აღმოჩნდა, რითაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა სახელმწიფოს.



# 1. არაფერს ერიდებიან: საზღვაო სანაოსნო გააჩანაგეს, საპენსიო თანხები გაიტაცეს...

გამოძიებით დადგინდა, რომ შექმნილი იყო სანაოსნოდან თანხების გატაცების, მათი ოპტიმალური დაბანდებისა და შემდგომში გათეთრების ერთიანი კონტროლირებადი სისტემები, როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე შვეიცარიაში, თურქეთში, რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რითაც ამ საქმემ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, რომლის გამოძიებაშიც აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენი უცხოელი კოლეგები.

ამის შედეგად ინგლისში დააკავეს რამდენიმე პირი, რომელთა საცხოვრებელ ბინებში ჩატარებული ჩხრეკების შედეგად ამოღებულია დანაშაულობათა დამადასტურებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტები და სხვა მასალები, რომელთა საბოლოო გამოკვლევისა და ანალიზის შედეგად, ალბათ, გამოძიებას სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევს.

**— გამოძიებას დანაშაულის რაიმე ახალი ეპიზოდი ხომ არ მოუპოვებია?**

— დიახ, მოიპოვა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მოსკოვის „მოსსტროიეკონომბანკში" და „საზღვაო ბანკში" გახსნილ საბანკო ანგარიშზე სხვადასხვა კომპანიის მეშვეობით ურიცხავდნენ დიდძალ თანხებს, შემდგომში მათი მითვისებისა და გათეთრების მიზნით. გარდა ამისა, მოსკოვის „ენეშეკონომბანკში" საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჰქონდა რამდენიმე ანგარიში, რომელზეც 41 მილიონი დოლარი ერიცხებოდა. ამ თანხებს შემდეგ ბლოკირება გაუკეთა რუსეთის მთავრობამ.

საკომპენსაციო საფრახტო ოპერაციების განხორციელების მოტივით, საქართველოს სანაოსნოს ხელმძღვანელმა პირებმა რუსეთის, იაპონიის და პაკისტანის ფირმების მონაწილეობით, შესძლეს სხვადასხვა ხერხით გაეტაცათ სანაოსნოს კუთვნილი თანხები. საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნით ამ ანგარიშებიდან 17 მილიონ დოლარზე მეტია გატაცებული.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ონშორული და ოფშორული ფლოტის ხელმძღვანელები, დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით, ქმნიდნენ ერთობლივ საწარმოებსა და კომპანიებს მსოფლიოს სხვადასხვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, ხოლო გატაცებული თანხების გათეთრებას ძირითადად ახდენდნენ შვეიცარიასა და თურქეთში დაფუძნებული ფირმების ანგარიშების გამოყენებით.

ამ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, 2000 წლის 29 თებერვალს სისხლის სამართლის საქმე აღეძარით საქართველოს პარლამენტის წევრის ასლან სმირბას მიმართ 1998 წლის აპრილში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კუთვნილი 29 ათასი დოლარის დატაცებაზე. სმირბასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხი ამჟამად განიხილება.

კონკრეტულ ღონისძიებებს ვატარებთ დამნაშავეთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიებების განსახორციელებლად.

**— საბიუჯეტო პრობლემებისა და გაუცემული პენსიების შედეგად წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ საქმეთა დროული და ხარისხიანი გამოძიება, რომლებიც აღძრულია საპენსიო თანხებისა და სოციალური დახმარების ფონდების დატაცების ფაქტებზე. ამ მხრივ პროკურატურის ორგანოებს რა მსხვილი საქმე აქვს გამოძიებული?**

— არაერთი რთული და მსხვილი საქმე გამოვიძიეთ — სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული მაღალი თანამდებობის პირები.

გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა „საქართველოს ფოსტის" სენაკის ფილიალში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით.

გამოძიებით დადგინდა, რომ 1998-2000 წლებში შპს „საქართველოს ფოსტის" სენაკის ფილიალის ხელმძღვანელობამ (უფროსი ელგუჯა აფაქიძე) პენსიებისთვის განკუთვნილი თანხებიდან, თავიანთ თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების და სხვა ხარჯების სახით გახარჯული აქვთ 40 000 ლარზე მეტი. რისი გაკეთების უფლებაც მათ არ ჰქონდათ, რადგანაც ეს თანხა პენსიებისათვის იყო განკუთვნილი.

შპს „საქართველოს ფოსტის" რევიზორებმა ა. ფხაკაძემ და ს. ჭითანავამ სენაკის ფილიალში ჩატარებული რევიზიის აქტში დამალეს ამ თანხის არამიზნობრივად გამოყენება, რისთვისაც ქრთამად აიღეს 2000 ლარი.

ერთიანი სახელმწიფო ფონდის სენაკის ფილიალის უფროსი ვალია გვასალია ვალდებული იყო ყოველთვიურად პენსიონერებზე გასაცემად „საქართველოს ფოსტის" სენაკის ფილიალისთვის გადაერიცხა გარკვეული თანხები. ფულის ჩარიცხვის შემთხვევაში, სენაკის ფილიალის მთავარი ბუღალტერი ლეილა კვინიკაძე, ელგუჯა აფაქიძესა და ვალია გვასალიასთან შეთანხმებით სალაროში საშუალოდ 10 ათას ლარს იტოვებდა, დანარჩენს კი გასცემდა ოპერატორებსა და განყოფილებათა გამგეებზე პენსიების სახით დასარიგებლად. სალაროში დატოვებულ თანხას იტაცებდნენ და ინაწილებდნენ.

გამოძიებით ირკვევა, რომ 1998 წლის ივლისში „საქართველოს ფოსტის" სენაკის ფილიალის საქმიანობა შეამოწმეს საქართველოს კონტროლის პალატის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ბიუროს რევიზორებმა ტიტიკო ხაზალიამ და ლერი უჩანეიშვილმა (ეს უკანასკნელი კონტროლის პალატის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელია სენაკის რაიონში).

წინასწარი მონაცემებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა აფაქიძემ და კვინიკაძემ ქრთამის სახით 5000 ლარი მისცეს ხაზალიას, რათა მას ისინი არ ემხილებინა. მიმდინარეობს მიღებული ჩვენებებისა და სხვა მასალების გადამოწმება.

დღეისათვის ფილიალში დატაცებულმა საპენსიო თანხებმა 245.000 ლარს გადააჭარბა — რევიზია გრძელდება.

გამოძიების მიერ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისაგან უკვე ამოღებულია 32.500 ლარი.

4 ივლისს ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და დაკავებული არიან სენაკის რაიონის ფოსტის უფროსი ელგუჯა აფაქიძე და ამავე რაიონის საპენსიო ფონდის უფროსი ვალია გვასალია, რომელთა დაპატიმრებაზეც საკითხი დასმულია სასამართლოში.

მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები ყველა დამნაშავის მხილებისა და გატაცებული თანხების ამოსაღებად.

დამთავრდა გამოძიება ქალაქის ფოსტამტის საბანკო ანგარიშებიდან პენსიონერებისათვის განკუთვნილი 460.000-ზე მეტი ლარის ფულადი თანხების დატაცებაზე. სასამართლოს მიერ მსჯავრდებული არიან ფოსტამტის მთავარი ბუღალტერი ნატო ქინქლაძე და პენსიების დარიცხვისა და გაცემის ცენტრის მთავარი ბუღალტერი ეკატერინე ხორიაშვილი. ფოსტამტის უფროსი დიმიტრი ხვედელიძე მიმალულია და იძებნება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში მიმდინარეობს ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფის მიერ დევნილთა მოწმობების გაყალბების, მექრთამეობის, ოფიციალურ დოკუმენტებში ყალბი ჩანაწერების შეტანისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმის გამოძიება, რის შედეგადაც მოხდა არარსებულ პირებზე ფულადი დახმარების თანხების დარიცხვა და დატაცება. დანაშაულის ჩადენაში იმხილება 15-ზე მეტი თანამდებობის პირი, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ყოფილი წამყვანი სპეციალისტი ლევან ხვედელიძე, სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთისა და გაგრის გამგეობებისა და მერიათა თანამდებობის პირები, დევნილთა სამსახურის წევრები, ნოტარიუსები და ა. შ.

მათ 1996-1999 წლებში გაერთიანებული ქართული ბანკისა და საქართველოს საფოსტო ბანკის რუსთავის რეგიონული ფილიალიდან გაიტანეს და მიითვისეს 52 ათასი ლარი, რომელიც განკუთვნილი იყო დევნილთა შემწეობისათვის. დამნაშავეთა ნაწილი დღეისათვის უკვე მსჯავრდებულია, დანარჩენების მიმართ კი გამოძიება უმოკლეს ხანებში დამთავრდება.

**ალექსანდრე ალექსიძე.**

## სტატისტიკა

# გვიამბობენ ციფრები და ფაქტები

### გენერალური პროკურატურის მონაცემები

**1999 წელს და წლევანდელი წლის პირველ ნახევარში შესაბამისმა სამსახურებმა ქვეყანაში გამოავლინეს 2139 კორუფციული ხასიათის დანაშაული.**

**წლევანდელი წლის 6 თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ამ სახის დანაშაული გაიზარდა 701-დან 932-მდე, მისი ხვედრითი წონა კი საერთო დანაშაულთა რაოდენობაში 9,4-დან 11,7 პროცენტამდე.**

**მნიშვნელოვნად — 177-დან 226-მდე გაიზარდა სახელმწიფო ქონების დატაცების გამოვლენა. 42-დან 70-მდე შემოსავლების დამალვისა, 16-დან 33-მდე საბაჟო წესების დარღვევისა და სხვა.**

**მატების ტენდენცია შეინიშნება მექრთამეობის გამოვლინებაშიც, თუმცა მდგომარეობა ამ მხრივ მაინც არასახარბიელოა და ვერ უპასუხებს შექმნილ რეალურ ვითარებას.**

**უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა წინასწარი გამოძიება ჩაატარეს და სასამართლოში გაგზავნეს 1400-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე 1700-ზე მეტი პირის მიმართ. მათ შორის პროკურატურის ორგანოების მიერ 500-ზე მეტი საქმე 550-მდე პირის მიმართ.**

**აქედან: მექრთამეობაზეა 62 საქმე 75 პირის მიმართ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ქონების დატაცებაზე — 500-მდე საქმე 550-მდე პირის მიმართ, სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაზე — 70-ზე მეტი საქმე 173 პირის მიმართ. შემოსავლების დამალვაზე — 70-მდე საქმე 71 პირის მიმართ, საბაჟო წესების დარღვევებზე — 100-ზე მეტი ამდენივე პირის მიმართ, აქციზური მარკის გარეშე საქონლის რეალიზაციაზე — 270-მდე საქმე 280-მდე პირის მიმართ და სხვა.**

## პრობლემა

# კანონი გვაქვს ისეთი, კაცმა მთელი ხაზინა რომ გასცეს, პასუხს არ აგებს

**კორუფცია ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა.**

**ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი წერილობითი წყარო, რომელიც მოხელეთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და მექრთამეობის ფაქტზე მიგვანიშნებს, ეგვიპტურმა პაპირუსმა შემოგვინახა, რომელიც XX დინასტიის (1200-1085 წ. წ. ძვ. წ. ა.) ფარაონის რამზეს IX-ის ზეობის პერიოდისაა.**

**იგი აგვიწერს სასამართლო პროცესს, რომელიც არჩევდა მეფეთა ხეობაში აკლდამების სისტემატური ძარცვის ამბავს. ირკვევა, რომ მასში გარეული იყვნენ დასავლეთ თებეს (მეფეთა ხეობა ამ ოლქში მდეიოდა) მმართველი პევერო და თვით თებეს მთელი ოლქის მეფის ნაცვალი ხამუასი, რომლებიც, ალბათ, თავიანთ წილს იღებდნენ ამ მომგებიანი საქმიდან. ცდუნება მეტისმეტად დიდი იყო: აკლდამებში ისეთი სიმდიდრე იმალებოდა, რომელზე ოცნებაც კი ძნელია. აქ საინტერესო ისიც არის, რომ სასამართლომ უშუალო მძარცველებს — 8 მდაბიოს კი მიუსაჯა სიკვდილი, მაგრამ ბოროტმოქმედების მთავარ ჩამგონებლებზე, მაღალი თანამდებობის დიდებულ ხამუასსა და ქალაქის ჩინოვნიკ პევეროს ბედზე პაპირუსში არაფერია ნათქვამი, „გასაგები მიზეზის" გამო მათი საქმე სასამართლოს არც გაურჩევია.**

**სამი ათასი წლის წინანდელი ქარგა დღესაც ბეჯითად მეორდება.**

**აკი ბრძანებს ეკლესიასტე, „თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე. რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი".**

**ქარგა იგივეა, ვარიაციებია ახალი, უფრო სწორად, „კარგად დავიწყებული ძველი".**

**თუ ამ კუთხიდან მივუდგებით, ალბათ, არ უნდა გაგვიკვირდეს, ჩვენი თანამოქალაქენი პირდაპირ საარაკო სილაღით რომ არღვევენ კანონს, აცურაკებენ სახელმწიფოს, ცდილობენ აუცილებლად რაღაც წაღლიტონ მას.**

**ოღონდ, რაგინდ „ისტორიული კანონზომიერების" ტრაფარეტი მივუყენოთ, გული გიკვდება, როცა სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ნიადაგ მეოცნებე და ჯიხვის რქით სადღეგრძელოს მსმელი ქართველი, რის ვაივაგლახით მსუნთქავ დამოუკიდებელ საქართველოს ფეხქვეშ ნიადაგს აცლის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ისედაც ღარიბ-ღატაკსა და უქონელს, ისეთ თანხებს სცინცლავს ჯიბიდან, თვით რამზეს IX-ს რომ შეუქანდებოდა გული.**

1998 წელს კონტროლის პალატიდან შესული მასალების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა შპს „ვითას" გენერალური დირექტორის ვ. ძიძიგურის მიმართ სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე.

**გამოძიებამ დაადგინა, რომ 1996 წელს, ქვეყანაში ხორბლისა და ფქვილის შემოტანის საბაბით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ყოველგვარი გარანტიის გარეშე, გასცა 6 საგარანტიო წერილი: სააქციო საზოგადოება „კახეთის პურზე" — 5769225 დოლარის, შპს „ვითაზე" — 5082500 დოლარის, „ცეკავშირზე" — 2518110 დოლარის, თავდაცვის სამინისტროზე — 5898375 დოლარის, შპს „სივიესზე" — 6173750 დოლარის და შპს „კავკასგრეინზე" — 4695600 დოლარის, სულ — 30137560 დოლარის.**

მოვლენათა მსვლელობა შემდეგ ასე წარიმართა:

საქართველოს ეროვნულ ბანკს ხორბლის მომწოდებელთა სასარგებლოდ გარანტიები გახსნილი ჰქონდა საფრანგეთის ბანკ „კრედიტ კომერსიალ დე ფრანსში".

კრედიტმიღებულმა ფირმებმა, რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკისთვის კრედიტის სრულყოფილი დაფარვა ვერ უზრუნველყვეს;

საფრანგეთის ბანკმა 25507521 დოლარი ჩამოაჭრა ეროვნულ ბანკს.

შემდეგ ამ ფირმებმა და ორგანიზაციებმა ვალის რაღაც ნაწილი კი დაფარეს, მაგრამ დღეის მდგომარეობით, მათ ერიცხებათ **12192113 დოლარი** ძირითადი გადასახდელის დავალიანება, ხოლო გადასახდელის პროცენტებისა და ჯარიმების გათვალისწინებით — **22727420 დოლარისა.**

ეროვნულმა ბანკმა 1997 და 1998 წლებში სასამართლოებში სარჩელები აღძრა „ცეკავშირისა" და „კახეთის პურის" მიმართ დარჩენილი დავალიანების იძულების წესით გადახდევინების შესახებ.

ყველა სარჩელი განხილული და დაკმაყოფილებულია, ოღონდ... ვალი დღესაც გაუსტუმრებელია.

ეროვნული ბანკი განმარტავს, რომ საგარანტიო წერილების გაცემით არც მას, არც ბიუჯეტს და არც სხვა უწყებას ზარალი არ მოსვლია, რადგან, საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა შექმნა რეზერვი დებიტორულ დავალიანებათა უზრუნველსაყოფად; დავალიანების მქონე ფირმები და ორგანიზაციები აღრიცხული ჰყავს დებიტორებად და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების შესაბამისად, მათ საჯარიმო სანქციებს არიცხავს, სასამართლოში აღძრავს სარჩელებს, რომელთა ნაწილიც დაკმაყოფილებულია და ხდება აღსრულება. ეროვნული ბანკი განმარტავს: იმ შემთხვევაში, თუ ფირმა გაკოტრდება და ვეღარ შეძლებს ვალის დაბრუნებას, დარჩენილი დაუბრუნებელი თანხა დაიფარება დარეზერვებული თანხებით და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება ბანკი დაზარალებულად.

ასეთი შემთხვევა უკვე არის, უფრო სწორად, კარგა ხანია არის:

როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაზე მოგახსენებთ, შპს „ვითას" ვალი, ალბათ, საერთოდ ყინულს უნდა დაეწეროს. მისი აქტივები უმნიშვნელოა და პრაქტიკულად შესაძლებლობა არ აქვს დაფაროს დავალიანება — 5 მილიონი დოლარი, სულ კი, დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების გათვალისწინებით, — 9 მილიონ დოლარზე მეტი. როგორც ვთქვით, „ვითას" გენერალური დირექტორის ვ. ძიძიგურის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში სისხლის სამართლებრივი დევნის და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსს რამაზ ხმალაძეს მიაჩნია, რომ აქ გამოკვეთილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების ხანგრძლივი დროით გაცემა, თანაც ისე გაცემა, რომ სათანადოდ არ შემოწმებულა რის საფუძველზე უნდა გაცემულიყო იგი. ასევე — აშკარაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტები. და ამ დროს, ერთ საინტერესო მოვლენასთანაც გვაქვს საქმე: ასეთი ხასიათის სამართალდამრღვევთა მიმართ სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს! ერთი სიტყვით, მთელი ხაზინა რომ გასცეს, ფეხებსაც ვერ მოსჭამ!

თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ დიდძალი სახელმწიფო სახსრები ექცევა ფიზიკურ პირთა გამგებლობაში, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ არ გამოიყენება.

**ფაქტობრივად, გაჩნდა თანხების მითვისების კიდევ ერთი, შეუიარაღებელი თვალისთვის ვითომც შეუმჩნეველი ტექნოლოგია, როდესაც არ სრულდება ნაკისრი ვალდებულება და არც „კრედიტით აღებული" ფული უბრუნდება გადამხდელს.**

როგორც წესი, ამას ხსნიან კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული ზარალით, წარუმატებელი ფინანსური საქმიანობით, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

ოღონდ, ამ „ჩვეულებრივი მოვლენის" გამო სახელმწიფო კარგავს კოლოსალურ თანხებს და თუ გამოძიებამ ვერ დაადასტურა, რომ ხელშეკრულება წარმოადგენდა თანხების მითვისების ხერხს — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ასეთი სახის სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების მიზნით, პროკურატურის მუშაკებს აუცილებლად მიაჩნიათ **სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება სახელმწიფო კრედიტების უკანონოდ, დაუსაბუთებლად მიღების, ამ კრედიტის არამიზნობრივად გამოყენების, საკრედიტო დავალიანების დაფარვისაგან ბოროტად თავის არიდებისათვის, აგრეთვე, ნდობის ბოროტად გამოყენებით ქონების მესაკუთრის ან მისი მფლობელის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებისთვის, როდესაც მათ ამის გამო მოგება ვერ მიიღეს.**

ალბათ, მართლაც, მხარდასაჭერი მოსაზრებებია.

**ალეკო ასლანიშვილი.**

## დღის თემა

**როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი.**

**ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება სამუშაო ჯგუფის წევრი, საქართველოს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი.**



# პრეზიდენტმა ზუსტად იცის იმ მომენტის გათვლა, როცა გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას

**— ქალბატონო ნანა, ვიცით, რომ ამ ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს მრავალეტაპობრივი, მრავალგანზომილებიანი ანტიკორუფციული პროგრამა, რომელიც უახლოეს წლებში განსახორციელებელ, კარდინალურ, ძალზე რადიკალურ ღონისძიებებსა და შესაბამის პოლიტიკას დაედება საფუძვლად. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ხომ არ დავაგვიანეთ?**

— საყოველთაოდ ცნობილია, პრეზიდენტმა ყოველთვის ზუსტად იცის იმ მომენტის გათვლა, როცა გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ბოლო წლებში სულ კორუფციაზეა ლაპარაკი, მაგრამ როცა მოსახლეობაში გამწვავდა ეს პრობლემა, პრეზიდენტმაც აბსოლუტურად სწორი და დროული ნაბიჯი გადადგა. მანამდე რომ მომხდარიყო ეს, ის პოლიტიკოსები, დღეს რომ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლებად გვევლინებიან, ერთ ვაიუშველებელს ატეხდნენ, ამ ნაბიჯს ოცდაჩვიდმეტ წელს შეადარებდნენ. დღეს კი, უკვე კორუფცია გაუცემელი ხელფასების, პენსიების სახით უშუალოდ თვით მოსახლეობას შეეხო და საზოგადოებაში მტკიცედ განმტკიცდა აზრი, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია.

**— სამართალდამცავი სტრუქტურების არცთუ დახვეწილი სისტემა და თანამშრომელთა მძიმე მატერიალური და ფინანსური მდგომარეობა, მწირი ტექნიკური ბაზა იძლევა იმის საფუძველს, რომ კანონდამცველი ორგანოები კორუფციასთან ბრძოლის ტემპსა და სიმწვავეს გააძლიერებენ?**

— არა, რა თქმა უნდა. ეს უნდა გააკეთოს ისეთმა სტრუქტურამ, რომელიც მიუკერძოებელი და ობიექტური იქნება. კორუფცია სამართალდამცავ ორგანოებში ისეა მოდებული, ისინი საკუთარი თავის განმსჯელებად არ გამოდგებიან. თუმცა, ამა თუ იმ პიროვნების დასჯით საქმე არ გაკეთდება, თუ იმ წყაროს არ მიაგენით, საიდანაც იგი წარმოიშვა. უნდა მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებები, შეიქმნას ნორმატიული აქტები და სხვ.

**— ქვეყანაში არსებული კორუფციული ფენომენის ხანგრძლივი არსებობა გაძლევთ იმედს, რომ პრობლემა ბოლოს და ბოლოს მოგვარდება?**

— კორუფცია ოდითგანვე ყველა ქვეყანაში არსებობს. პრობლემა მისი მასშტაბებია და არა ხანგრძლივობა. ჩვენს სინამდვილეში სწორედ მისმა მასშტაბებმა გადააჭარბა ყოველგვარ ზღვარს. ამას უნდა ვებრძოლოთ.

**— რა უმაგრებს ამ პროგრამას ზურგს?**

— უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტის ნება, შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სიამოვნებით დაგვეხმარებიან. ასევე, დიდ დახმარებას გაგვიწევს კორუფციის შესახებ მოკვლეული მასალები, რომელსაც უშიშროების საბჭო გადმოგვცემს.

**— ეჭვსაც აქვს არსებობის უფლება: ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ეს კამპანია დამთავრდება ანტიკორუფციული სამსახურის ფორმალური დაარსებით და რამდენიმე ოდიოზური კორუმპირებული მოხელის დაპატიმრებით, ან კიდევ, ეს პროცესი ხომ არ გამოიწვევს ანგარიშსწორებას, შანტაჟს და სამოქალაქო დაპირისპირებას?**

— ჩვენს ჯგუფს რაც შეეხება, პიროვნების დაჭერით არ იქნება დაკავებული. ეს არის პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფი, რომელიც იფიქრებს იმაზე, თუ რა ღონისძიებები გატარდეს, რა წყაროები და საშუალებები გაგვაჩნია, რომ ქვეყანა კორუფციას ავაშოროთ.

არა მგონია, ანგარიშსწორება, შანტაჟი და სამოქალაქო დაპირისპირება გაჩაღდეს. კომუნისტების დროს იყო ადამიანის კორუმპირებული საქმიანობა დამალული, თორემ დღეს ყველაფერი სააშკარაოზეა. ვინ რას აკეთებს, ყველამ ყველაფერი იცის. არავის არაფერი ტყუილად არ დაბრალდება.

**— ესე იგი, საქართველოში კორუფცია სამუდამოდ განადგურდება?**

— კორუფცია სამუდამოდ არც ერთ ქვეყანაში არ განადგურებულა და ვერც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი. ლაპარაკია მინიმუმამდე მის დაყვანაზე. ილუზიაა, რომ კორუფცია დაიძინებს და არ გაიღვიძებს, მე ნამდვილად არ მაწუხებს. მომხვეჭელობის მომენტი ადამიანში დასაბამიდან არსებობს. მთავარია, საზოგადოება არ იყოს ამაზე აგებული. სახელმწიფომ თავისი ფუნქციები უნდა დაიბრუნოს. არ შეიძლება ასე ძალიან კორუმპირებულ ქვეყანაში საზოგადოებამ ნორმალურად იარსებოს.

**— ქალბატონო ნანა, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს სამსახური ჩვენს გულგატეხილ საზოგადოებაში საყოველთაო ნდობას და აუცილებელ ავტორიტეტს მოიპოვებს?**

— ასეც უნდა მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს დამოკიდებული იქნება იმ ანტიკორუფციულ სამსახურზე, რომელიც შემოდგომაზე შეიქმნება. ჩვენ, ასე ვთქვათ, გეგმა-ჯგუფი ვართ. წარმოვადგენთ პროგრამის ძირითად მიმართულებას, საკვანძო კომპონენტებს და ღონისძიებათა გეგმას, რისი მიხედვითაც ანტიკორუფციულმა სამსახურმა უნდა იმუშაოს.

ესაუბრა **მზია გელენავა.**




— ისე შეჭამს, ლუკმას არ დატოვებს.

ვახტანგ კუციას ნახატი.

საქართველოს რესპუბლიკა
№188. პარასკევი, 14 ივლისი, 2000 წელი.

ხუთშაბათობა

# თურქეთი თურქმენეთის გაზს მხოლოდ ტრანსკასპიური მილსადენიდან იყიდის

(პირველი გვერდიდან)

ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი აზერბაიჯან-საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთში თურქმენეთის გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. ამ მილსადენის მშენებლობის პროექტზე მოლაპარაკება ერთი წლის წინათ დაიწყო. თურქმენეთის მთავრობამ პროექტისა და მშენებლობის განსახორციელებლად უპირატესობა ცნობილი ამერიკული ფირმების „ჯენერალ ელექტრიკისა" და „ბეხტელის" მიერ დაფუძნებულ ერთობლივ კომპანია „პსჯ"-ს დაავალა. სხვადასხვა დონის მოლაპარაკებები ამ საკითხზე თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და როგორც ცნობილია, სტამბოლის სამიტზე საბოლოოდ მემორანდუმსაც მოეწერა ხელი, სადაც პროექტში მონაწილე ქვეყნების აზერბაიჯანის, თურქეთის, თურქმენეთის, საქართველოს პრეზიდენტების გარდა, ხელი ამერიკის პრეზიდენტმაც მოაწერა და ამ გაზსადენის მიმართ ამერიკის ადმინისტრაციის მხარდაჭერა გამოხატა.





როგორც ბატონი ალეკო გოცირიძე განმარტავს, იმ პერიოდში ტრანსკასპიური გაზსადენის საპროექტო სამუშაოებში „პსჯ"-სთან ერთად მეორე ცნობილი კომპანია „შელიც" ჩაერთო. „შელი" სწორედ ის კომპანიაა, რომელმაც უნდა მოიპოვოს თურქმენული გაზი. იგი საძიებო და წიაღისეულის ამოღების გარდა, ამ ნედლეულის ტრანსპორტირებითაც არის დაკავებული. ამდენად, „პსჯ"-ს და „შელის" ერთად უნდა ეწარმოებინათ თურქმენეთიდან გაზის ტრანსპორტირება. გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო „შელი" და თურქმენეთის მთავრობა ბოლო პერიოდში გაზის მოპოვების ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ვერ შეთანხმდნენ, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გაჭიანურდა. ამის გარდა, თურქმენეთმა სხვა მხრივაც შეიცვალა პოზიცია, 16 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის მილსადენის ნაცვლად, რომლის პროექტიც გამზადებული იყო, 30 მილიარდ კუბმეტრის სიმძლავრის მილსადენის მშენებლობა მოითხოვა, ბუნებრივია, ამ პროექტს ახალი გაანგარიშება სჭირდებოდა. პროექტის მომზადება კვლავ „პსჯ"-ს დაევალა, თუმცა ახალი პროექტი თურქმენეთის პრეზიდენტმა არ მოიწონა (სწორედ ამ პერიოდში რუსეთის პრეზიდენტი შეხვდა თურქმენეთის პრეზიდენტს), თურქმენეთმა უარი განაცხადა „პსჯ" მომსახურებაზე. „პსჯ", რომელსაც საპროექტო სამუშაოებისთვის თავისი ოფისები ჰქონდა საქართველოსა და აზერბაიჯანში, დახურა. დღეს თურქმენეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას „შელი" აწარმოებს. 2-3 კვირის განმავლობაში უკვე ცნობილი გახდება თურქმენეთის მხარის მიდგომა ტრანსკასპიური გაზსადენის ახალი პროექტის მიმართ.

ბოლო პერიოდში კიდევ უფრო საინტერესო ფაქტორებმა იჩინა თავი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კვლევის შედეგად გაზის უზარმაზარი მარაგები აღმოჩნდა. კერძოდ, „შახდენიზის" საბადო. როგორც გეოლოგები ამტკიცებენ, აქ 700 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი გაზის მარაგებია, თუმცა, თავად აზერბაიჯანელი სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს ციფრი ტრილიონს აჭარბებს. ამასთანავე, აზერბაიჯანში დაძიებულია კიდევ რამდენიმე საბადო, სადაც ნავთობის არსებობას ვარაუდობდნენ, მაგრამ იქაც გაზი აღმოჩნდა. „შახდენიზის", „აპშერონის" და სხვა საბადოების წყალობით აზერბაიჯანი მსოფლიოში გაზის მარაგების ერთ-ერთი უდიდესი მფლობელი გახდა. საყურადღებოა, რომ სტამბოლის სამიტზე აზერბაიჯანული გაზის თურქეთში ტრანსპორტირების თაობაზე შეთანხმების მეორე მემორანდუმსაც მოეწერა ხელი. აღმოჩნდა, რომ ამ პროექტის განხორციელება დაასწრებს ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტს. ეს შეიძლება ძირითადი პროექტის პირველ ეტაპად ჩაითვალოს. ჯერ აზერბაიჯანიდან საქართველოზე თურქეთში გამავალი მილსადენი აშენდება, შემდეგ მას კასპიის ზღვის ფსკერის გავლით თურქმენეთის გაზსადენი მიუერთდება.

რამდენიმე დღის წინათ თურქეთის პრეზიდენტი ვიზიტად იმყოფებოდა აზერბაიჯანში, სადაც გაცხადდა, რომ ორივე ქვეყანა ენერგეტიკის პროექტებში კლავინდებურად მჭიდროდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან. განსაკუთრებით ხელს შეუწყობენ ახალი პროექტის განხორციელებას. ამ გაზსადენის სიგრძე დაახლოებით 760 კილომეტრი იქნება, აქედან 250 კილომეტრი მილსადენი საქართველოზე გაივლის. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია 5 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის გაზის გატარება. შემდგომ იგი 10-დან 30 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის საპროექტო სიმძლავრეს მიაღწევს. ეს პროექტი თავის მხრივ შემდეგში თურქმენეთისა და ყაზახეთის გაზსაც გაატარებს. მშენებლობის ვადებიც არ შეცვლილა, 2002 წლისათვის ამ მილსადენით თურქმენეთმა გაზი უნდა მიიღოს.

როგორც საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი აღნიშნავს, ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობას ხელს ვერაფერი შეუშლის. ჯერ ერთი, რომ თურქმენეთის მთავრობა პრიორიტეტს ტრანსკასპიურ გაზსადენს ანიჭებს, მეორეც, პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა თავის დროზე თურქმენეთის პრეზიდენტს არაერთხელ განუცხადა, რომ იგი თურქმენეთის გაზს არც რუსეთის, არც ირანის, არამედ მხოლოდ ტრანსკასპიური მილსადენიდან მიიღებს. პრეზიდენტ დემირელის პოზიციას თურქეთის დღევანდელი ადმინისტრაციაც უპირობოდ უჭერს მხარს. ესეც რომ არ იყოს, თურქმენეთი თავადაც დარწმუნდა იმაში, რომ რუსეთი თავისი მილსადენით სხვის გაზს არ გაატარებს. თურქმენეთს მომავალში ირანშიც შეიძლება ანალოგიური პრობლემა შეექმნას, რადგან ირანს თავად აქვს გაზის დიდი მარაგი, რომლის მოსაპოვებლად ფრანგული და რუსული კომპანიები ირანში ინტენსიურად მუშაობენ. ამიტომაც თურქმენეთი ეძებს გზას, რათა თავისი გაზი მსოფლიო ბაზარზე უპრობლემოდ გაიტანოს, ამისათვის კი ტრანსკასპიური გაზსადენი უალტერნატივოა.

კითხვაზე აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში გაზის ტრანზიტი ხომ არ გაიააფებს ჩვენს მიერ მოხმარებული გაზის ფასს, ბატონმა ალეკო გოცირიძემ განაცხადა – საქართველოში გაზი კანონმდებლობის გზით უნდა გაიაფდეს. ჩვენთან იმდენად გაბერილია გადასახადები, რომ საზღვარზე 45 დოლარად ნაყიდი გაზი საწარმოებს 80 დოლარად, ხოლო თბილისის მოსახლეობას 150 დოლარად მიეწოდება. ჯერ ვერც აზერბაიჯანი მოიპოვებს საჭირო რაოდენობის გაზს, ისიც რუსეთიდან ყიდულობს, მაგრამ იქ საბაჟო თუ სხვა გადასახადები საერთოდ მინიმალურია და გაზიც შესაბამისად იაფია.

როგორც ბატონი ალეკო გოცირიძე ამბობს, ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობიდან და ექსპლოატაციით საქართველო უამრავ პირდაპირ და არაპირდაპირ შემოსავალს მიიღებს. მშენებლობაზე ძირითადად ჩვენი სპეციალისტები დასაქმდებიან და ოპერირებას ჩვენვე გავუწევთ.

დღეს უკვე ამ პროექტის განსახორციელებლად სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. დგინდება, სად, როგორ, რომელი მიმართულებით შეიძლება გაიაროს მილსადენმა, ზუსტდება ყველა ნიუანსი, სადაც ეკოლოგიურ მხარეს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება. ამისათვის კი წინასწარი მონაცემებით სერიოზული თანხებია გათვალისწინებული.

**შოთა მაჭარაშვილი.**

**ნახატებზე: ალეკო გოცირიძე და გაზის კორპორაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელი გია აბაშიძე.**

*ბელა დურგლიშვილის მეგობრული შარჟები.*

მედიცინა

SOS – ყურადღება!

# ქვეყნად სიცოცხლის პირველწყაროს – ქალს, დედას...

**ახალი სიტყვა სარძევე ჯირკვლის დაავადებების დიაგნოსტიკაში. უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები ექომამოგრაფიაში.**

... ულტრასონოგრაფიის სასწავლო კვლევით ცენტრში მუდამ სიახლის ძიებაა, შარშან აქ „თი-ბი-სის" ჯგუფის პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის დახმარებით ამიერკავკასიაში უნიკალური და ერთადერთი „სონოლაინ ელეგრა" კომპიუტერით აღჭურვილი, მსოფლიოში ცნობილი ფირმა „სიმენსის" ბოლო თაობის სამგანზომილებიანი ფერადი პანორამული ულტრაბგერითი სადიაგნოსტიკო აპარატი დაიდგა. ამ ცენტრმა და საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ აქ ერთობლივად გამართეს პროფესორ დავით ტატიშვილის (სოფიო მახარაძის თანაავტორობით) მონოგრაფიის **„უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები ექომამოგრაფიაში"** პრეზენტაცია. თუმცა, როგორც ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომელსაც საქართველოსა და მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი ესწრებოდნენ, არ ატარებდა მონოგრაფიის პრეზენტაციის ხასიათს, არც სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის სახე ჰქონდა. აქ იყო გულწრფელი ლაპარაკი იმ უნიკალურ ნაშრომზე, რომელიც ამ ცენტრის დირექტორის პროფესორ დავით ტატიშვილის მცდელობით მომზადდა. თავიდან სლაიდების მოშველიებით საუბარი საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დეპარტამენტის უფროსმა ნატა ყაზახაშვილმა წამოიწყო. მან დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ. გააცნო შობადობის მრუდი, საქართველოში პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ შობადობის შეწყვეტის და ოჯახის ერთი შვილის იმედით დარჩენის ტრადიცია; დაასახელა ფაქტები მშობიარე დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლებით, მოიყვანა ქალთა ჯანმრთელობის გაუარესების მაგალითები, მკვდართშობადობის მიზეზები... მისი საუბრის თანხლებით ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა გამაფრთხილებელი წარწერები: „ნაადრევი მშობიარობის სამგანო ანიმნეზი", „აბორტის საზიანო გავლენა ქალის ორგანიზმზე", „სარძევე ჯირკვლისა და ვენიტალიური ორგანოების სიმსივნური დაავადებები საქართველოში", „აბორტების სიხშირის გამო ქალთა ჯანმრთელობის გაუარესება და სიმსივნის გამომწვევი მთავარი მიზეზი" და ა. შ. აღნიშნა, რომ ძუძუს სიმსივნისაგან ქალის ჯანმრთელობის ხსნის ერთადერთი გზაა ადრეული დიაგნოსტიკა და მისი პროფილაქტიკა, რაც თვითგასინჯვაზეა დამოკიდებული, რადგან ყველა ქალს კარგად უნდა ესმოდეს ძუძუს შენარჩუნების უდიდესი მნიშვნელობა. მოსახლეობამ უნდა ირწმუნოს თვითგასინჯვის აუცილებლობა; კარგად გაეცნოს ამ დაავადების 14 რისკის ფაქტორს. აგრეთვე, მხედველობაშია მისაღები გენეტიკური დატვირთვა და მემკვიდრეობა.




შემდეგ კი მონოგრაფიის ავტორმა შეკრებილთ იმ ძირითად მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა, რითაც ამ ნაშრომის შექმნის დროს ხელმძღვანელობდა, აგრეთვე, იმ სიახლეებზე, რაც კლინიცისტების, უმთავრესად ონკოლოგიისა და მამოლოგიის დარგების სპეციალისტების წინაშეა წარმოდგენილი.

– ექომამოგრაფიულმა კვლევებმა საკმაოდ დიდი ხანია დაიმკვიდრა ადგილი რენტგენომამოგრაფიასთან, თერმოგრაფიასთან და სხვა მეთოდებთან ერთად ძუძუს დაავადებათა დიაგნოსტიკაში.

ნაშრომის ამოცანაა მკურნალ ექიმებს მაქსიმალურად პოპულარული ენით მიაწოდოს ექომამოგრაფიული კვლევის ძირითადი პრინციპები. მონოგრაფიაში ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის პრინციპების კლინიკური აზროვნებით გადმოცემის ცნებასთან ერთად მოცემულია მამოლოგიის დარგში უმნიშვნელოვანესი პრობლემის – კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების დიფერენციული დიაგნოსტიკისათვის მიწოდებული ექომამოგრაფიული პარამეტრების დეტალური სქემატური განხილვა.

აღსანიშნავია, რომ მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით მთლიანად შეიცვალა ექომამოგრაფიის როლი, ადგილი და მნიშვნელობა ძუძუს დაავადებათა დიაგნოსტიკაში. მხედველობაშია უკანასკნელ წლებში შემუშავებული ეკოკონტრასტირების მეთოდიკა და სამგანზომილებიანი, პანორამული ქსოვილოვან – ჰარმონიული კომპიუტერული ულტრაბგერითი ტექნოლოგიები, რომელიც ფერადი, ენერგეტიკული დოპლერის რეჟიმში მიღებული მონაცემების მთლიანად ციფრული დამუშავების საფუძველზე ხდის შესაძლებელს სარძევე ჯირკვლის, როგორც დისჰორმონული ცვლილებების, ასევე სიმსივნეთა ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და უაღრესად ნატიფ დიფერენციულ დიაგნოსტიკას და ა. შ.

ნაშრომის ავტორის საუბარი სლაიდებით იულსტრირებული გახლდათ. ამ უნიკალური ნაშრომის ირგვლივ გამართულ დიალოგს დიდი წარმომადგენლობა დაესწრო ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრიდან, სადაც 10 წლის განმავლობაში ეძლეოდა წიგნის ავტორს ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა. მონოგრაფიის რეცენზენტებია თავად ამ ცენტრის პრეზიდენტი პროფესორი რევაზ ვეფხვაძე, პროფესორი ლევან ჩარკვიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გია ნემსაძე და სხვები. ავტორმა დახმარებისათვის მადლიერება გამოხატა კოტე მადიჩის, გია ციხისელისა და ზაზა ზაუტაშვილის მისამართით. მათ ყველა პირობა შეუქმნეს ავტორს ამ ნაშრომის სრულქმნისათვის, დახმარება არ დაიშურეს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის კოლექტივმა და მისმა გენერალურმა დირექტორმა გოჩა კუხალაშვილმა. ასე, რომ ნაშრომის ავტორს ყველა პირობა შეექმნა როგორც პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო მუშაობისათვის.

მონოგრაფია, რომელიც მოიცავს სარძევე ჯირკვლის დაავადებათა პროფილაქტიკის ზოგად პრინციპებს, ექომამოგრაფიის ძირითად ჩვევებს, მონაცემებს უახლესი ულტრაბგერითი ტექნოლოგიებით, მკითხველს ნათლად აცნობს ექომამოგრაფიული კვლევის მეთოდიკას, სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერით ანატომიას, ძუძუს დისჰარმონიულ დაავადებებს, ძუძუს კეთილთვისებიან სიმსივნეებს, ძუძუს კიბოს, სარძევე ჯირკვლის ფუნქციას და ექომამოგრაფიის ახალ შესაძლებლობებს.

უნიკალური ნაშრომის ავტორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის ულტრასონოგრაფიის სასწავლო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის



ვიცე-პრეზიდენტმა დავით ტატიშვილმა დეტალურად განმარტა ძუძუს დაავადებათა დიაგნოსტიკაში უახლესი ულტრაბგერითი კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობა.

საქართველოში ასეთი მონოგრაფიის გამოცემა პირველი ცდაა, რომელსაც უთუოდ მოჰყვება თავისი რეზონანსი. მის გამოცემას ხელი შეუწყო ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმამაც და კერძო სამედიცინო სექტორის განვითარებისათვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის გაბედულმა და პროგრესულმა გადაწყვეტილებებმა. დღეს ამ ცენტრის მართვის სისტემა მთლიანად კომპიუტერიზებულია.

მონოგრაფიის ავტორი ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ღვაწლმოსილი. ბევრის გაკეთება მოასწრო. ეს, მან დააარსა ჯერ კიდევ 1988 წელს საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილება. 1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი. მისი რედაქციით გამოიცა ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენოვანი „ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ატლასი". ამ მოკლე ხანში დააფუძნა საერთაშორისო პერიოდული ჟურნალი, აგრეთვე, არის ქართულენოვანი ჟურნალის „ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის" მთავარი რედაქტორი, 80 სამეცნიერო შრომის ავტორი. წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და კლინიკებში. მონაწილეობდა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და სემინარებში. მისი ხელმძღვანელობით თბილისის ულტრასონოგრაფიის სასწავლო-კვლევითმა ცენტრმა არაერთგზის დაიმსახურა, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარება. საქართველოში მის მიერ პირველად დაინერგა უკანასკნელი თაობის სამგანზომილებიანი, ქსოვილოვან-ჰარმონიული პანორამული ულტრაბგერითი ტექნოლოგიების ფერადი, ენერგეტიკული დოპლერის რეჟიმში მონაცემები ციფრული დამუშავებით და ა. შ. ამჟამად მუშაობს ულტრაბგერით დიაგნოსტიკაში ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოს გამოცემაზე.

დღეს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის სფეროსთან თანამშრომლობას. ეს საკითხიც ცენტრში, რომელსაც დავით ტატიშვილი უძღვება, დადებითად გადაწყდა. მამუკა ხაზარაძემ დამსწრეთ იქვე აღუთქვა, რომ კიდევ უფრო განამტკიცებს **TBC** ბანკის ახალ ერთობლივ პროექტს, რომელიც ულტრაბგერით დიაგნოსტიკაში უახლეს სიტყვას ეხება. ისაუბრა რა მედიცინისა და ბიზნესის ურთიერთობაზე, მასპინძლებს დაჰპირდა, რომ ცენტრს უახლოეს დროში გადასცემს იაპონიიდან მიღებულ აპარატურას.

... დღეს ქალთა სიკვდილიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ძუძუთა სიმსივნე ითვლება. ქვეყანაში ჭირს ამ უმძიმესი დაავადების მკურნალობა, რომელიც უდიდეს მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს. თავიდან მისი აცილება მხოლოდ და მხოლოდ ეფექტური პროფილაქტიკის საშუალებებით არის შესაძლებელი, რაც ასე ნათლად არის გადმოცემული უნიკალურ ნაშრომში, რომლის ირგვლივ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს ონკოლოგიურ ცენტრთან არსებული მამოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა გია ნემსაძემ, პროფესორებმა კოტე მადიჩმა, გულიკო გერსამიამ; ზურაბ ორჯონიკიძემ, რამაზ საყვარელიძემ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ლადო კახაძემ და სხვებმა.

... მონოგრაფია უაღრესად დიდი პრაქტიკული და სამეცნიერო ღირებულებისაა. ეს არის ახალი სიტყვა სარძევე ჯირკვლის დაავადების დიაგნოსტიკაში. მისი გაცნობა ხელს შეუწყობს ძუძუს დაავადებათა პროფილაქტიკას. არაპალპირებადი სიმსივნეების გამოვლენას სიმსივნის ნაადრევი ფორმების გამოვლენა მაღალი ეკონომიკური ეფექტებით შესაძლებელს გახდის ავადმყოფთა სრულ განკურნებას.

... აუღელვებლად ვერ წაიკითხავ, – და ეს ასეც გახმიანდა იქ – მონოგრაფიის პირველ გვერდზე სევდიან წარწერას: – „სიკვდილს ვინ მისცა ქვეყნად უფლება, ჩვენი ქალების დღეები თვალოს"... და იქვეა მისამართი, ვისაც ეს ნაშრომი ეძღვნება: – „ქალს, დედას, ქვეყნად სიცოცხლისა და სილამაზის სასწაულებრივ პირველწყაროს" – გავუფრთხილდეთ მას, დროზე მივეშველოთ, დავეხმაროთ! – ეს არის ამ უნიკალური ნაშრომის მთელი დედააზრიც.

**ნათელა ფაილოძე.**

მემუარები

# კონსტანტინე სიმონოვი
# ჩემი თაობის კაცის თვალით

ამ ჩანაწერის დასაწყისში ერთი ადგილი, ზრდილობის გულისთვის გამოვტოვე. საუბრის ჩანაწერს, კაცმა არ იცის, რა მოუვა, ხომ შეიძლება, მომინდეს მისი ვინმესთვის ჩვენება, თუმცა, პრინციპულად ამის გაკეთებას არ ვაპირებდი, მაგრამ რა იცი, ხალხნი ვართ. სტალინმა კი საუბრის დასაწყისში მითხრა, რომ წაიკითხა ჩემი პიესა და მერე საკმაოდ გაღიზიანებულმა დაუმატა:

– მხოლოდ გუშინ მივიღე და წავიკითხე, ნახევარ წელიწადს არც კი უთქვამთ, რომ პიესა იქ უდევთ, და საერთოდ... – აქ შეჩერდა, გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა ეს თემა და დაუბრუნდა თვით პიესაზე ლაპარაკს, რომელიც მე ჩავიწერე.

მაშინ ვიფიქრე და ახლაც ვფიქრობ, რომ ჟდანოვმა მხოლოდ მისთვის გასაგები მიზეზებით, ან ჩემთვის გაუგებარ გარემოებათა გამო, – გარემოებები კი სიცოცხლის ბოლო თვეებში, მგონი, საკმაოდ რთული ჰქონდა, – არ უთხრა ან არ ჰქონდა შემთხვევა, ეთქვა სტალინისათვის ის, რომ წასაკითხად მიიღო ჩემი პიესა, ანდა, არ ჩათვალა საჭიროდ ამის გაკეთება. უნდა ვივარაუდოთ, პიესა სტალინთან მოხვდა მას შემდეგ, რაც მოახსენეს ჟდანოვის სიკვდილის მერე დარჩენილი არქივის შესახებ და გააცნეს ამ არქივის აღწერილებიც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად აწუხებდა ჩემი თაობის ბევრი ადამიანის სინდისს, და მათ მორის, ჩემს სინდისსაც.

ვაი, რომ თითქმის სწორედ იმავე დღეებში მივიღეთ თვალსაჩინო დასტური იმისა, რომ სულაც არ ყოფილა ასე. მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით გიამბობთ, ახლა კი, რაც შეეხება იმ ტრაგიკომიკულ აკორდს, რომლითაც დასრულდა ჩემი პიესის „სხვისი ჩრდილის" – ისტორია.

მე შევიტანე პიესის ფინალში სტალინის ნაკარნახევი შესწორებანი, რომლებიც, ვიმეორებ, ძალიან მომეწონა, შევიტანე სულ ერთ დღეში, და პიესის დაბეჭდვა მოესწრო ჟურნალ „ზნამიას" პირველ იანვრის ნომერში, რის შემდეგაც იგი სხვა პიესებთან ერთად წარადგინა, უკვე აღარ მახსოვს, რომელმა, დრამატურგიის კომისიამ თუ ჟურნალმა – სტალინურ პრემიაზე. იმ დროს მოსკოვში არ ვიმყოფებოდი და პირდაპირ მოვხვდი მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომაზე, რომელზეც წინასწარ, სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომის დაწყებამდე, განიხილავდნენ ნაწარმოებებს, ამა თუ იმ ლიტერატურულ ორგანიზაციებს რომ წარედგინათ სტალინურ პრემიაზე.

სხვა წარდგენილ ნაწარმოებთა შორის დავინახე ჩემი პიესის სახელწოდებაც. მე არავინ მრჯიდა, გინდა თუ არა, სათვის ყოველივე, არ ამეხსნა შექმნილი სიტუაციის პარადოქსულობა. იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ, დავიმარტოხელე და ყველაფერი ვუამბე, ფადეევის პირველი რეაქცია იყო თავშეუკავებელი სიცილი, დიდხანს ხარხარებდა, ვერ გაჩერებულიყო, მერე კი, ერთი წამის შემდეგ, უაღრესად სერიოზული გახდა.

– კი მაგრამ, რატომ არ მითხარი ადრევე, რატომ ჩაგვაყენე ყველანი ასეთ სულელურ მდგომარეობაში?

მე საკმაოდ რეზონულად ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, სტალინს არ დაუვალებია ჩემთვის, ვინმესთვის მეამბნა ამ სატელეფონო საუბრის და იმის შესახებ, რომ პიესის ფინალი სწორედ ისეა გადაკეთებული, როგორც მან შემომთავაზა, რამდენიმე რეპლიკაში კი ტექსტუალური სიზუსტითაც; მეორე, ამის მოყოლა და თუნდაც გადაკვრით ლაპარაკი ჩემი მხრივ ულამაზო და არც მთლად ღირსეული საქციელი იქნებოდა; მესამეც, საიდან უნდა მცოდნოდა წინასწარ, რომ სამდივნოზე რამდენიმე კაცი ასე დაესხმოდა თავს ამ ფინალს. ამას სრულიად არ მოველოდი, პირიქით, მე მომეწონა, და მეგონა, სხვებსაც მოეწონებათ-მეთქი.

– მაგარი ოინი გვიყავი, – კვლავ გადაიხარხარა ფადეევმა. მერე ისევ უცბად დასერიოზულდა და თქვა:

– მეორედ მე მაინც უნდა შემატყობინო ხოლმე ასეთი რამ. მე კი, ჩემი მხრივ, – შენ გეტყვი.

ამით დამთავრდა ჩემი მაშინდელი საუბარი ფადეევთან, რომელიც ხან იცინოდა, ხან კი მიბრაზდებოდა.

მოსკოვში „სხვისი ჩრდილი" დადგა **МХАТ**-მა, ლენინგრადში – დიდმა დრამატულმა თეატრმა. პიესის მთელი უარყოფითი მხარეების მიუხედავად, როგორიც იყო მისი ჯიქური სწორხაზოვნება, ცრუ პათეტიკა, ყალბი ნოტები მეცნიერებისა და უცხოელთა თაყვანისცემის შესახებ მსჯელობაში – ერთგან, და მთელი რიგი ფსიქოლოგიური გაზვიადებანი – მეორეგან, ლივანოვმა და ბოლდუმანმა თავიანთი შესანიშნავი აქტიორული ნიჭის წყალობით რაღაცნაირად გადაარჩინეს თავიანთი როლები და ლამის შეუძლებელი შეძლეს. იგივე შეიძლება ითქვას პოლიცეიმაკოზეც დიდ დრამატულ თეატრში.

პიესას და სპექტაკლებს დიდის ამბით აქებდა პრესა, მას მიეკუთვნა სტალინური პრემია, მაგრამ ყოველივე ეს იმ მძიმე მოვლენებს შორის, მრავლად რომ ხდებოდა ორმოცდაცხრამში, რატომღაც არ მახარებდა ან თითქმის არ მახარებდა.

ახლა კი, ამ ისტორიის შემდეგ, დავბრუნდები დაახლოებით ერთი წლით უკან, და გავიხსენებ 1948 წლის ოცდათერთმეტ მარტს, როდესაც მომიხდა მეორე შეხვედრა სტალინთან, შეხვედრა, რომელიც, მართალია სრულად არა, მაგრამ გარკვეული ხარვეზებით მაინც ჩავიწერე. მაგრამ, სანამ ამ ჩანაწერს მოვიყვანდე, მინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა კიდევ ერთ სხდომაზე, რომელსაც მე ვესწრებოდი. ეს იყო ორმოცდაშვიდი წლის ივნისის სხდომა. ორი კვირის შემდეგ, რაც სტალინმა მიგვიღო ლიტერატურულ საკითხებზე. ამ სხდომის ჩანაწერები არ დამრჩენია. ეტყობა, იმიტომ, რომ იგი მოხდა ცოტა ხანში სტალინის საუბრიდან და არსებითად ახალი არაფერი დაუმატებია. როგორც ახლა მაგონდება, ამ სხდომაზე ლიტერატურის შესახებ თითქმის არაფერი თქმულა, ყოველ შემთხვევაში, იმ ნალაპარაკევიდან არაფერი არ დამახსოვრდა. სხდომა უფრო ოფიციალური, უფრო ხალხმრავალი, კაცმა რომ თქვას, უფრო ხანმოკლეც იყო, ვიდრე სხვა სხდომები, რომლებსაც დავესწრებივარ. ამ სხდომაზე ერთდროულად განიხილავდნენ როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის პრემიებს, ისე ლიტერატურისა და ხელოვნების დარგისასაც. შემდეგ მათ ყოველთვის ცალ-ცალკე განიხილავდნენ ხოლმე. ცენტრალური კომიტეტისაგან მომხსენებელი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში იყო ჟდანოვი, მეცნიერებასა და ტექნიკაში – ვოზნესენსკი.

ლობა. და იმ სიტყვებს, ტელეფონით რომ მესმოდა, ეტყობოდა გაღიზიანება – არ ვიცი, ცხონებული ჟდანოვის, არ ვიცი, პოსკრებიშევის გამო, რომელმაც იცოდა ჩემი პიესის ამბავი, მაგრამ ასევე არ ჩათვალა საჭიროდ, ეთქვა, რომ მე უკვე გავუგზავნე პიესა.

საუბრის ეს ჩაუწერელი ნაწილი იმიტომ მოვიყვანე, რომ მასში გამოსჭვივის ზოგიერთი ნიშანი სტალინის ხასიათისა – როგორ მოუვიდა გული, მაშინვე რატომ არ მომახსენესო ის, რასთანაც უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა, აგრეთვე, სიტყვები: „გუშინ მივიღე და მაშინვე წავიკითხეო". როდესაც ორჯერ თუ სამჯერ გადავავლე თვალი საუბრის შინაარსის ჩანაწერს, მე მივხვდი, რომ ჯერ ერთი, მასში მოცემულია არა უბრალოდ აზრი პიესის შესახებ, არამედ თითქმის ტექსტუალური პროგრამა მისი ფინალის გადაკეთებისა, და მეორე, სწორედ ეს უნდა გავაკეთო, თან – დაუყოვნებლივ, არ გადავდო სახვალიოდ.

უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის წინაშე თაყვანისცემისა და მუხლმოდრეკის საკითხის დაყენების იმ სიმკაცრის პირობებში, რომელიც მაშინ არსებობდა, მე თვითონ ვერ გავბედავდი პიესის დამთავრებას ისე, როგორც სტალინმა შემომთავაზა. მე სულ სხვანაირად, პიესის გმირის, პროფესორ ტრუბნიკოვისათვის გაცილებით უფრო უარესად ვამთავრებდი. ტრუბნიკოვმა ხომ თავისი პატივმოყვარეობისა და მიამიტობის გამო ლამის საკუთარ ხელში გადასცა სახელმწიფო მნიშვნელობის მეცნიერული საიდუმლო იმათ, ვისაც ეს სულ არ უნდა სცოდნოდა. პიესის ბოლოს მის თავზე დამოკლეს მახვილი ეკიდა და გაურკვეველი რჩებოდა, რით დამთავრდებოდა ტრუბნიკოვისთვის ყოველივე. როგორც ჩანს, სტალინის წინადადება გამოხატავდა რაღაც განწყობილებებს, იმ მომენტში რომ უყალიბდებოდა; როდესაც „მთავრობას" ამბობდა, მესამე პირში თავის თავს გულისხმობდა და ამრიგად გამოჰქონდა ტრუბნიკოვის მიმართ ის ლმობიერი და ნდობით აღსავსე გადაწყვეტილება, რომელიც, ერთი შეხედვით, ძნელი მოსალოდნელი იყო სტალინისაგან, მით უმეტეს, ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

სიმართლე რომ ვთქვა, პიესის ფინალის ასეთი შემობრუნება მომეწონა. რაკი, თვით სტალინი ჰპატიობდა ტრუბნიკოვს პიესაში იმას, რასაც ამბობდა, როდესაც საქმე რეალურ ცხოვრებას შეეხო, ამბობდა ასეთი შეუწყნარებლობით, მე მით უფრო მზად ვიყავი, სასიკეთოდ შემეცვალა ჩემი გმირის ბედი. ის კი არა, სტალინის ამ წინადადების მიღმა, ამ საუბრის მიღმა დავლანდე უკიდურესობათა რაღაც მომავალი შერბილება იმ საკითხში, რომელსაც პიესაში განვიხილავდი. უკიდურესობებისა, რომელიც ამ თემაზე ილაპარაკეო. შემდგომში ზოგჯერ, როცა ვაჟკაცობა მეყოფოდა, ვწერდი, როგორც ეს, ვთქვათ რომანის „თანამებრძოლი ამხანაგების" გამო იყო, გთხოვთ, მოხსნათ მეთქი რომანი განხილვიდან. მაგრამ, ამ შემთხვევაში შექმნილ პირობებში ვერ ვიტყოდი ვერაფერს ჩემი პიესის ვერც სასარგებლოდ, და ვერც საწინააღმდეგოდ, ჩუმად უნდა ვმჯდარიყავი. ამასობაში კი, სამდივნოს დამსწრე ზოგი ჩემი კოლეგა საკმაოდ მკვახედ გამოვიდა არა იმდენად საერთოდ პიესის წინააღმდეგ, რამდენადაც მისი არასწორი, მეტისმეტად რბილი, მეტისმეტად ლიბერალური, ვიღაცის თქმით, ლამის კაპიტულანტური დასასრულის წინააღმდეგ. ერთნი ამბობდნენ, ტრუბნიკოვი აუცილებლად უნდა დაისაჯოსო მაყურებლის თვალწინ, მეორენი წინადადებას იძლეოდნენ დამთავრებულიყო ისე, როგორც მე მქონდა თავდაპირველად, – რომ ფინალში ტრუბნიკოვის თავზე მომავალი შურისგების დამოკლეს მახვილი ყოფილიყო. მაგრამ იმას, რომ მთავრობას ეპატიებინა გამომსვლელნი გადაჭრით არ ეთანხმებოდნენ და თვლიდნენ, რომ ასეთი დასასრული არანაირად არ იძლევა იმის საშუალებას, რომ პიესა სტალინურ პრემიაზე წარადგინონ. ვიჯექი და ხმას არ ვიღებდი, ვგრძნობდი, რა სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით მეც და გარემემო მყოფნიც. ის, რომ პიესასთან დაკავშირებით ტელეფონით სტალინს ველაპარაკე, იქამდე არავისთვის არ მეთქვა, ჯერ ერთი, მეუხერხულებოდა სტალინის დამოწმება და, მეორეც, ვთვლიდი, რომ ამის უფლება არ მქონდა. ჟურნალსა და თეატრში, სადაც პიესა გადავეცი დასადგმელად, მხოლოდ ისა ვთქვი, რომ თუ ვინიცობაა, რაიმე დაბრკოლებები წარმოიშვა, ამ საკითხზე ცენტრალურ კომიტეტს მიმართეთ და ისე მოიქეცით, როგორც იქ გეტყვიანო. არავითარი დაბრკოლება არ წამოჭრილა, და არც ცკ-ში მიმართვა გახდა საჭირო. საჩოთირო მდგომარეობა წარმოიშვა მხოლოდ ამ მომენტში, სამდივნოს სხდომაზე. საჩოთირო და, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, საკმაოდ სულელური. ვიჯექი და ხმისამოუღებლად ვისმენდი, როგორ ამათრახებდნენ ჩემი კოლეგები სტალინის ლიბერალიზმს, რომელმაც ჩემი პიესის ფინალში იჩინა თავი. ეტყობა, ელოდნენ, რომ შევეპასუხებოდი, მაგრამ მე არაფერი მითქვამს. ჩემი დუმილით გაკვირვებულმა ფადეევმა მკითხა კიდეც: „აბა, შენ რაღას იტყვიო"? მე ვუთხარი, რომ რამდენადაც ლაპარაკია ჩემს პიესაზე, მე, ალბათ, არ უნდა ვილაპარაკო და არც არაფერს ვიტყვი-მეთქი.

ასე დამთავრდა საქმე. იმ ეტაპზე, რომელსაც მწერალთა კავშირის სამდივნო წარმოადგენდა, პიესა განხილვიდან მოიხსნა. მაგრამ წინ იყო სხვა ეტაპები და ფადეევი უნდა გასძღოლოდა ამ საქმეს კიდევ როგორც სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე. ჩემი მხრივ, არ იქნებოდა სწორი და ლამაზი, გულახდილად არ მეთქვა ფადეევი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 181-185, 187

თარგმნა **არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

# ხიდი KÖPRÜ

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველთვიური დამატება № 38 (89)


ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია.
შოთა რუსთაველი

KİM DOSTUNU ARAMAZSA,
KENDİ CANINA
DÜŞMANDIR EVVEL.
Şota Rustaveli

## მიწვევა

# საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო ძმაო,

დიდი კმაყოფილებით ვადევნებ თვალყურს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე ურთიერთთანამშრომლობის, კეთილმეზობლურ და მეგობრულ საფუძველზე საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობების განვითარების უწყვეტ პროცესს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვეკუთვნით ერთსა და იმავე ისტორიულ და გეოგრაფიულ რეგიონს, ჩვენს ხალხებს შორის ჩამოყალიბდა ძმური და ორმხრივ სტრატეგიულ ინტერესებზე დამყარებული ურთიერთობები, რასაც თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი კავკასიის მხარის მშვიდობიან და სტაბილურ გეოგრაფიულ რეგიონად გარდაქმნაში. საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რეგიონის მშვიდობისა და თანამშრომლობის შენარჩუნების საქმეში. დიდი კმაყოფილებით ვადევნებ თვალყურს, დამოუკიდებლობის მოპოვების წლებში არსებულ სირთულეებთან ბრძოლის მიუხედავად, უმოკლეს დროში საქართველოს გაწევრიანებას საერთაშორისო თანამეგობრობაში, სადაც მისი პატივისცემა და გავლენა დღითიდღე იზრდება.

ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული ახლო მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო მტკიცდება უმაღლესი დონის ორმხრივი ვიზიტების საშუალებით.

აღნიშნულის ფარგლებში მოხარული ვიქნები თქვენს აღმატებულებას უახლოეს მომავალში ვუმასპინძლო თურქეთში, თქვენთვის სასურველ დროს და ორმხრივი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებების გათვალისწინებით მოვნახოთ გზები ჩვენს შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად. ასევე, მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ ვიზიტი საშუალებას მოგვცემს თქვენს აღმატებულებასთან ერთად შევაფასოთ ჩვენს შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობები და გავუზიაროთ ერთმანეთს მოსაზრებები რეგიონულ და საერთაშორისო სფეროებში.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენს აღმატებულებას ვუსურვო ჯანმრთელობა და ბედნიერება, ხოლო ქართველ ხალხს კეთილდღეობა.

**აჰმედ ნეჯდეთ სეზერი,**
პრეზიდენტი.

*Sayın Başkan, Aziz Kardeşim*

Türkiye ile Gürcistan arasındaki ikili ilişkilerin, Gürcistan'ın bağımsızlığını kazandığı günden bu yana, karşılıklı işbirliği, iyi komşuluk ve dostluk temelinde sürekli gelişme kaydettiğini memnuniyetle gözlemlemekteyim.

Aynı coğrafyayı ve tarihi paylaşma bilincinin yanında, halklarımızın birbirine beslediği kardeşlik duyguları ve ortak stratejik çıkarlarla biçimlenen ikili ilişkilerimiz, aynı zamanda, içinde bulunduğumuz Kafkasya bölgesinin barış ve istikrarın hakim olduğu bir coğrafyaya dönüşmesine de katkıda bulunmaktadır. Gürcistan'ın egemenlik ve bağımsızlığının pekiştirilmesi, toprak bütünlüğünün ve siyasi birliğinin korunması bölgemizde huzur ve işbirliği ortamının kurulmasının anahtarlarındandır. Bağımsızlığını izleyen yıllarda çetin koşullarla mücadele etmesine rağmen, uluslararası toplumun saygın bir üyesi olarak kısa zamanda kendisine yer edinen Gürcistan'ın her geçen gün uluslararası toplumdaki saygınlık ve etkinliğinin artmasını takdirle izlemekteyim.

Ülkelerimiz arasında kurulmuş bulunan yakın dostluk ilişkileri karşılıklı üst düzey ziyaretler vesilesiyle daha da güçlenmektedir.

Bu çerçevede, Zat-ı Âlilerini, uygun görecekleri en yakın zamanda, Türkiye'de ağırlamaktan ve ikili ilişkilerimizin ve işbirliğimizin çeşitli yönlerini ele alarak, mevcut ilişkilerimizi daha ileri noktalara taşıma yollarını araştırmaktan memnuniyet duyacağım. Ziyaret vesilesiyle, Zat-ı Âlileriyle çoktaraflı ilişkilerimizi değerlendirmekten, bölgesel ve uluslararası alanlarda görüş alışverişinde bulunmaktan ayrıca mutlu olacağımı ifade etmek isterim.

Bu vesileyle, Zat-ı Âlilerinin şahsi sağlık ve mutluluğu, Gürcistan halkının refahı için en içten dileklerimi sunarım.

## ინფორმაცია

# აჰმედ ნეჯდეთ სეზერი ბაქოში

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მიწვევით აზერბაიჯანში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, რომელსაც თან ახლდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ჯუმბურ ერსუმერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი.

სეზერმა და ალიევმა მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის დღემდე დადებული ხელშეკრულებების შესრულებას, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

მოლაპარაკებისას სეზერმა და ალიევმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აზერბაიჯანის ევროსაბჭოში გაწევრიანებისა და მთიანი ყარაბაღის საკითხების შესახებ.

## ჩვენებურები საქართველოში

# გაეცნენ წინაპრების ისტორიულ მემკვიდრეობას




ამ დღეებში საქართველოს ეწვია ედუარდ შევარდნაძის სახელობის საქართველო-თურქეთის მეგობრობისა და თანადგომის ფონდის დელეგაცია. ფონდის მუშაობაში უკვე ტრადიციად იქცა ყოველი ზაფხულის დასაწყისში, თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის მოქალაქეთაგან შემდგარი ტურისტული ჯგუფის საქართველოში მოგზაურობის ორგანიზება. წლეულს 26-კაციანმა ჯგუფმა, ფონდის ხელმძღვანელების ბ-ნ მევლუდ ართვინლისა (გოგლიძე) და ბ-ნ ქენან ილდირიმის (ტყემალაძე) აქტიური მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით, 26 ივნისიდან 3 ივლისამდე მოინახულა საქართველოს მრავალი ქალაქი: ბათუმი, ქობულეთი, ქუთაისი, ბორჯომი, მცხეთა, თბილისი და თელავი. სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ თავიანთი წინაპრების ისტორიულ

იხ. მე-6 გვ.

## თურქეთი პრესის ფურცლებზე

### ბაქო-ჯეიჰანამდე მეოთხედი ნაბიჯიღაა

აშშ პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველმა კასპიის ნავთობის საკითხებში ჯონ ვოლფმა განაცხადა, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი 2004 წელს დამთავრდება. ეს განცხადება მან გააკეთა კონფერენციაზე, რომელიც XXI საუკუნის ევრაზიის პრობლემებს მიეძღვნა. პრეზიდენტ კლინტონის მრჩევლის განცხადებით, აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ პროექტს. ახლა საქმე ინვესტორებზეა, ამის შემდეგ ამერიკა ყველაფერს გააკეთებს, რაც მას ევალება. ყაზახისტანსა და კასპიის ჩრდილოეთში ნავთობის ახალი მარაგებია, ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ამერიკის ინტერესი ამ რეგიონის მიმართ შემცირდება. ეს პოზიცია არჩევნების შემდეგაც არ შეიცვლება, ხელისუფლებაში რესპუბლიკელებიც რომ მოვიდნენ.

„იენი ბინილი", 9, 6, 2000.

### ადამიანი ორჯერ მეტს იცოცხლებს

დღეს მსოფლიო უდიდესი აღმოჩენის წინაშე დგას.

წარმატებით დასრულდა პირველი ეტაპი „ადამიანის გენომის პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის გენეტიკური რუკის გაშიფვრას. როდესაც მეცნიერები ამ ისტორიული აღმოჩენის შესახებ განცხადებას ამზადებდნენ, ინგლისელმა გენეტიკოსებმა სენსაციური ცნობები გამოაქვეყნეს. ინგლისის მთავრობის მრჩეველმა სამეცნიერო საკითხებში ჰარისმა, რომელიც ხელმძღვანელობს ინგლისში გენეტიკურ კვლევას, განაცხადა, რომ ახლო მომავალში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა გაორმაგდება, ხოლო მომავალში ადამიანი ბევრად მეტს იცოცხლებს.

„ჰურიეთი", 26, 6, 2000.

### საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენები

თურქეთში ბირეჯიქის კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებით, მთლიანად წყლით იფარება რომის იმპერიისდროინდელი ქალაქი ზეუგმა. ეს ქალაქი მცირე აზიაში რომის იმპერიის მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, სადაც რომაელთა გარნიზონს განალაგებდნენ. თურქი არქეოლოგის რიფატ ერგეჩის განცხადებით, ზეუგმა თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით ეფესოს უტოლდებოდა წყლით დაფარვამდე. ამ რაიონში დიდი არქეოლოგიური მუშაობა გაიშალა, რამიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების არქეოლოგები მონაწილეობენ.



არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბევრი საინტერესო ძეგლი აღმოაჩინეს, მათ შორის აღნიშნავენ 1.55 მეტრი სიგრძის ომის ღმერთის ბრინჯაოს ქანდაკებას, რომლის მსგავსი თურქეთში არ მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თურქული ორგანიზაციებისა და პრეზიდენტ სეზერის მოთხოვნით არქეოლოგებს მუშაობის ვადა რამდენიმე დღით გაუგრძელეს, არქეოლოგები დროში ვერ ეტევიან.

„ჰურიეთი", 26, 6, 2000.

### სიამის ტყუპების განცალკევების ოპერაცია

ათი თვის სიამის ტყუპებს სედანურსა და სენანურს ჯერაჰფაშას სამედიცინო ფაკულტეტზე ოპერაციას გაუკეთებენ. პროფ. იექერის განცხადებით, ბავშვების სიცოცხლის შანსი 50 პროცენტს უდრის. როგორც აცხადებენ, ბავშვების გულის აპკები ერთმანეთზეა მიკრული, შესაძლოა მათ გულის კედელიც საერთო ჰქონდეთ, ღვიძლი კი ორივეს ერთი აქვთ, მათი განცალკევების შემთხვევაში ერთი უნდა დაიღუპოს.

ტყუპების მშობლები – მამა ჰასან ალკანი და დედა ჯეხბანი საშინელ დღეში არიან, მათი ოცნებაა რომ ორივე ტყუპი გადარჩეს.

„იენი ბინილი", 9, 6, 2000.

იხ. მე-6 გვ.

## გვწერენ

# გაზეთ „ხიდის“ მთავარ რედაქციას

07.06.2000 წლის გაზეთ „ხიდის“ 37 (88) ნომერში კახა ქარელის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში – „ფეტულლაჰ გიულენი საგანმანათლებლო საქმიანობის თავკაცი“, მე-6 პარაგრაფში მოხსენებულია „საქართველოში მდებარე დემირელის სახელობის კერძო კოლეჯისა და დაწყებითი სკოლის, ქ. ბათუმის რ. შაჰინის მეგობრობის კოლეჯისა და ქ. თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ურთიერთობა ფეტულლაჰ გიულენთან.

მთელ მსოფლიოსთან დიალოგის დამამყარებელს და ცნობილ მეცნიერს პატივცემულ ფეტულლაჰ გიულენს ვიცნობთ, როგორც განსაკუთრებულ პიროვნებას. მხოლოდ პატივცემულ ფეტულლაჰ გიულენს არა აქვს არავითარი ოფიციალური და იურიდიული დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან. აქედან გამომდინარე, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი და დასაწყისი სკოლა, ბათუმის რ. შაჰინის მეგობრობის კოლეჯი ეკუთვნის შპს „ჩაღლარს“, რომლის ცენტრი მდებარეობს ქალაქ დენიზლიში. ქალაქ თბილისში მდებარე საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტი, რომლის ცენტრი მდებარეობს ქალაქ დენიზლიში, გახსნილია სააქციო საზოგადოება „მარსის“, შპს „ჩაღლარის“, საქართველოს განათლების სამინისტროს და დუშეთის გამგებლობის მიერ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოვითხოვთ ამ შესწორების იგივე გაზეთში გამოქვეყნებას, ჩვენი იურიდიული უფლებების შენარჩუნებით.

პატივისცემით,
**მესუთ ბოზქირი,**
**სს „მარსის“ კოორდინატორი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე საქართველოში და შპს „ჩაღლარი“-ს კოორდინატორი და საგანმანათლებლო დაწესებულებების გენერალური დირექტორი საქართველოში.**

14.06.2000

Hidi Gazetesi Baş Redaktörlüğüne,

Hidi Gzetesinin 07.06.2000 tarihli, no 37 (88) sayılı gazetede Kaha Kaŗeli tarafından kaleme alınan "Fethullah Gülen Eğitim İşlerinin Başı" başlıklı yazının 6. paragrafında "Gürcistan'da bulunan Özel Demirel Koleji ve İlköğretim Okulu, Batum R.Şahin Dostluk Koleji ve Tiflis'te Uluslararası Karadeniz Üniversitesi" nin Fethullah Gülen ile ilişkisi olduğu vurgulanmaktadır.

Bütün Dünyada hoşgörü ve diyalog insanı olarak tanınan Büyük Mütefekkir Sayın Fethullah Gülen'i bizde bu özellikleri ile tanımaktayız. Ancak Sayın Fethullah Gülen'in yukarıda adı geçen Eğitim kurumları ile resmi ve hukuki hiç bir bağı sözkonusu değildir. Bu müesseselerden Özel Demirel Koleji ve İlköğretim Okulu, Batum R.Şahin Dostluk Koleji merkezi Denizli'de bulunan Çağlar Ltd. Şti.ne aittir. Tiflis'te bulunan Uluslararası Karadeniz Üniversitesi ise merkezi Denizli'de bulunan Mars AŞ ve Çağlar Ltd. Şti. ile Gürcistan Eğitim Bakanlığı ve Duşeti Valiliğinin ortaklığı ile açılmıştır.

Gürcistan kanunları nezdindeki hukuki haklarımız saklı kalmak kaydı ile bu düzeltme yazımızın aynı gazetede yayınlanmasını rica ederiz.

Saygılarımla

Mesut Bozkır
Çağlar Ltd. Şti. Gürcistan Eğitim Kurumları Genel Müdürü
Ve
Uluslararası Karadeniz Üniversitesi Yönetim Kurulu Başkanı

## კიდევ ერთხელ შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტისა და სხვათა შესახებ

**ბატონ მესუთ ბოზქირის წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოში მოქმედი შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტი და სხვა სამი სასწავლებელი თურქულ პრესაში და სხვა დოკუმენტებში მოხსენიებულია იმ სასწავლებელთა შორის, რომლებიც ნურჯუების ლიდერის ფეთჰულა გიულენის დახმარებით ფინანსდება.**

**ამის თაობაზე მასალები მოთავსებულია გაზეთებში „მილიეთი“, 22,06,1999, „აქითი“, 22,06,1999, „ჯუმჰურიეთი“, 30,06,1999. 29,06,2000 და სხვა, ხოლო ფირმა „ჩაღლარ ლტდ“ ფეთჰულა გიულენის ფირმებს შორის არის მოხსენიებული. რაც შეეხება ფეთჰულა გიულენის პიროვნების არაერთგვაროვან შეფასებას, რაც თურქული გაზეთების მიმომხილველთა წერილებში აღინიშნება, ეს თურქეთის საზოგადოებრიობის საქმეა. ჩვენ მხოლოდ თურქეთის პრესაში დაბეჭდილ მასალებზე მივუთითებთ.**

პატივისცემით,
**კახა ქარელი.**

## თურქეთი პრესის ფურცლებზე

(მეხუთე გვერდიდან)

### თურქული ენის დღესასწაული

ყარამანიის მხარე თურქული ენის წმინდა კერად არის მიჩნეული. ყარამანიანები ისტორიაში ცნობილი და სახელოვანი თურქულ-ოღუზური ტომია. ამ ტომის ცნობილ წარმომადგენელს ყარამანოღლუ მეჰმედ ბეის 732 წლის წინათ გამოუცია ფირმანი, რომელიც თურქულ ენას ოფიციალურ სტატუსს ანიჭებდა. ყარამანიაში ყოველი წლის 13 მაისს აღნიშნავენ თურქული ენის დღესასწაულს. წლეულს, დღესასწაულზე პირველად მოხდა ენის პრემიის მინიჭება.

**„თურქიე“, 7, 6, 2000.**

### ოპერაცია „პიკასო“

იზმირში პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად ცნობილი ესპანელი მხატვრის პაბლო პიკასოს მეორე ტილოც ხელში ჩაიგდეს. პირველი ოპერაციის შედეგად, რომელიც 6 ივნისს ჩატარდა პოლიციამ ხელთ იგდო ზეთის საღებავით შესრულებული პიკასოს ტილო, რომელსაც „ლა ფერმიერე“ ეწოდება. ამის შემდეგ პოლიციის ხელში აღმოჩნდა აგრეთვე ზეთის საღებავით შესრულებული პიკასოს ტილო, რომელსაც „დორა-მაარი“ ეწოდება. პოლიციამ დააპატიმრა ორი კაცი, რომლებიც პიკასოს სურათში 15 მილიონ დოლარს ითხოვდნენ. იზმირის პოლიციის უფროსმა ჰასან იუჯესანმა განაცხადა, რომ ბანდის წევრები დააპატიმრეს სელჯუკში ვენახში ჩადგმულ ქოხში, როდესაც დამნაშავენი ტილოს გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბანდის სხვა ორი წევრი იძებნება. იზმირის პოლიციის შეფის განცხადებით „დორა მაარი“ პიკასოს 1938 წელს დაუხატავს და ცნობილია „საძაგელი ქალის“ სახელით. ამ ნახატის შესახებ ექსპერტიზა ჩაატარეს 9 სექტემბრის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა. ნახატის უკანა მხარეს აღმოაჩინეს კუვეითური წარმოშობის ბეჭედი. როგორც ფიქრობენ პიკასოს ტილოები მოპარულია კუვეითის ემირის სასახლიდან სპარსეთის ყურეში წარმოებული ომის დროს. პიკასოს ნახატებს გადასცემენ თურქეთის კულტურის სამინისტროს. პოლიციას აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თურქეთში შემოტანილია პიკასოს სხვა სურათებიც.



**„საბაჰ“, 26, 6, 2000.**

### დიდი ეროვნული სიხარულის შემდეგ

როგორც ვიუწყებოდით, თურქეთის „გალათასარაის“ მიერ უეფას თასის დასაკუთრებამ თურქეთის მოსახლეობის ეროვნული აღტკინება გამოიწვია. თურქეთის ნაკრები დიდი იმედებით ჩაება ევროპის პირველობის ფინალურ შეხვედრებში. მაგრამ მან მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიაღწია. პორტუგალიელებთან შეხვედრისას თურქეთის ნაკრების წაგება მნიშვნელოვანწილად განაპირობა დაცვის ბურჯის ალთაის მიერ დაშვებულმა უხეშობამ, რის გამოც იგი 30-ე წუთზე მინდვრიდან გააძევეს. თურქეთის გუნდმა წააგო ანგარიშით 0:2 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

„სასიხარულო უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე სამწუხარო, თურქეთი ამის შემდეგ უფრო დიდ ამოცანებს დაისახავს, – განაცხადა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ.

**„საბაჰ“, „ჰურიეთი“, 26, 6, 2000 წ.**

თურქულიდან თარგმნა
**მურმან ბელთაძემ.**

## ჩვენებურები საქართველოში

# გაეცნენ წინაპრების ისტორიულ მემკვიდრეობას

(მეხუთე გვერდიდან)

მემკვიდრეობას და კულტურის ძეგლებს. მეტად გულითადი იყო შეხვედრები მცხეთაში, რომელიც თურქეთის ერთ-ერთ ქალაქთან, უნიესთან დაძმობილებული ქალაქი გახლავთ და ამ ორ რაიონს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. სხვათა შორის, სწორედ უნიედან არის წარმოშობით ე. შევარდნაძის სახელობის საქართველო-თურქეთის მეგობრობისა და თანადგომის ფონდის პრეზიდენტი ბ-ნი რეფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე). (საგულისხმოა, რომ ა/წ მაისში მცხეთაში გაიმართა მცხეთასა და უნიეს შორის მეგობრობის ამსახველი ფოტოგამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად და მას ესწრებოდნენ ქ. უნიეს მერიის წარმომადგენლები. მცხეთის რაიონის თვითმოქმედების წარმომადგენლები მიწვეულნი არიან უნიეს კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის ტრადიციულ საერთაშორისო მე-9 ფესტივალზე, რომელიც გაიმართება 20-23 ივლისს.

კახეთში მოგზაურობის დროს, ჩვენი თურქი თანამემამულეები სიამაყის გრძნობით ისმენდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი ოჯახის დიდი ტრადიციების ამსახველ ინფორმაციას, მოწიწებითა და თანაგრძნობით განიმსჭვალნენ ალავერდის ტაძრის ისტორიულ დამცველთა მიმართ. ზოგიერთმა მათგანმა წმინდა მარიამის სახელზე სანთლებიც აანთო, რამეთუ მათი დედები, ან ბებიები მარიამის სახელს ატარებდნენ და მასზე ლოცულობდნენ.

1 ივლისს, სტუმრების საპატივცემულოდ თბილისის ახალგაზრდობის სასახლეში გამართულმა კონცერტმა ჩვენი თურქი თანამემამულეების აღტაცება გამოიწვია. ისინი მოხიბლა ქართველი ბავშვების მაღალმა პროფესიონალიზმმა. მათი გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე ქართული გენი და მისი ისტორიული ღრმად ფესვგადგმული დიდი ხელოვნება დღესაც ასეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენი სტუმრები დიდი მადლიერების გრძნობითა და კეთილი მოგონებებით გაემგზავრნენ თურქეთში.

# თურქეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს პატიმრობა ემუქრება

დიდი ხნის მესვენების შემდეგ თურქეთის რესპუბლიკაში კვლავ დღის წესრიგში დადგა გაუქმებული „კეთილდღეობის პარტიის“ (RP) ლიდერის და თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნეჯმეთთინ ერბაქანის საკითხი, როგორც ცნობილია, ისლამური იდეების საჯაროდ ქადაგებისა და ანტილაიცისტური საქმიანობის გამო ერბაქანს, 1997 წლის თებერვალში, თურქეთის სახელმწიფო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით 5 წლით აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა.

თურქეთის საკასაციო სასამართლომ განაახლა პროცესი ერბაქანის მიმართ და ამჟამად მას თსკ 312-ე მუხლის საფუძველზე ემუქრება ერთწლიანი პატიმრობა. ერბაქანის წინააღმდეგ საქმის აღძვრის მთავარი მიზეზი არის 1994 წლის 25 თებერვალს ძირითადად ქურთებით დასახლებულ ქ. ბინგოლში მისი საჯარო გამოსვლა, რომელშიც მას ბრალად დასდეს რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილისა და მტრობის გაღვივება.

აღსანიშნავია, რომ 312-ე მუხლით ადრე გასამართლებული და პასუხისგებაში მიცემულნი არიან ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები და გავლენიანი პირები: სტამბოლის ყოფილი მერი და „სათნოების პარტიის“ თავმჯდომარის მოადგილე თაიფ ერდოღანი, კაისერის ყოფილი მერი შუქრუ ქარათეფე, სინჯანის ყოფილი მერი ბექირ ილდიზი, რიზეს ყოფილი მერი შევქი ილმაზი. ასევე ბევრი ჟურნალისტი და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელი.

მიმომხილველთა აზრით, ერბაქანს გათვალისწინებული ერთი წლიდან ციხეში ხუთ თვემდე ჩაჯდომა მაინც მოუწევს. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება დაიწყება არაუგვიანეს 2001 წლის იანვრისა. მანამდე კი მოსალოდნელია, რომ ერბაქანი ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართავს.

# სიცხეები და მიწისძვრა თურქეთში

ივლისის პირველ დღეებში თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ კი, ანტალიაში გაბატონებულმა პაპანაქება სიცხემ 4 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 100-ზე მეტი ადამიანი საავადმყოფოში აღმოჩნდა. ანტალიის სანაპიროზე სიცხემ ჩრდილში, დღის საათებში 43-ს, ღამე კი 30 გრადუსს მიაღწია. გაზეთ „რადიკალის“ მონაცემებით, 7 ივლისს მხუთავი ნესტის შედეგად განვითარებული გულის უკმარისობით თურქეთის სხვადასხვა რეგიონში დაიღუპა 8 ადამიანი. სინოპტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამგვარი სიცხეები უკანასკნელი 112 წლის მანძილზე არ აღნიშნულა. მათივე პროგნოზით უახლოეს დღეებში ტემპერატურა ოდნავ დაიწევს, შემდეგ კი კვლავ მოიმატებს და აუტანელი სიცხეები 10 დღეს კიდევ გაგრძელდება.



იმავე დღეს, დილის 3 საათსა და 15 წუთზე, მარმარილოს რეგიონში, სტამბოლთან ახლოს ქ. გებზეში დაფიქსირდა მიწისძვრა, რომლის სიმძლავრემ შეადგინა 4,2 ბალი. მიწისძვრის დროს წარმოქმნილი პანიკის შედეგად მძიმედ დაშავდა 29 და დაიღუპა ერთი ადამიანი. მათი უმეტესობა დაზარალდა აივნებიდან გადმოხტომის გამო.

მიწისძვრა იგრძნობოდა სტამბოლში, იალოვასა და ბურსაში, სადაც მთელი მოსახლეობა გაიხიზნა სიცოცხლისათვის უსაფრთხო ადგილებში. მოსახლეობის ასეთი პანიკური საქციელი განპირობებული იყო გასული წლის 17 აგვისტოსა და 12 ნოემბერს მარმარილოს ზღვის რეგიონში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრების გამო, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**ზაურ მჭედლიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია

# დიდი ქართველი მგოსანი

შესრულდა 160 წელი დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მკაფიო ვარსკვლავებად ანათებენ აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის სახელები. ისინი იყვნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური ხელმძღვანელები, რომლებმაც მხრებით ზიდეს ეპოქის უდიდესი ტვირთი. სწორედ მათ თავიანთი შემოქმედებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ახალ საფეხურზე აიყვანეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მშრომელი ხალხის გათავისუფლების საქმე.

აკაკი წერეთელი ნამდვილი სახალხო პოეტია. იგი დაჯილდოებული იყო უდიდესი პოეტური ხმით, უდიდესი პოეტური ტალანტით, რაც ბრწყინვალედ აისახა მის პოეზიაში. აკაკი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში. მისი ლექსი, მისი სიტყვა ხალხში იყო გადასული. ხალხმა მიიღო აკაკის პოეზია, როგორც თავისი გულისთქმა, თავისი ლექსი და თავისი სიმღერა.

თურქეთში გამომავალი თურქულ-ქართულენოვანი ჟურნალი „ჩვენებური" გამოეხმაურა დიდი ქართველი მგოსნის იუბილეს და 36-ე ნომერში გამოაქვეყნა ალი ალთუნის მიერ ქართულიდან თურქულად თარგმნილი აკაკი წერეთლის ლექსი „ვედრება", რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ.



აკაკი წერეთელი

## ვედრება

ძმაო მკითხველო! ძმობას გაფიცებ,
კაცი რომ ნახო შენ დაცემული,
თუ რად დაეცა, მიზეზს ნუ ეძებ!
შენი ვალია შეგტკივდეს გული!
შეგტკივდეს, მაგრამ ესეც უნდა სცნა,
რომ დაცემული არის ორგვარი:
ერთს ჰსურს აღდგომა,
უნდა თავის ხსნა,
და მეორე კი გდია, ვით მკვდარი!
ერთი მოელის კაცთაგან შველას:
ებრძვის თვის დამცემს,
რაც შეეძლება;
მეორე ვერ ჰგრძნობს ამაებს ყველას
და მტერს პირუტყვებრ ემორჩილება!
პირველს თუ შეხვდე, შრომა უკურთხე,
ხელი მიეცი, წამოაყენე,
და მეორეს კი ზედ დააფურთხე!
იტირე, მაგრამ ზურგი აჩვენე!

## YAKARIŞ

Okuyucu kardeşim!
Kardeşliğimiz için
Senden bir ricam olur:
Yere düşmüş bir insan görürsen
Neden düştüğünü sorma
Sana düşen görev yüreğin yanmalı
Paramparça olmalı!

Yüreğin yanmalı!...
Fakat, bilmelisin ki!
Düşen insan iki çeşittir
Kendini kurtarmak için
Biri kalkmak ister
İkincisi ise
Bir ölü gibi yerde yatar!...
Biri, kim onu
Yere düşürmüşse
Onunla elinden geldiğince
Mücadele eder...
İnsanlardan yardım bekler
İkincisi ise
Bütün bunların farkında bile değil!...
Düşmanına
Bir hayvan gibi
Boyun eğer!

Birincisi ile karşılaşırsan
Emeğine uğraşına
Saygı göster-kutsa
İkincisine ise
Üstüne tükür!...
Ağla fakat sırtını çevir!...
İsterseniz öldürün beni
Yine de şunları
Belirtmek durumundayım
"Sen Gürcüstan tükürüğe layıksın"

***Akaki TZERETELİ, 1864***
***Çeviren: Ali ALTUN***

Bu şiir, ünlü Gürcü devlet adamı, şair ve yazar İlia Çavçavadze'nin öldürülmesi üzerine yazılmıştır.

მივლინება

## თურქეთი — ერთი თვალის გადავლებით

24 ივნისიდან 1 ივლისამდე საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფი რვა წევრის, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით, თბილისის შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიწვევით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში.

წერილი ამ მივლინებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდება „საქართველოს რესპუბლიკის" უახლოეს ნომერში.

გამოიცა

## რამდენი ენაც იცი...

ერთ წიგნად აკინძული გამოვიდა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი. იგი შეადგინა თურქული ენის პედაგოგმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ლექსიკოგრაფიის მაგისტრმა ორჰან გემიშმა, რომელიც თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში მუშაობისას, საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ენას, ნუნუ გურგენიძისა და ლუიზა რუხაძის მხარდაჭერით, შეუდგა ლექსიკონზე მუშაობას. ლექსიკონი გამოიცა თბილისის სულეიმან დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის დახმარებით. ნაშრომში დაისტამბა 29-ათასსიტყვიანი ქართულ-თურქული და 12-ათასსიტყვიანი თურქულ-ქართული ლექსიკონი. იგი 477 გვერდს შეიცავს და მასში გათვალისწინებულია ქართული და თურქული სალიტერატურო ენების ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ლექსიკონი დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტ ახალგაზრდობას, აგრეთვე, თურქული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.




— მშვენიერი ლექსიკონია, მაგრამ ამოსაღებია ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მტრობა", „შუღლი", „კონფლიქტი"...

ვახტანგ კუციას ნახატი.

## Mezuniyet Töreni

Uluslararası Karadeniz Üniversitesi ve Özel Demirel Koleji mezuniyet törenleri bu yıl da düzenlendi. 1995 yılında kurulan Uluslararası Karadeniz Üniversitesi ve 1993 yılında eğitim-öğretime başlayan Özel Demirel Koleji ikinci mezunlarını vermenin mutluluğunu yaşadı. Üniversitenin öğretim dili İngilizce. Öğretim programları dünyaca tanınmış üniversitelerin programlarına göre hazırlanmış.

Uluslararası Karadeniz Üniversitesi'nde yedi ülkeden gelen gençler öğrenim görüyor. Öğrencilerin büyük çoğunluğu Gürcü ve Türklerden oluşmakta. Öğrenciler İşletme, Bankacılık ve Endüstri Mühendisliği eğitimi alıyorlar. Önümüzdeki yıl ise bu alanlara Uluslararası Ekonomik İlişkiler ve Bilgisayar Mühendisliği eklenecek.

Uluslararası Karadeniz Üniversitesi geçen yıl 15 mezun verirken bu sene bu rakam 23 e çıktı.

Üniversite ve Kolej yetkilileri mezuniyet törenlerinin ilginç ve çeşitli olması için yoğun çaba sarfettiler.



თარგმანი

**Nodar Dumbadze**

# SONSUZLUK YASAK

Türkçesi: ALİ ALTUN
Yayına hazırlayan: MEHCURE KARAOREN

**devam**

**IX. BÖLÜM**

Kocaman gümüş bir döşekte yatıyordu güneş. Güçlükle soluyordu. Onun yastığı, sürekli karlı olan dağın zirvesiydi. Yedi renk gökkuşağı ile alnı bağlanmış, gücünü yitiren kolları döşeğin iki tarafına sarkmıştı. Başında üç kişi duruyordu: Baçana, papaz İoram ve Bulika. Güneş can çekişiyordu.

Güneşin önünde diz çöken üç kişi, canı çıkmakta olan yıldıza kollarını açmış yalvarıyorlardı:

"Ulu güneş, ölme, bizi bırakma!" Onların gözlerinden akan gözyaşları, köpüklenmiş bir akarsu gibiydi. Kafkasya'nın eteklerinden, oraya buraya gürültüyle akıyor, aşağıda bulut ve sise bürünmüş yeryüzü dönüyordu.

Kocaman döşekte yatan güneş kalkamıyordu. Güneş sabahleyin Kafkasya'ya geldi, ayak uçlarına basıp masmavi gökyüzüne uçacağı anda, göğsünde korkunç ağrılar hissetti. Önce bir dizi üzerine çöktü, sonra ikincisine. Kafkasya'nın kocaman beyaz döşeğine uzanan güneşin yüreği karardı. Başını buza dayayıp öylece kaldı.

Can çekişen güneşe tüm insanlar göz dikti. Ölüm döşeğinde olan herkes gibi güneş, beyaz gözlük ve siyah camlarla çok daha fazla güzelleşmiş, çekici olmuştu. Bu can çekişene olağan gözlerle bakmak hemen hemen olanaksızdı.

İnsanlar, kentin sokaklarında, köprülerinde, kırlarında, dar sokaklarında, evlerin çatılarında duruyorlardı. Çocuklar, annelerini bekleyen kuş yavruları gibi , ağaçların dallarına ağızları açık oturmuş güneşin ölümünü izliyorlardı.

"Bizi bırakma güneş!" diye inliyordu insanlar. Fakat onların sesi güneşe ulaşamıyordu. İnsanların ne istediklerini güneş duymuyordu. Güneş, yalnız onların uzattığı ellerini ve ürken gözlerini görüyordu.

"Ne istiyorlar?" diye sordu gözleri kararan güneş.

"Bizi bırakmayın diye yalvarıyorlar!" dedi Baçana içini çekerek.

"Artık çok geç!.." dedi güneş ve bir gözü söndü.

"Hayat kaynağımız, bizi yok etme!" diye ayağına kapandı papaz İoram.

"Güneş, neren ağrıyor, ne oluyor sana, hiç olmazsa onu söyle!" diye sordu Bulika.

"Yeryüzüm ağrıyor, yeryüzüm!" dedi güneş.

"Tanrım, yeryüzünün ağrısı ve yaşamı senin elinde değil mi?" dedi papaz İoram. Güneş hafifçe güldü ve bitkin elini göğsüne koydu.

"Benim yüreğim yeryüzüdür. Uzun süredir ölüyorum. Sayısız yüzyıl önce, benim çevremdeki bütün gezegenler, vücudumun hücreleri, beni oluşturan tüm parçalar öldüler. Benim vücudumda yalnız yeryüzü nefes alıyor. Yalnız bu parçam canlı, yalnız bu parçam yaşıyor ve beni yaşatıyor... Siz insanları bu kadar yüzyıllar boyu bana durup bakıyorsunuz. Bana tapıyorsunuz da, bunu göremiyor, anlamıyor musunuz?" dedi hayretle güneş.

**devamı var**

სარედაქციო კოლეგია:
აბესალომ იმედაშვილი (რედაქტორი), ანზორ ბასილაია, მურმან ბელთაძე, ნელი გურგენიძე, ზაურ მჭედლიშვილი, მიხეილ სვანიძე, ჯემალ ძარაზანიშვილი, ნოდარ ჯანაშია.
ტელ: 99-73-01.

რეფორმა

# მოსამართლეები კვალიფიკაციას იმაღლებენ

უკვე ორ წელზე მეტია, რაც საქართველოში სასამართლო რეფორმა მიმდინარეობს. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბების გზაზე. საქართველოს იუსტიციის საბჭო, ქვეყნის ხელმძღვანელობა ძალისხმევას არ იშურებს, რათა საბოლოოდ მოსახლეობამ იგრძნოს კვალიფიციური მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სიკეთე. ამ მხრივ სასამართლო რეფორმის განხორციელებაში საქართველოს იუსტიციის საბჭოს აქტიურად ეხმარებიან ევროპული სტრუქტურები, რომელნიც ჩვენ ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან და მათ მიერ წარმოგზავნილ კოლეგებთან ერთად იმუშავებენ ერთობლივ პროექტებს, რომელთა მიზანია მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება საქართველოში ქვეყნის იუსტიციის საბჭოს ძალისხმევით ახლად დანიშნული მოსამართლეები გადიან სამოსამართლო კურსებს. ამ კურსებზე შემუშავებულია „ტასისის“ პროგრამა, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა მოსამართლის მასწავლებლად ჩამოყალიბება და მათი ცოდნის მობილიზება, მოქმედ მოსამართლეს უნდა შეეძლოს თავისი პრაქტიკული გამოცდილება გადასცეს დამწყებ მოსამართლეებს.

თუ გადავხედავთ სამოსამართლო კურსებზე მოწვეულ ლექტორებს, ვნახავთ, რომ მათი უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც ერწყმის მაღალი თეორიული ცოდნა, მოსამართლეებს ახალი ცოდნით აღჭურავს. სამოსამართლო კურსებზე თავიანთ ცოდნას უზიარებენ ისეთი გამოჩენილი სამართალმცოდნეები, როგორნიც არიან სამართლის დოქტორი ბატონი მ. ტურავა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მ. ცისკაძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თ. ლილუაშვილი; თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ვ. ბენიძე. უცხოელი კოლეგები ჰ. ბიოლინგი, კ. ჰერბსტი, გ. ფრანკენბერგი, ბაუერი, პარლამენტარი ზ. ადეიშვილი და სხვა. აგრეთვე, მოსამართლეები გადიან სტაჟირებას ევროპულ სასამართლოებში. ვფიქრობ, რომ სამოსამართლო კურსების გაგრძელება და მისი მუდმივმოქმედება დიდ წვლილს შეიტანს დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელების გზაზე, ხოლო ძლიერი მართლმსაჯულება კი ხელს შეუწყობს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

**გოჩა უტიაშვილი,**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულო ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

**წლეულს 1 ივნისიდან ინდივიდუალური მეწარმე „ავთანდილ მარიქაძე“ წყვეტს ფუნქციონირებას. დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ დაგვირეკოთ: 56-90-35.**

ფირმის დირექცია.

# ღია ტენდერი

## საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყითსარგებლობის სატენდერო კომისია აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის მერქნული რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიის მისაღებად

ხე-ტყის მერქნული რესურსების მოპოვებაზე ლიცენზია გაიცემა ერთი წლის ვადით.

ტენდერი ჩატარდება სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში მოსაპოვებელი რესურსის ადგილმდებარეობის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში.

1. სამცხე-ჯავახეთის სატყეო მეურნეობების მიხედვით – 2000 წლის 8 აგვისტოს დღის 11 საათზე.

2. სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო მეურნეობების მიხედვით 2000 წლის 11 აგვისტოს დღის 11 სთ-ზე.

3. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სატყეო მეურნეობების მიხედვით – 2000 წლის 15 აგვისტოს დღის 11 საათზე.

4. იმერეთის და გურიის სატყეო მეურნეობების მიხედვით – 2000 წ. 18 აგვისტოს დღის 11 საათზე.

5. კახეთის სატყეო მეურნეობების მიხედვით – 2000 წლის 22 აგვისტოს დღის 11 საათზე.

6. მცხეთა-მთიანეთის სატყეო მეურნეობების მიხედვით – 2000 წლის 22 აგვისტოს დღის 11 საათზე.

7. ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის სატყეო მეურნეობების მიხედვით – 2000 წლის 25 აგვისტოს დღის 11 საათზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი ქართულ ენაზე, მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობის, მოპოვების სასურველი ადგილმდებარეობის და რესურსის გამოყენების მიმართულების (ექსპორტი, შიდა გადამუშავება) ჩვენებით.

სატენდერო განცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2000 წლის 5 აგვისტო.

სატენდერო პირობებისა და საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის გასაცნობად მსურველებმა უნდა მიმართონ სატენდერო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე.

**ქ. თბილისი მინდელის ქ. № 9, სატყეო მეურნეობის სახ. დეპარტამენტი, მე-4 სართული, ტელ: 899 55-78-17; 32-91-09.**

# განცხადება

## ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფისა და საინჟინრო მართვის ჯგუფის ინჟინრების ვაკანსიების დასაკავებლად

**საქართველოს** ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს კონკურსს მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსირებადი ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ინჟინრების (2 ინჟინერი) და საინჟინრო მართვის ჯგუფის ინჟინრების (ერთი ირიგაციის სპეციალისტი და ერთი დრენაჟის სპეციალისტი) ვაკანსიების დასაკავებლად.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინიციატივით, მსოფლიო ბანკისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით მომზადდა საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და კერძო მეურნეობის შემოსავლების გაზრდა საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მომავალი გაუარესების შეჩერების და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების გზით, რაც მიღწეულ უნდა იქნას:

1. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებით, რომლებიც მომავალში პასუხისმგებელი იქნებიან საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ექსპლუატაციაზე, მოვლა-შენახვაზე და წყლის ეფექტურ გამოყენებაზე;

2. საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის შეკეთებითა და რეაბილიტაციით;

3. საირიგაციო წყლის მართვის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებით;

4. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მმართველობითი უნარის გაუმჯობესებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ინჟინრების თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისაგან აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო ნორმების დაკმაყოფილება:**

- უმაღლესი ჰიდროტექნიკური-სამელიორაციო განათლება.
- მინიმუმ 15 წლის მუშაობის სტაჟი.
- სამელიორაციო დარგში მუშაობის მინიმუმ 10 წლის გამოცდილება.
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ცოდნა.
- გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების საქმეში.
- მსოფლიო ბანკის კონცეფციის ცოდნა სამელიორაციო ასოციაციებთან მიმართებაში და მათთან მუშაობის გამოცდილება.
- ხალხის ფართო მასებთან ახსნაგანმარტებითი ღონისძიებების ჩატარების უნარი.
- გამოცდილება სამუშაოთა ორგანიზებისა და მართვის სფეროში.
- კადრების მართვისა და საქმიანობის კოორდინირების უნარი.
- კომპიუტერის საბაზისო ცოდნა.
- ქართული და რუსული ენების კარგად ცოდნა, ხოლო ინგლისური ენის შესწავლის სურვილი.

საინჟინრო მართვის ჯგუფის ინჟინრების თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისაგან აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო ნორმების დაკმაყოფილება.

**საინჟინრო მართვის ჯგუფის ინჟინრის (ირიგაციის სპეციალისტი) თანამდებობისათვის:**

- ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი-წყლის მართვის, ირიგაციის და დრენაჟის ინჟინერი;
- 15 წლის პროფესიონალური გამოცდილება;
- გამოცდილება ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების და ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაგეგმვის, პროექტირების, განხორციელების, ექსპლუატაციისა და ზედამხედველობის საქმეში;
- ჰიდრავლიკური დარგის, განსაკუთრებით საირიგაციო სისტემების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების საფუძვლიანი ცოდნა;
- საქართველოს სარწყავი მიწათმოქმედების ზონის რეგიონების, მორწყვის ნორმების, არსებული სარწყავი სისტემების და სარეაბილიტაციო მასივების მდგომარეობის საფუძვლიანი ცოდნა;
- გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მომზადებაგანხორციელების საქმეში;
- გამოცდილება სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილის მომზადებაში;
- ქართული და რუსული ენების კარგად ცოდნა, ხოლო ინგლისური ენის შესწავლის სურვილი.

**საინჟინრო მართვის ჯგუფის ინჟინრის (დრენაჟის სპეციალისტი) თანამდებობისათვის:**

- ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი-წყლის მართვის, ირიგაციის და დრენაჟის ინჟინერი;
- 15 წლის პროფესიონალური გამოცდილება;
- გამოცდილება ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების და ძირითადი ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაგეგმვის, პროექტირების, განხორციელების, ექსპლუატაციის და ზედამხედველობის საქმეში;
- ჰიდრავლიკური დარგის, განსაკუთრებით სადრენაჟო სისტემების (თვითდინებითი და პოლდერული) და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების საფუძვლიანი ცოდნა;
- კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების სქემის (დაჭაობების ფაქტორები და საინჟინრო ღონისძიებები), არსებული დამშრობი სისტემების და სარეაბილიტაციო მასივების მდგომარეობის საფუძვლიანი ცოდნა;
- გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მომზადებაგანხორციელების საქმეში;
- გამოცდილება სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილის მომზადებაში;
- ქართული და რუსული ენების კარგად ცოდნა, ხოლო ინგლისური ენის შესწავლის სურვილი.

ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ინჟინრები იმუშავებენ პროექტის ტექნიკური მენეჯერის საერთო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულნი იქნებიან პროექტის ინსტიტუციური მართვის ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე. საინჟინრო მართვის ჯგუფის ინჟინრები იმუშავებენ პროექტის ტექნიკური მენეჯერის საერთო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულნი იქნებიან პროექტის საინჟინრო მართვის ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

დავალების ხანგრძლივობას თავდაპირველად განისაზღვრება დაახლოებით 8 თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

დეტალური ტექნიკური დავალების მიღება კანდიდატებს შეუძლიათ ქვემოთაღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ბიოგრაფიები (CV) ინგლისურ და ქართულ ენებზე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების-მოწმობების ასლებთან ერთად. განცხადების მიღება იწარმოებს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე ქვემოთაღნიშნულ მისამართზე.

**ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის განმახორციელებელი ცენტრი,
თბილისი 380008, მაჩაბლის ქ. №8,
ტელეფონი-ფაქსი:
(995 32) 921467; 936162**

ეროვნული ბიბლიოთეკა

XINHUA NEWS AGENCY 新华通讯社 http://www.xinhua.org

# სინჰუა იუწყება

www.xinhuanet.com NEWS 新华网

ჩინეთის ცენტრალური გაზეთები პირველ გვერდებზე ბეჭდავენ ცნობას, რომ ჩინეთის სახალხო საბჭოს პრემიერი ჯუ ჟუნძი გამოვიდა ევროპის ქვეყნების მეწარმეებისა და სავალუტო-საფინანსო წრეების წარმომადგენელთა წინაშე. მან გააშუქა ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში. ჯუ ჟუნძიმ განაცხადა: რამდენადაც ჩვენ ფინანსების დარგში აქტიური კურსისა და ზუსტი სავალუტო პოლიტიკის მომხრენი ვართ, კორექტივები შევიტანეთ მრეწველობის სტრუქტურაში, ეროვნულმა ეკონომიკამ დაძლია აზიის სავალუტო-საფინანსო კრიზისის შედეგები და სიძნელენი. ამჟამად მუშავდება მე-10 ხუთწლიანი გეგმა. უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში ჩინეთი განაგრძობს ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას. განახორციელებს ქვეყნის მშენებლობის სტრატეგიას მეცნიერებისა და განათლების განვითარების გზით, გააღრმავებს ეკონომიკური სისტემის რეფორმას და უფრო გახსნილი გახდება გარე სამყაროსათვის.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ძიან ძემინი შეხვდა აშშ თავდაცვის მინისტრს უილიამ კოენს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა დიდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას. ამავე დროს, ჩინეთის მრეწველობის ცალკეულ დარგებსა და საწარმოებს შეექმნებათ სიძნელენიც. მაგრამ ნიჭიერი და ვაჟკაცი ჩინელი ხალხი დაძლევს მათ, ხაზი გაუსვა პრემიერმა.

* * *

მსოფლიო სავალუტო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მაიკლ მურმა განაცხადა, რომ ზოგიერთი ტექნიკური საკითხის გადაწყვეტის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეუძლია შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიმდინარე წლის დამლევს. მურმა სინჰუას კორესპონდენტს განუცხადა, რომ **მსო**-ში შესვლის შემდეგ ჩინეთს მსხვილი პარტნიორის როლი დაეთმობა. ამჟამად **მსო**-ში შედის 137 ქვეყანა, აქედან 41 – აფრიკული. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში **მსო** მოვალეა, გაუწიოს აფრიკას დახმარება, რათა იგი მსოფლიოს სხვა რეგიონების თანაბრად ვითარდებოდეს.

შედარებისათვის: მარტოოდენ სინგაპურის მიერ მოზიდულმა სახსრებმა გადაამეტა ინვესტიციებს აფრიკაში. **მსო**-მ, ერთი მხრივ, უნდა განაგრძოს კონსულტაციები განვითარებულ ქვეყნებთან და მოუწოდოს მათ, გაუხსნან ბაზარი აფრიკის სახელმწიფოებს, მეორე მხრივ კი, უნდა მოსთხოვოს აფრიკის ქვეყნებს, გაზარდონ საქონლის კონკურენტუნარიანობა.

* * *

ჩინეთის განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საგრძნობი წარმატებანია მიღწეული უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო კატეგორიის წამყვანი ლაბორატორიების მშენებლობაში. ისინი წარმოადგენენ დიდმნიშვნელოვან ბაზარს ფუნდამენტური კვლევის განსახორციელებლად, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად, და მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ უფართოესი გამოკვლევების დარგში.

* * *

ბრიუსელში ვიზიტად მყოფი ჩინეთის სახალხო საბჭოს პრემიერი ჯუ ჟუნძი ევროკავშირის შტაბბინაში შეხვდა კავშირის კომისიის თავმჯდომარეს რომანო პროდის. პროდიმ განაცხადა, რომ პრემიერის პირველი ვიზიტი მოწმობს ორმხრივი ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპის დაწყებას, გააცნო სტუმარს ევროკავშირის განვითარების პროცესი. ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა განაცხადა, რომ ჩინეთი მხარს უჭერს ინტეგრაციის პროცესს ევროპაში და იმედოვნებს, რომ ევროკავშირის განვითარება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებას.

მხარეებმა დათქვეს, რომ გადაწყვეტენ ღიად დარჩენილ პრობლემებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საკითხს, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მიმდინარე დიალოგის მეშვეობით.

ამის შემდეგ ჯუ ჟუნძიმ მოლაპარაკება გამართა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს რწმუნებულთან ხავიერ სოლანასთან. მოლაპარაკების დროს აღინიშნა, რომ ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთის როლს საერთაშორისო ასპარეზზე, და დარწმუნებულია, რომ ევროკავშირისა და ჩინეთის ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად განვითარდება. თავის მხრივ, ჯუ ჟუნძიმ ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთი მზად არის, განამტკიცოს ევროკავშირთან თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

# ევრო: ახალი უსიამოვნებანი

ევროს ახალი უსიამოვნება აქვს. ამჯერად იგი მოხდა არა სავალუტო ბაზარზე, არამედ საბეჭდ დაზგაზე. გერმანიის კომპანია **Giesecke&Devrient**-ის მიზეზით, 325 მილიონი 100-ევროიანი კუპიურა უმაქნისი ქაღალდის გროვად გადაიქცა.

მთელ ევროპაში გაფაციცებით ბეჭდავენ ახალ კუპიურებს და ჭრიან ახალ უმალთუნებს. უნდა მოასწრონ 2001 წლის იანვრისათვის, როდესაც ნაღდი ევრო დაიწყებს 11 ევროპული ვალუტის შეცვლას. პოლიგრაფიულმა კომპანიებმა უნდა დაბეჭდონ 14 მილიარდი კუპიურა. ერთი მათგანია მიუნხენის ზემოაღნიშნული კომპანია. სწორედ აქ მოხდა უსიამოვნება.

საქმე ის არის, რომ ახალ კუპიურებს გაყალბებისაგან დაცვის ახალ-ახალი საშუალებანი აქვთ. მათ შორის არის ფერადი ქსეროასლის გადაღების შესაძლებლობისაგან დაცვა. ტექნოლოგია იაპონიაში შეიმუშავეს და მას იყენებენ ყველა კომბინატში, რომლებიც ევროს ბეჭდავენ. მაგრამ მიუნხენში შეფერხება მოხდა. კომპანიის ხელმძღვანელობას დღემდე ვერ აუხსნია გასაგებად როგორ მოხდა, რომ 32,5 მილიარდი ევრო, ხარისხის უმკაცრესი კონტროლის მიუხედავად, ისე დაიბეჭდა, რომ არ დააყოლეს ეს დამცავი სისტემა. ახლა ტონობით ასეთ ფულს დაანაკუწებენ.




ახლა იძულებული არიან, 325 მილიონი ასეთი კუპიურა გაანადგურონ.

ევროპის ცენტრალური ბანკის წარმომადგენლები ამბობენ, რომ შეცდომა ლოკალური იყო და რომ სხვა ფაბრიკებში კუპიურები ტექნოლოგიის შესაბამისად იბეჭდება. მაგრამ ის, რაც მიუნხენში დაიბეჭდა, ხელახლაა დასაბეჭდი. თანაც, გერმანიის ბუნდესბანკის ხარჯზე. ბანკის ხელმძღვანელთა თქმით, ეს დაახლოებით 30 მილიონი მარკა ეღირება. თუმცა, გერმანული გაზეთები ამ იძულებით ღონისძიებას 65 მილიონად აფასებენ.

ასეა თუ ისე, მიუნხენელ მბეჭდავთა შეცდომა კიდევ ერთ წვეთს უმატებს ახალი ვალუტისადმი ევროპელთა უნდობლობის ფიალას. თანაც, აიძულებს, კვლავ დაუფიქრდნენ იმას, თუ რა ქერის ორმოში ჩაცვივდებიან თაღლითები და ყალბი ფულის მჭრელები, როდესაც უცნობი ევრო შეცვლის მარკებს, ფრანკებს, გულდენებს, ლირებსა და პესეტებს. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ არის საჭირო – ისინი არცთუ შორეული წარსულიდან შეუძლია გაიხსენოს ბრიტანეთმა, რომელიც ახალ ფულად სისტემაზე გადავიდა 70-იანი წლების დამლევს, და გერმანიამ – სადაც 80-იანი წლების ბოლოს გამოუშვეს ახალი კუპიურები, აგრეთვე, სსრ კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა. ოღონდ, ამჯერად, თაღლითებს შეუძლიათ იმოქმედონ უზარმაზარ ტერიტორიაზე – ხმელთაშუადან ბალტიის ზღვამდე. მზად არიან ამისათვის ევროპელი პოლიციელები და ბანკირები? წერს დასასრულ ალექსანდრე კოლიანდრი, ბი-ბი-სის მიმომხილველი.

# სანქციები ფულის წმენდის წინააღმდეგ

შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ დაგზავნა შეტყობინებანი, რომლებითაც ამერიკის საფინანსო დაწესებულებებს სთავაზობენ, დამატებით გამოიკვლიონ ოპერაციები იმ 15 ქვეყანასთან, რომლებიც უარს ამბობენ მონაწილეობაზე საერთაშორისო ბრძოლაში ფულის წმენდის წინააღმდეგ.



გასულ თვეში საფინანსო ღონისძიებათა სპეციალურმა ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ სწორედ ეს 15 სახელმწიფო არ უწევს საკმარის ხელშეწყობას საერთაშორისო ბრძოლას ფულის წმენდის წინააღმდეგ, ნათქვამია ცნობაში. ეს კოორდინებული მრავალმხრივი პასუხი ფულის საერთაშორისო წმენდაზე წარმოადგენს ღირსშესანიშნავ ნაბიჯს, რომელიც გამოხატავს საერთაშორისო გაერთიანების მტკიცე გადაწყვეტილებას, ალაგმონ ფინანსური დანაშაულება მთელ მსოფლიოში.

შეტყობინებების მიზანია გავაცნოთ ჩვენს შინაგან საფინანსო დაწესებულებებს ფულის წმენდასთან დაკავშირებული რისკი, რომელსაც ისინი აწყდებიან აღნიშნულ ქვეყნებში, აგრეთვე, დაიცვან ჩვენი საფინანსო სისტემები ფულის წმენდის გამხრწნელი გავლენისაგან. შეტყობინებებში ფიგურირებს შემდეგი ქვეყნები: ბაჰამის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, კუკის კუნძულები, დომინგოს რესპუბლიკა, ისრაელი, ლიბანი, ლიხტენშტეინი, მარშალის კუნძულები, ნაურუ, ნიუე, პანამა, ფილიპინი, რუსეთი, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ვინსენტი, გრენადინი.

თუ ზემოაღნიშნული ქვეყნები არ შეუერთდებიან ფულის წმენდის წინააღმდეგ მიმდინარე საერთაშორისო ბრძოლას, მაშინ დაისმის საკითხი „დიდ შვიდეულში“ შემავალ მოკავშირეებთან ერთად მრავალმხრივი კონტრზომების მიღების შესახებ. მათ შორის, არის სპეციალური პირობების ან შეზღუდვების დაწესება ასეთ ქვეყნებთან საფინანსო ოპერაციებზე, აგრეთვე, დახმარებაზე, რომელსაც ისინი იღებენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან.

# კემპ-დევიდ-2 მუშაობს

სამ ლიდერთაგან არც ერთი არ გამოჩენილა ხალხში მოლაპარაკების პირველ დღეს საპროტოკოლო გადაღების შემდეგ. ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავშეკავებით ლაპარაკობენ შეხვედრის სიძნელეებზე, ხოლო ჟურნალისტებს კემპ-დევიდში არ უშვებენ.

აშშ პრეზიდენტმა კლინტონმა ოთხშაბათს შეხვედრა გამართა ბარაკთან და არაფატთან. ისრაელის პრემიერი და პალესტინელთა ლიდერი ჯერ ერთი ერთმანეთს არ შეხვედრიან ერთმანეთს.

შეერთებული შტატები ამტკიცებს, რომ სამიტის დღის წესრიგი უაღრესად ფართოა. ვაშინგტონი ცდილობს, დაარწმუნოს ორივე მხარე, რომ აუცილებელია, დადონ ერთიანი და ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმება.



როგორც ბარაკის, ისე არაფატისათვის კემპ-დევიდის მოლაპარაკებას უდიდესი საშინაო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ბარაკი საშწაულით გადაურჩა უნდობლობის ვოტუმს ქნესეთში, და მოლაპარაკების წარმატებამ ან მარცხმა შეიძლება გადაწყვიტოს მისი პრემიერობის ბედი.

არაფატის მდგომარეობა კიდევ უფრო დელიკატურია. თუ იგი მეტისმეტად დიდ დათმობებს დათანხმდება, მაშინ გამოიწვევს ურჩობის ტალღას პალესტინელთა ტერიტორიებზე, რომელიც შეიძლება მისი რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებად გადაიზარდოს.

მაგრამ ახალი კემპ-დევიდის წარმატება ყველაზე მეტად სჭირდება კლინტონს, რომელიც ცდილობს, ისტორიაში შევიდეს, როგორც დიადი მშვიდობისმყოფელი. ჯერჯერობით მას არ წამოუყენებია არავითარი გარკვეული წინადადება და მხოლოდ ორივე მხარის პოზიციებს ისმენს. მიმომხილველთა აზრით, გადამწყვეტი დღეები დადგება მომავალი კვირის დასაწყისში, სანამ ამერიკის პრეზიდენტი იაპონიაში გაემგზავრებოდეს, წერს დასასრულ ბი-ბი-სის მიმომხილველი რიჩარდ ლესტერი.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

**არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.**

ზაფხული — 2000

# მათთვის, ვინც თბილისში დარჩა

დასხა. ზაფხულის ხვატმა თავისი ძალა გვაგრძნობინა. ვისაც თავისუფალი დრო და ცოტა ეკონომიკური შესაძლებლობა ჰქონდა, კარგა ხანია გაარიდა თბილისს თავი და შვილებიც. პატარების დიდი უმრავლესობა კი ქალაქში დარჩა. სწორედ, მათზე მზრუნველობის მიზნით გუშინწინ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სამმართველოს თანამშრომლები, დედაქალაქის რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები, სპორტის სამმართველოსთან არსებული სპორტსკოლების დირექტორები.



თბილისში დარჩენილი მოზარდებისთვის, მიუსაფარი და მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა. მან აღნიშნა, რომ „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად დედაქალაქის თითოეული რაიონი ზაფხულის პერიოდში თუ უზრუნველყოფს სპორტული ბანაკების მოწყობას ერთჯერადი კვებით, ეს იქნება მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად გატარებული ჩინებული ღონისძიება.



თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს სპორტის სამმართველოს ინიციატივა და ამ ღონისძიების განსახორციელებლად დახმარების თხოვნით მომართეს თბილისის რაიონების გამგეობებისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

იმედია, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თანამდგომებიც გამოუჩნდება.

SOS!

## დაეხმარეთ მემატიანეს

ამ წერილ-მიმართვას კონკრეტული ადრესატი არა ჰყავს – იგი, ზოგადად, მთელ ქართულ სპორტულ და, უპირველესად, საქმიან სამყაროს ეხება.

მოხდა ისე, რომ ჩვენს რეფორმატორ-სეკვესტრატორთა „ძალისხმევით“ ადვილი შესაძლებელია, სიდნეის ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავროს ცნობილი ფოტორეპორტიორი ალექსანდრე კოტორაშვილი.

მოგეხსენებათ, 1981 წლის 13 მაისის დიუსელდორფის ეპოქალური მოვლენა ჩვენებური პროფესიონალის კამერას არ ალუბეჭდავს, რაც დღემდე ვერ მოგვინელებია. კიდევ კარგი, მაშინ დელეგაციაში ბატონ დემიკო ლოლაძისთვის მაინც მოიძებნა ადგილი, რომელმაც მოყვარულის დონეზე, შეძლებისდაგვარად მშვენიერად გაართვა თავი უმნიშვნელოვანეს მისიას. რა გარანტია გვაქვს, რომ წლეულსაც მოიძებნება მისი დარი „დუბლიორი“?

არადა, წესით, თუ ქვეყნად სამართლის ნატამალია შემორჩენილი, „კოტორას“ სპონსორის ძებნა არც უნდა სჭირდებოდეს. იმ თანხას, რომელზეც ვსაუბრობთ, საზოგადოების დასახელებული ნაწილის საკმაოდ მოზრდილი პროცენტი ხომ ერთ დღეში რესტორან-კაზინოებში ტოვებს.

ვიმედოვნებთ, მეცენატები ამჯერადაც მოიძებნებიან და ქართული სპორტის მემატიანეს „მწვანე კონტინენტზეც“ მიეცემა ქართველ ოლიმპიელთა ასპარეზობის ისტორიული კადრების დაფიქსირების შესაძლებლობა.

**გია პლატონიშვილი.**

XXI საუკუნე

# დიდი სპორტის პატარა რაინდი

**გასულ კვირას რუსთავის ავტოდრომზე კარტინგისტთა საქართველოს პირველობის მესამე ტური გაიმართა. „მინი“ კლასში ამჯერადაც შეუდარებელი იყო თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი, საქართველოს შანშანდელი ჩემპიონი აკაკი ახალაია. მან უშეცდომოდ განვლო 5 წრე და პირველი ადგილი დაიკავა.**



– სამი ეტაპის შემდეგ აკაკი 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, – მითხრა ახალაიას მწვრთნელმა დავით ცერცვაძემ, რომელიც ამ სახეობაში სპორტის ოსტატია და სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, – არადა, ავადმყოფობის გამო მან მეორე ტურის შეჯიბრება გამოტოვა.

*– დიდი ხანია თქვენთან ვარჯიშობს?*

– მესამე წელიწადია. მე და აკაკის მამა, ბატონი გურამ ახალაია, ერთხანს ერთად ვმუშაობდით. ერთხელ შვილითურთ მესტუმრა. აკაკიმ ჩემი ჭაბუკობისდროინდელი კარტინგი რომ დაინახა, დამსვიო, მთხოვა. მეც თხოვნა შევუსრულე. მოეწონა. მერე სულაც ვაჩუქე ეს კარტინგი და ერთ მშვენიერ დღეს ორივემ რუსთავის ავტოდრომზე ამოვყავით თავი.

შარშან პირველად იასპარეზა საქართველოს პირველობაზე და 12 წლამდე სპორტსმენებში ოქროს მედალი მოიპოვა – სამივე ეტაპი მოიგო. საერთოდ, ძალიან მუყაითი ბიჭია. უმიზეზოდ ვარჯიშს ავედარშიც არ გააცდენს, სკოლაშიც სანაქებოა – ფრიადებზე სწავლობს, ინგლისურ ენას კარგად ფლობს, კომპიუტერიც იცის...

ამასობაში დაჯილდოების ცერემონიალი დამთავრდა და პატარა ვუნდერკინდიც შემოგვიერთდა თასით ხელში.

*– შეჯიბრებისას დაძაბული იყავი, გაგიძნელდა გამარჯვება? –* ვკითხე აკაკის.

– არც ისე, თუმცა ვგრძნობდი, მეტოქეებიც კარგად იყვნენ მომზადებულები.

კარტინგი რისკიანი სპორტია, სხვა უფრო მშვიდობიანი სახეობა რატომ არ აირჩიე-მეთქი, რომ ვკითხე, დაუფიქრებლად მიპასუხა, აირტონ სენა, მიხაილ შუმახერი, ალენ პროსტი, გერჰარდ ბერგერი და სხვები „ფორმულა-1“-ში კარტინგიდან მოვიდნენო.

*– ესენი შენ საიდან იცი?*

– სამი წელიწადია ტელევიზორში მსოფლიო ჩემპიონატებს ვუყურებ. მაგარი შეჯიბრებებია. მეც მინდა, „ფორმულა-1“-ის პილოტი გავხდე.

*– ვის ქომაგობ?*

– მიხაელ შუმახერს, ნამდვილი ჩემპიონია.

*– მენზე მითხრეს, ფრიადოსანიაო. მართლა გიყვარს კითხვა?*

– აბა რა... უფრო დეტექტივებს ვკითხულობ, ტექნიკურ ლიტერატურასაც. ხომ უნდა ვიცოდე ძრავების და საბურავების შესახებ რაღაც?

*– უნდა იცოდე და კარგადაც. ეს მითხარი: ახლა არდადეგები გაქვს, რა უნდა აკეთო ზაფხულში?*

– ზუგდიდში წავალ, სოფელ განმუხურში, ბებიასთან. ბიჭებთან ფეხბურთს ვითამაშებ, ენგურში ვიბანავებ.

*– მერე, ცურვა იცი?*

– ვიცი. ცურვაზეც დავდიოდი, კარატეზეც. კარტინგში რომ დავიწყე ვარჯიში, მერე დავანებე თავი.

*– გავიგე, ფეხბურთიც გყვარებია. ევროპის ჩემპიონატზე ვისი მოგება გინდოდა?*

– მეოთხედფინალის და ნახევარფინალის ყველა გამარჯვებული გამოვიცანი. ფინალში მამამ მაჯობა. ფრანგები მოიგებენო. მე იტალიის ჩემპიონობა მინდოდა...

დამშვიდობებისას აკაკის ვკითხე, თვენახევარი „რკინის რაშს“ როგორ შეელევი-მეთქი. ასე მითხრა: სოფელში კარგია, მაგრამ დიდხანს ვერ დავრჩები, რადგან დათო მასწავლებელთან ერთად ვარჯიში უნდა განვაგრძოო. მისი ამგვარი პასუხი არც გამკვირვებია, რადგან დიდი სპორტის პატარა რაინდს სექტემბერში მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელის: რუსთავის ავტოდრომზე საქართველოს პირველობის მე-4 ეტაპი გაიმართება და ქვეყნის თასი გათამაშდება. ნორჩი ლიდერი კი პოზიციების დათმობას არ აპირებს.



**ვაჟა დანელია.**

*სურათებზე: საქართველოს პირველობის მე-3 ეტაპის გამარჯვებული აკაკი ახალაია თასით ხელში; სტარტისკენ.*

ყოველი მხრიდან

## უპირატესობა გაიზარდა

კვლავ ქალბატონების დიდი უპირატესობით ჩაიარა მიუნხენში ტრადიციული საჭადრაკო ტურნირის მე-7 ტურმა. როგორც ჩანს, „სუსტი სქესის“ წარმომადგენლები ვერ შეაშინა მე-5 ტურში „ბატონების“ გამარჯვებამ. მათ მე-6 ტურში ქულები გაინაწილეს, ხოლო ახლა ისევ დამაჯერებლად გაიმარჯვეს 3,5:1.5. ქართველმა დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა პოლანდიელი პანს ბოუმეისტერი დაამარცხა, რუსეთელმა ალისა გალიამოვა-ივანჩუკმა ქულა წაართვა ელასტიმილ პორტს (გერმანია), ხოლო ჩინელმა სიე ჟუნმა – მარკ ტაიმანოვს (რუსეთი). მხოლოდ ვიქტორ კორჩნოიმ (შვეიცარია) „ივაჟკაცა“ და სოფია პოლგარი დაამარცხა. ჩჟუ ჩენი და ვასილ სმისლოვი კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ახლა ქალბატონები ექვსი ქულით არიან წინ – 20,5:14.5.

* * *

ვაჟთა ევროპის პირველ ჩემპიონატზე კი რვა ტურის შემდეგ „ტრიუმვირატი“ ლიდერობს: რუსეთელ პაველ ტრეგუბოვს, პოლონელ ტომაშ მარკოვსკის და შვეიცარიელ ვადიმ მილოვს 6,5-6,5 ქულა აქვთ. 6 ქულით მათ კვალში ჩაუდგა ალექსეი ალექსანდროვი ბელორუსიიდან.

## ალტერნატიული ევროლიგაც იწყებს

როგორც ცნობილია, ევროპაში შეიქმნა ახალი ალტერნატიული საკალათბურთო ლიგა **VLEB**, მასში გაერთიანდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 24 გუნდი.

გუშინწინ სალონიკებში მოეწყო ახალი ლიგის პირველი ჩემპიონატის კენჭისყრა.

აღსანიშნავია, რომ ახალ ლიგას ბოიკოტი გამოუცხადა **ფიბამ** და მასში გაერთიანებულ გუნდებსა და მსაჯებს დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

„მეამბოხენი“ (ასე უწოდებენ ამ ლიგის გუნდებს) ოთხ ჯგუფად დანაწილდნენ: **A** ჯგუფში ითამაშებენ „ქალგირისი“ (ლიტვა), „ტიმსისტემი“ (იტალია), „ესტუდიანტესი“ (ესპანეთი), „პერისტერი“ (საბერძნეთი), „ზადარი“ (ხორვატეთი), „ლუგანო“ (შვეიცარია), **B** ჯგუფში – „კინდერი“ (იტალია), „აეკი“ (საბერძნეთი), „ციბონა“ (ხორვატეთი), „ტაუგრესი“ (ესპანეთი), „სანკტ-პეტერბურგ ლაიონსი“ (რუსეთი), „მარლეგრუა“ (ბელგია), **C** ჯგუფში გაერთიანდნენ – „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), „რეალი“ (ესპანეთი), „ბენეტონი“ (იტალია), „ოლიმპია“ (სლოვენია), „ჰაპოელი“ (ისრაელი); „ოვარენშე“ (პორტუგალია), **D** ჯგუფში კი თავი მოიყარეს „ბარსელონამ“ (ესპანეთი), „ბუდუჩნოსტმა“ (იუგოსლავია), „პაოკმა“ (საბერძნეთი), „ვერონამ“ (იტალია), „სკაილაინერსმა“ (გერმანია) და „ლონდონ ტაუერსმა“ (ინგლისი).

პირველი ეტაპის თამაშები ოქტომბერში დაიწყება და იანვარში დამთავრდება. შემდეგ პლეი-ოფის ჯერი დადგება, მერვედ და მეოთხედფინალებში გაიმართება შეხვედრები 2-2 გამარჯვებამდე. ნახევარფინალებსა და ფინალში კი სამ გამარჯვებამდე. მისი მატჩები პირველი თებერვლიდან დაიწყება, ფინალი კი აპრილ-მაისში გაიმართება.

## თუ კი გაიმარჯვებენ

მოსკოვში, „იტარ-ტასის“ სააგენტოში გაიმართა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვიტალი სმირნოვის პრესკონფერენცია.

მან განაცხადა, რომ სეულში, ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთელები იბრძოლებენ საერთო გუნდური გამარჯვებისათვის, რისთვისაც სულ ცოტა 35 ოქროს მედალი უნდა მოიპოვონ.

სმირნოვის თქმით, დაწესდა პრემიები პირველი, მეორე და მესამე ადგილებისათვის – 50, 20 და 10 ათასი დოლარი რუბლების ექვივალენტით.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, ამ თანხებზე გადასახადს არ დააწესებენ.

## ჩემპიონთა ლიგაში

**ზეხბურთში ევროპის ჩემპიონთა ლიგაში დაიწყო I საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი რაუნდი.**

„ტირანა“ – „ზიმბრუ“ 2:3;

„სკონტო“ – „შამქირი“ 2:1;

„შირაქი“ – „ბატე“ 1:1;

„ქალგირისი“ – „ბროტნიო“ 4:0;

„ჰაკა“ – „ლინფილდი“ 1:0;

„ბირკირკარა“ – „რეიკიავიკი“ 1:2;

„კლაკსვიკარი“ – „ცრვენა ზვეზდა“ 0:3;

„სლოგა“ – „მელბურნი“ 0:1;

„დუდელანჟი“ – „ლევსკი“ 0:4;

„ლანსანტფრეიდი“ – „ლევადია“ 2:2.

**სპორტის რედაქცია.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 188. პარასკევი, 14 ივლისი, 2000 წელი.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



სურათი გადაღებულია 1912 წლის 9 აგვისტოს — ამ წყვილის ჯვარის დაწერის დღეს ქ. ქუთაისში. ევგენი ბარათაშვილი (1878 წ. – 1971 წ.) და ბაბილინა ჭავჭანიძე (1893-1973 წ.)

სურათი მოგვაწოდა შვილიშვილმა, ევგენი ბარათაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## ღიმილის დოზა

ორი ახალგაზრდა ქალი ერთმანეთს ხვდება:

– როგორ ხარ?

– გადასარევად! საყვარელი ახალი ქურქის ყიდვას დამპირდა.

– შესანიშნავია!

– „იაგუარსაც" მიყიდის.

– შესანიშნავია!

– მითხრა, რომ კანარის კუნძულებზე დავისვენებთ!

– შესანიშნავია!

– შენკენ რა ამბებია?

– ზრდილობიანი ქცევის სკოლაში ვსწავლობ.

– რას გასწავლიან განსაკუთრებულს?

– განსაკუთრებულს – არაფერს. გუშინდელ გაკვეთილზე გვასწავლეს, „ნუ გაახურეს" ნაცვლად როგორ უნდა ვთქვათ „შესანიშნავია!"

* * *

– ღმერთო, სიკვდილსა გთხოვ! შემისრულე! ჩემთვის ხომ არა გთხოვ...

* * *



განცხადება ლონდონის კაფეში:

„ბატონო ახალო რუსებო! აქ ესმით ის ინგლისური, რომელსაც სკოლაში გასწავლიდნენ".

* * *

სასაფლაოს დარაჯი სასაფლაოს დირექტორთან შედის და განუცხადებს:

– მორჩა! გამათავისუფლეთ სამსახურიდან!

– რატომ?

– დავდივარ სასაფლაოს ხეივნებში და საფლავების წარწერებს ვკითხულობ: „აქ ისვენებს ამქვეყნიური შრომით დაღლილი...", „აქ მოიპოვა სიმშვიდე"..., „აქ დაისვენა საწყალმა"... ყველა ისვენებს და მხოლოდ მე ვაკლავ თავს სამუშაოს!!!

## ტელევიზია – პარასკევი, 14 ივლისი

08.00 „ალიონი" 09.30 „აერობიკა" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.55 „შავი მარგალიტი" 11.25, 16.35 „უ-თუ-ოდ" 11.30 „ეკო-დაიჯესტი" 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.15 ჩოგბურთი. შესვენებისას „ჩვენი სახლი" 15.15 მრავალსახეობა 15.45 ინტეგრალი 16.40 ერთი მსახიობის თეატრი 18.15 „50/50" 18.45 მარსელის ფესტივალი „გედის ტბა" 19.40 „ბასტი-ბუბუ" 20.45 „ვიდეოპატრული-02" 21.45 მაესტრო 22.05 ვესტნიკი 22.30 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 საფრანგეთის დროშა. 23.20 „ჯეოპოპი" 00.35 „ფრენჩ კანკანი".

19.00 ინფორმაცია 19.30 მულტფილმები 19.50 „სინაზის ენით" 21.55 აფხაზეთის ტელევიზია 22.30 „კრიმინალური რომანი".

07.00 მუსიკა 07.30 მულტფილმი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.40 „ლაბირინთი" 09.30 „საიდუმლო მასალები" 10.20 „ალფი" 10.45 „მოდელების აკადემია" 11.10 „სიყვარულის სახელით" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფ. 18.00, 21.00, 22.50, 03.30 კურიერი 18.20 „ლუისი და კლარკი" 19.00 „მოდელების აკადემია" 19.30 „ალფი" 19.55 „სიყვარულის სახელით" 21.50 „მაიკ ჰამერი" 23.50 „აპოლონ-13" 02.30 სიმფსონები 03.00 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები" 03.40 კლასიკა.

იბერია

09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი" 09.15 დოკ. ფ. 09.40 ნახ. ფ. 09.50 „ოვაცია" 09.55, 18.35 „ქალაქი" 10.20 ქართული პანგები 10.30, 21.15 „ყველა ჩემი შვილი" 11.15, 19.20 მულტსერიალი 11.40, 19.40 მუს. ტალღა 11.45 „ციხესიმაგრე-2" 18.00 ნახ. ფ. 18.10 დოკ. ფ. 19.00, 22.00 „ახალი ამბები" 20.20 სახეები 20.30 სტუდია დიალოგი 22.30 „ტკბილი და საძაგელი" 00.05 „ნოსტალგია" 00.10 „ოქროს სანაპირო", „ოვაცია".

14.00, 21.30 „მილედი" 14.45 მულტფილმი 15.00 დოკ. ფ. 15.35 „ნილაბი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს" 17.15, 23.45, 02.10 მუსიკა 17.30 გადაცემა „გამარჯვების მომასწავებელი ხმა მორწმუნისა" 18.00 „მსოფლიო სპორტი" 19.20 სტუდია „სპექტრი" 21.00 „ვარსკვლავები" 22.15 „გიგანტებს შორის" 00.20 გადაცემა „რატომ?" 01.20 „სამეფო".

ევრიკა 11.00, 18.00 მულტფილმები 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 პროგრამა „სალონი" 13.30, 19.30 „ვენდეტა" 14.30 „დომინოს პრინციპი" 16.00 „კასანდრა" 18.00 მულტფილმები 18.30 დოკ. ფ. 19.00 „საპაერო ციხე" 20.30 მუსიკალური პაუზა 20.35 „ერალაში" 21.00 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.00 „ფანი და არდანი".

ISI 08.00 „ტონიკი" 10.30 მხ. ფ. 12.45, 20.25, 22.40, 01.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმები 19.00 „ნუ ემუქრები სამხრეთელ ცენტრალურს" 20.40 „სიკვდილის ესკადრონი" 23.00 მხ. ფ. 01.15 „მკვლელობის დრო", დასასრულს ნონ-სტოპი.

09.00 საინფორმაციო პროგრამა 09.15, 18.15 მულტფილმი 09.40 [illegible] „ზრდასრული ცხოვრება" 11.15, 00.15 მუსიკა 11.30 დოკ. ფ. 12.05 „სრულიად საიდუმლოდ" 12.55 მხ. ფ. 14.45, 18.45 „დისქავერი" 16.20 „ანგელოზების ქალაქი" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.00 დოკ. ფ. 21.45 გადაცემა „ლიმონი და ლიმონათი" 22.05 „მასაჟური ქალი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.35 „ამერიკული ისტორია იქსი".

09.30 „დღეს" 10.00, 18.00 მულტფილმები 11.00 „მიმინო" 12.30 „ბედნიერი ერი" 12.40 „ჩვეულებრივზე უარესი ცხოვრება" 14.20 კონცერტი 15.20 „თავზეხელაღებულთა კუნძული" 17.20 გასართობი პროგრამა 19.00 „მზე შემოდგომისა" 20.15 მუსიკალური კოლაჟი 20.30 „ქამელეონი-2" 22.00 „დღეს" 22.40 „ინტენსიური თერაპია" 00.30 მუსიკა 00.50 „პანიკა ნიუ-იორკში".

## მეცნიერება

# დაბნელდება მთვარე 16 ივლისს?

რაც უნდა სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყოს მიწიერი, სოციალური თუ ფიზიკური მოვლენები, ადამიანთა განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ციური სამყარო და მისი ცვლილებანი იწვევს: კომეტების გამოჩენა, მეტეორიტების ვარდნა, „ვარსკვლავთა", ანუ მეტეორული წვიმები, პლანეტების აღლუმები, მზისა და მთვარის დაბნელება და სხვ. მეტიც – მოსახლეობა მიწიერ, საზოგადოებრივ ქარტეხილებს თუ ბუნებრივ კატაკლიზმებსაც ციურ მოვლენებს აბრალებს.

ამაში საკვირველი არაფერია – მეტისმეტად დიდია ასტრონომიული სამყაროს მასშტაბები მიწიერთან შედარებით და ზოგი ციური სხეული არცთუ მცირე გავლენას ახდენს დედამიწაზე, მაგალითად, მზე მთელ მიწიერ კლიმატს და ენერგეტიკას აკონტროლებს, მთვარის და მზის გრავიტაცია ოკეანეების წყლის უზარმაზარი მასების გადაადგილებებს იწვევს მიქცევებისა და მოქცევების სახით, რასაც დედამიწის ბრუნვის შენელება და დღე-ღამის ხანგრძლივობის ზრდა მოსდევს. მასიური ასტეროიდის თუ კომეტის ბირთვის შეჯახებას დედამიწასთან შეუძლია წარმოქმნას ასეულობით კილომეტრის ზომის კრატერები, გამოიწვიოს კოლოსალური ნგრევა, კატასტროფულად შეცვალოს დედამიწის კლიმატი, განაპირობოს გამყინვარებანი და ბიოლოგიურ სახეობათა უდიდესი რაოდენობის დაღუპვა ე. ი. გლობალური კატასტროფა მოახდინოს. ასეთი მოვლენები ყოფილა დედამიწის ისტორიაში, მაგრამ ისინი იშვიათად ხდება, რამდენიმე მილიონ წელიწადში ერთხელ. ასტრონომიულ მოვლენათა უმეტესობა კი მიმდინარეობს დედამიწიდან წარმოუდგენლად შორს და მიწიერ ცხოვრებაზე უშუალოდ არ აირეკლება. მათ წყნარად აკვირდებიან ასტრონომები თავიანთი „ჭოგრიტებით".

ბოლო წლებში არაერთხელ მოგვიხდა თითქმის ზედიზედ გავრცელებული „წინასწარმეტყველებების" უარყოფა ე. წ. „ქვეყნის დასასრულის" შესახებ, რაც თითქოსდა ზემოთ ნახსენებ ციურ მოვლენებს უნდა გამოეწვია. არც ერთი მათგანი არ ახდა, მაგრამ უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტურ პირთ ეს სულაც არ უშლის ხელს ახალ „წინასწარმეტყველებებში", რომელთაც საფუძველი არა აქვთ.

ყოველ შემთხვევაში, მზისა და მთვარის დაბნელებანი ერთ-ერთი ყველაზე უწყინარი ასტრონომიული მოვლენებია. მთვარე, როგორც ჩვენი პლანეტის თანამგზავრი, გარს უვლის დედამიწას, ამიტომ ხან ჩვენსა და მზეს შორის ექცევა, „გაივლის" მზის დისკოზე და ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარავს მას, ხანაც დედამიწის ჩრდილში შედის და უჩინარდება (მას ხომ საკუთარი სინათლე არ გააჩნია და მხოლოდ მზის სხივების არეკვლით ანათებს!). მამასადამე, ეს დაბნელებანი უფრო გეომეტრიული მოვლენებია, ვიდრე ფიზიკური.

მართლაც, მზის დაბნელებისას ჩვენ უბრალოდ მთვარის ჩრდილში ვხვდებით, ის კი სულ რამდენიმე ასეული კილომეტრის სიგანისაა და ვიწრო ზოლად გადაუვლის ხოლმე დედამიწას მთვარის მოძრაობის გამო. ამას შედეგად შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ლოკალური აცივება და მეტეოროლოგიური მოვლენები დაბნელების ზოლში, დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილი კი დაბნელებას ვერც შეამჩნევს. რაიმე კატასტროფაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რა თქმა უნდა, მიწისძვრები თუ ვულკანთა ამოფრქვევები ხშირი და დროში შემთხვევითად განაწილებული მოვლენებია, ისინი შეიძლება დაბნელებებსაც დაემთხვეს, მაგრამ ეს მათ ურთიერთკავშირზე სულაც არ მეტყველებს.

კიდევ უფრო მცირეა მთვარის დაბნელების გავლენა მიწიერ სამყაროზე. მართალია ამ დროს რამდენიმე საათით წყდება მთვარის მიერ არეკლილ მზის სხივთა ნაკადი დედამიწაზე, მაგრამ ეს ხომ უმნიშვნელოა, ან განა უფრო დიდხანს არ წყდება იგი ახალმთვარეობის დღეებში?

მცირე გაძლიერება მზისა და მთვარის გრავიტაციული ველისა დედამიწაზე მართლაც ხდება ყოველთვის, როცა მზე, მთვარე და დედამიწა თითქმის სწორხაზოვნად ლაგდება, მაგრამ ეს ხომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ახალმთვარეობისა და სავსემთვარეობის ყოველი დადგომისას ხდება, ჩვენ კი მათ ვერც ვამჩნევთ, მამასადამე, ისინიც უმნიშვნელოა.

ახლა კონკრეტულად დაბნელებებზე. წელს დედამიწაზე მზის 4 დაბნელება უნდა მომხდარიყო. 5 თებერვლისა და 1 ივლისის დაბნელება მხოლოდ სამხრეთ ნახევარსფეროში გამოჩნდა. 31 ივლისისა და 25 დეკემბრის დაბნელება ჩრდილოეთ ნახევარსფეროშია „დაგეგმილი", მაგრამ ისინი ნაწილობრივია, დაბნელების ცენტრალურ ზოლშიც კი მზის მაქსიმალური დაფარვა შესაბამისად 60 და 73 პროცენტი იქნება მხოლოდ, ე. ი. რეალურ სიბნელეზე ვერც ვილაპარაკებთ. ამას გარდა, 31 ივლისის დაბნელების შუა ფაზის მომენტში თბილისში მზე სულ ახალი ამოსული იქნება, 25 დეკემბრის დაბნელებისას კი – 3 საათის ჩასული. სხვა პარამეტრთა მიხედვითაც, ეს დაბნელებანი ჩვენგან უხილავი იქნება.

რაც შეეხება მთვარის დაბნელებას, წელს იგი ორჯერაა. პირველი მოხდა 21 იანვარს (თბილისში მთვარე ჩავიდა დაბნელების შუა ფაზაში). მეორე დაბნელება მოხდება 16 ივლისს, მაგრამ დაბნელების ცენტრალური მომენტი თბილისის საზაფხულო დროით 19 საათის მახლობლად იქნება, მთვარე კი ამ დღეს ამოდის თითქმის 3 საათით გვიან. ასე რომ, თუმცა 16 ივლისს მთვარე სრულად დაბნელებული იქნება 1 საათსა და 42 წუთს, ნაწილობრივ კი – 3,5 საათზე მეტხანს, საქართველოში ამ მოვლენას ვერ ვუყურებთ: მთვარის ამოსვლისას უკვე ყველაფერი დამთავრებული იქნება.

**შალვა საბაშვილი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგე, დოცენტი.

## საგზაო პოლიცია

# მომავალ შეხვედრამდე ერთი წლის შემდეგ

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში სამ დღეს გრძელდებოდა ავტომაგისტრალების პირველმეოთხე განყოფილებების საგზაო პოლიციის უფროსი ინსპექტორის ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის წესით შერჩევა.

– საკონკურსო გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად 134-მა პიროვნებამ შემოიტანა განცხადება, – მითხრა გუშინ შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა კობა კობიაშვილმა, – მსურველთა შორის იყვნენ როგორც ჩვენი თანამშრომლები, ისე სამოქალაქო პირები, უმაღლესი განათლებით. გამოცდები გაიმართა ორ ეტაპად. სამწუხაროდ, მხოლოდ 42-მა მიიღო დადებითი შეფასება. ზოგიერთმა საერთოდ თავი აარიდა გამოცდას. ამდენად, ოთხივე განყოფილებაში კვლავ დარჩა ვაკანტური ადგილები.

***– ალბათ, ისევ კონკურსს გამოაცხადებთ?***

– რა თქმა უნდა. როგორც გითხარით, საგზაო პოლიციაში მხოლოდ მცოდნეებს მივიღებთ. განმეორებით შესარჩევ კონკურსს აგვისტოში მოვაწყობთ.

***– ამჯერად ვინც არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო, მათ რა ბედი ეწევათ?***

– ისინი შესარჩევ კონკურსებში, სულ მცირე, ერთი წელიწადი ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

**ვაჟა დანელია.**

## გვწერენ

# იმიტომ, რომ კანონი არ არსებობს

**რედაქციამ ორი წერილი მიიღო, ორივე ბავშვთა სახლის შემდეგ ახალგაზრდების ბედს ეხება. არ არსებობს კანონი, რა გზას უნდა დაადგეს ახალგაზრდა ასეთი სახლიდან წასვლის შემდეგ.**



### ოთხი შვილის მომავალი მაფიქრებს

ჩვენ – მე და ჩემი და-ძმანი ოჩხამურში დავიბადეთ. მშობლები ჩაის მეურნეობაში მუშაობდნენ. დედ-მამა 1974 წელს გარდაიცვალნენ. ექვსი ობოლი ბეთანიის ბავშვთა სახლში გაგვამწესეს. განვიცდიდით მშობლების დაკარგვას. არ ვიცოდით, რას გვიმზადებდა ხვალინდელი დღე. ღმერთმა არ გაგვწირა. ბავშვთა სახლში მოვიდა ყოფილი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან ნინო ახვლედიანი მეუღლესთან, საქართველოს დამსახურებულ არტისტ ვახტანგ მიხეილიძესთან ერთად. მათ შეგვიბრალეს და გვიპატრონეს. შინ კუთხე გამოგვიყვეს, სადაც კარადაც იყო, წიგნების თაროები და სათამაშოებიც. ამოგვაჭრეს გლანდები, გაგვიკეთეს ბრმა ნაწლავის ოპერაციები; დავყავდით კინოში, თეატრში. ზაფხულობით კი, მთავრობის ხელშეწყობით, გვასვენებდნენ ქობულეთში, ბორჯომსა და ცემში. ექვსივეს სწავლა გაგვაგრძელებინეს ტექნიკუმებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. შევქმენით ოჯახები და ეს უშვილო ოჯახი, რომელმაც შეგვიფარა, 14 შვილიშვილის პაპა-ბებია გავხადეთ. წლების წინ ქალბატონმა ნინო ახვლედიანმა იმდროინდელი კანონის საფუძველზე ორ ჩვენთაგანს თითო ერთოთახიანი ბინაც მიაღებინა ცალ-ცალკე, სადაც დღემდე ცხოვრობენ, სამნი კი ამჟამად რუსეთში არიან თავიანთი ოჯახებით. მე კი მეუღლის ბინაში გლდანის რაიონში ვცხოვრობდი. 1991 წელს, თბილისის მოვლენების დროს, ჩემმა ყოფილმა ქმარმა ბინა გაგვიყიდა, ქორწინების დოკუმენტებიც წაიღო და საზღვარგარეთ გადაიხვეწა. სამი ვაჟიშვილი წყნეთის ბავშვთა სახლში მივიყვანე. მე კი ორსულობის მე-4 თვეში მყოფი ხან ერთ დას, ხან ძმას, თუ კვლავ ჩვენს აღმზრდელ ნინო ახვლედიანთან ვიყავი შეკედლებული. შემეძინა ბიჭი, მას მამობილის, ვახტანგის სახელი დავარქვი. კვლავ ნინო ახვლედიანი ზრუნავდა ჩემზე. ბინის აღრიცხვაზე მისი დახმარებით საბურთალოს რაიონში ამიყვანეს.

ჯერჯერობით მშვიდად ვარ, რადგან ჩემი ოთხივე ვაჟიშვილი მთავრობის მეთვალყურეობით ბავშვთა სახლში იზრდებიან, მის სრულ კმაყოფაზე იმყოფებიან. ყველაზე უფროსი ვალერი 14 წლისაა, გენადი 13-ის, ვლადიმერი 11-ის, ვახტანგი – 8 წლის. მათ მალე მოუწევთ ბავშვთა სახლის დატოვება. არ ვიცი, რა ელით უთავშესაფროდ დარჩენილთ. არ არის გამორიცხული, ისინი გაბოროტდნენ და თავშესაფრის მაძიებელნი ბავშვთა კოლონიისა თუ ციხის ჭერქვეშ აღმოჩნდნენ.

კვლავ, ქალბატონ ნინო ახვლედიანის ხელშეწყობით, მრავალ ინსტანციას მივაკითხე. ბევრი დაგვხვდა კეთილი განწყობით, რათა დამხმარებოდა, მაგრამ, რადგან არ ვიყავი აფხაზეთიდან დევნილი, ხანძრისაგან თუ სტიქიისაგან დაზარალებული თავშესაფრის გარეშე დარჩენილი, ვერაფერი გააწყეს. აღმოჩნდა, რომ დღემდე არ არსებობს კანონი, რომელიც საბავშვო სახლის თუ სკოლა-ინტერნატის ყოფილ უპატრონო ბავშვებს შემდეგ უკვე ზრდადასრულებულებს დააკავალიანებდა.

ქალბატონი ნინო ზრუნვას ახლაც არ გვაკლებს, მაგრამ როდემდის, რა გააწყოს ამ 80 წლის ქალმა, როცა არ არსებობს კანონი, თუ რა ქნან ბავშვთა სახლის შემდეგ ახალგაზრდებმა.

ჩემი შვილები საქართველოში დაიბადნენ, დაეუფლნენ ქართულ ენას, სწავლობენ ქართულ სკოლაში. ყველას ვთხოვთ, ვისაც კი ხელეწიფება, დამეხმარონ, რათა ჩემი შვილების სახით თბილისს 4 მაწანწალა კი არ შიემატოს, არამედ იმ ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი გახდნენ, სადაც იზრდებიან და პატიოსანი შრომით მიეცეთ მადლიერების გამოხატვის საშუალება.

**ლარისა დუდნიჩენკო-კოსიცკაია.**

**რედაქციისაგან:** ნინო ახვლედიანი თავის მეუღლესთან ერთად ქომაგად რომ დაუდგა ობოლ და-ძმებს, ამით თავის დროზე ცხოვრების გზაც გაუკაფა ექვსივეს, დღეს კი 14 შვილიშვილიდან, ბედის უკუღმართობის გამო მათი ერთ-ერთი აღზრდილის 4 ბიჭი ისევ საბავშვო სახლში აღმოჩნდა, ღელავენ მათ მომავალზე აწ უკვე ასაკოვანნო...



სურათებზე: ნინო ახვლედიანი თავის 6 შვილობილთან ადრე და შემდეგ.

### არ მსურს ჩემმა შვილიშვილებმა კრიმინალების რიგები შეავსონ

საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით ეკიდება ახალგაზრდების აღზრდას. მაღელვებს მათი ბედი, ვინც ისე, როგორც ჩემი 4 შვილიშვილი ბავშვთა სახლში იზრდება. ადრე ასეთი კატეგორიის მოზარდებისათვის, ეგრეთ წოდებული „კოსიგინის ბრძანება" არსებობდა, რომლის საფუძველზე, ბავშვთა სახლში ასაკი შეუსრულდებოდა თუ არა, ფაბრიკა-ქარხნებში აგზავნიდნენ სამუშაოდ, ბევრსაც, – ცოდნის მისაღებად, – უმაღლეს სასწავლებელში. დღეს კი კანონი არ არსებობს. რა გზას უნდა დაადგნენ ეს ახალგაზრდები? მეც რა მოვუხერხო, არ ვიცი. ჩემი დაკვირვებით და ანალიზით მგონია, რომ ყველაზე სასარგებლო იქნება, პრობლემის გლობალური გადაწყვეტის მიზნით, მათი მსგავსი ბავშვებისათვის გამოიყოს მიწის ნაკვეთი, სადაც მათივე ხელით აიგება საცხოვრებელი თავშესაფარი და იქვე ჩამოყალიბდეს მცირე ბიზნესის სახით საწარმო. იქ დასაქმდნენ, შემდეგ თუ საშუალება იქნება, იქვე მახლობლად დასახლდნენ კიდეც. ამით, კვალიფიციური სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ამ კატეგორიის ახალგაზრდები უმტკივნეულოდ შეერწყმებიან პატიოსანი საზოგადოების ცხოვრებას.

ძალზე განვიცდი ჩემი გაზრდილის მდგომარეობას. ლარისას ყველგან მივყევი სათანადო დოკუმენტაციით, მაგრამ, თურმე, რადგან არ არსებობს კანონი, რა გზას დაადგეს ბავშვთა სახლიდან გამოსვლის შემდეგ ახალგაზრდა, ვერაფერს მივაღწიეთ, ამ კატეგორიის ახალგაზრდებზე ზრუნვა, ადამიანთა უფლებების დაცვის პროგრამის განხორციელებაა, რომელიც სავსებით შესაძლებელია, თუკი საკანონმდებლო ბაზა შეექმნებათ და შესასრულებლად აღმასრულებელ სტრუქტურებს გადაეცემათ.

**ნინო ახვლედიანი,**
სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი, ღირსების ორდენოსანი.

## გახსენება

### გულივერ თავაძე



ჩვენო გულივერ!

ძალზე გაგვიჭირდა უშენოდ ერთი წლის გატარება. თუ გეტყვით, რომ ხშირად გიგონებთ, არ ვიქნებით მთლად მართალი: შენ უბრალოდ არ ამოდიხარ ჩვენი გულებიდან და რაც დრო გადის, თითოეული ჩვენგანისათვის მით უფრო ნათელი ხდება შენი არყოფნით გამოწვეული სიცარიელის ამაოება.

მაინც როგორ შეეგუე სამუდამო სასუფეველს საბურთალოს გორაკებზე, თითქოსდა, აღარც გახსოვს იმერეთის მთებში ჩაკარგული მშობლიური წიაღუბანი, დიდუბის ერთი უბანი – მირცხულავას ქუჩა, სადაც გაატარე შეგნებული ცხოვრების ბოლო ათეული წლები.

შენს კეთილ ღიმილს და იმედიან შეძახილს ამაოდ ელიან შენი მეუღლე, უკვე დაფრთიანებული ქალიშვილი და ვაჟიშვილი, დები, უამრავი ნათესავი და მეგობარი.

შენი სახელი – გულივერი და გვარი – თავაძე ჭეშმარიტად შეესატყვისებოდა შენსავე ვაჟკაცობას, სიძლიერესა და გონიერებას, მაგრამ შენი მთავარი სიმდიდრე და ღირსება მაინც ის სიკეთე და კაცთმოყვარეობა იყო, რასაც უშურველად უნაწილებდი ყველა ახლობელსა და შემთხვევით გაცნობილ ადამიანებსაც კი. ამიტომაც დააკლდი აგრერიგად შენს სოფელ – ქვეყანას, შენს საოჯახო და სამეგობრო წრეს.

ახლაც გვიმძიმს შენთან განშორება, მაგრამ საბოლოოდ მაინც გეტყვით, ჩვენო გულივერ: მშვიდად იძინე, შენი სიკეთე და კაიკაცობა არასოდეს დაიკარგება. მაღალი ღმერთი იყოს შენი სულისა და ოჯახის მფარველი.

**შენი ოჯახი და მეგობრები.**



ცოლის ძმა ნოდარ ჩიმაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
ალექსანდრე (კუკური) ტაბიძის
გარდაცვალების გამო.

თბილისის საკრებულო თანაუგრძნობს საქართველოს პარლამენტის წევრს კოტე კემულარიას მამის
შალვა კემულარიას
გარდაცვალების გამო.

გურამ ახალაია ოჯახით თანაუგრძნობს მამუკა და ჭაბუკა სხიერელებს დედის
ანგელინა (ქუცი) ჩიჩინაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაუგრძნობს საპასპორტო-სავიზო მუშაობის და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილეს მამუკა სხიერელს დედის
ანგელინა (ქუცი) ჩიჩინაძის
გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა"
შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.